ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi

●

გოეთეს ინსტიტუტი თბილისში
Goethe-Institut in Tbilissi

საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში

REFORM DER UNIVERSITÄTSBILDUNG IN GEORGIEN

თსუ სარედაქციო-საგამომცემლო კომპიუტერული სამსახური
თბილისი 1995 Tbilissi

1995 წლის 8-12 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისში გოეთეს ინსტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე: საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში.
წიგნში ქვეყნდება სემინარის მასალები.

რედაქტორები: რისმაგ გორდეზიანი
პეტერ ჰოშელე

Internationales Seminar der Universität Tbilissi in Zusammenarbeit mit dem Goethe-Institut Tbilissi, vom 08.-12.05.1995
Thema: Reform der Universitätsbildung in Georgien
Im Buch werden die Materialien des Seminars veröffentlicht.

Herausgeber: Rismag Gordesiani
Peter Höschele

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1995

შინაარსი

წინათქმა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი *რევაზ მეტრეველი* 6

მისალმებები 11

რისჩარდ გორდეზიანი (თსკ პროორექტორი) 11

თამაზ კვაჭანტირაძე (საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი) 12

ფრედ ნილსენი (საქართველოში გფრ-ის ელჩის მოადგილე) 15

პეტერ ჰიშელე (თბილისში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი) 16

მოხსენებები 18

რისჩარდ გორდეზიანი (თბილისი)

განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში და საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია 18

ფოლფგანგ მიტერი (ფრანკფურტი მაინზე)

უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი საკითხები გერმანიაში 43

ჯიმ რაშბროკი (ეფორეიკა)

საუნივერსიტეტო განათლების სისტემა დიდ ბრიტანეთში 67

დამატება 77

ჯეიმს ბანისტერი (აშშ საელჩო საქართველოში)

საუნივერსიტეტო განათლების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში 80

სერჟ ანდრიე (საფრანგეთის საელჩო საქართველოში)

უმაღლესი განათლების სისტემა საფრანგეთში 2000 წლამდე 89

საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენელთა გამოსვლები 98

რევაზ ხუროძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი) 98

ნაბოლეონ ქარქაშაძე (აგრარული უნივერსიტეტის რექტორი) 104

რევაზ ხეცურიანი (სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი) 109

ვასრანგ სართანია (პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი) 116

ოთარ ჟორდანია (თსუ სოხუმის ფილიალის რექტორი) 118

პარმენ მარგველაშვილი (თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი) 122

პეტერ პოშელე

გოეთეს ინსტიტუტის საქმიანობა 129

საერთაშორისო სემინარის: „საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა“ რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი 134

დისკუსია 137

უნივერსიტეტის დეფინიცია 137

სამეცნიერო ხარისხების მინიჭება 141

დიპლომთა ურთიერთაღიარება 141

სხვადასხვა 142

რეზიუმე ბერძნულ ენაზე 144

INHALTSVERZEICHNIS

VORWORT – Rektor der Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi, *Prof. Dr. Roin Metreweli)* 6

BEGRÜßUNGEN 11

Rismag Gordesiani (Prorektor der Universitat Tbilissi) 11

Tamas Kwatschantiradse (Bildungsminister der Republik Georgien) 12

Fried Nielsen (Ständiger Vertreter des Botschafters der BRD) 15

Peter Höschele (Goethe-Institut in Tbilissi) 16

VORTRÄGE 18

Rismag Gordesiani (Tbilissi)

Reform des Bildungssystems in Georgien und Konzeption der Hochschulbildung 18

Wolfgang Mitter (Frankfurt/ Main)

Das Universitätsbildungssystem in der Bundesrepublik Deutschland 43

Jim Rushton (Warwick)

Das Universitätsbildungssystem in Großbritannien 67

James Hutchison (Botschaft der USA in Tbilissi)

Das Universitätsbildungssystem der U.S.A. 80

Serge Andrieu (Französische Botschaft in Tbilissi)

Das Universitätsbildungssystem Frankreichs bis zum Jahre 2000 89

DIE REKTOREN GEORGISCHER UNIVERSITÄTEN 98

R. Churodse (Technische Universität) 98

N. Karkaschadse (Agraruniversität) 104

R. Chezuriani (Medizinuniversität) 109

W. Sartania (Pädagogische Universität) 116

O. Jordania (Filiale der Universität Tbilissi in Suchumi) 118

P. Margvelaschwili (Unabhängige Universität) 122

Peter Höschele

Über die Tätigkeit des Goethe-Instituts 129

DISKUSSION 137

RESÜMEE IN DEUTSCHER SPRACHE 144

EMPFEHLUNGEN IN DEUTSCHER SPRACHE 145

უმაღლესი განათლების მოძაკალი დღეს მსოფლიოს კულტურული საზოგადოების ყურადღების თვალსაწიერშია მოქცეული. ჩვენ გვიხდება გაწეული საქმიანობის შეჯამება ორი საუკუნის გასაყარზე. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მემკვიდრეობას მიიღებს XXI საუკუნე ამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე XX საუკუნისაგან.

უკანასკნელი სამი ათეული წელია, რაც ინტენსიურად გაისმის ლაპარაკი უმაღლესი სკოლის გარდაქმნის თაობაზე. ჩვენ რეალურად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მასშტაბის პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ თუ რეგიონალურ საკითხებთან და სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ უნივერსიტეტების როლი ქვეყნების ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე განვითარების პროცესში.

უმაღლეს სკოლას უზარმაზარი პასუხისმგებლობა ეკისრება ერის წინაშე. რა მდგომარეობაშია დღეს უმაღლესი განათლება საერთოდ და კერძოდ საქართველოში? რა პესპექტივები აქვს სამომავლოდ?

ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ალბათ შეუძლებელია. ზოგიერთი ტენდენცია გამოკვეთილია: გაზრდილი ინტერესი უმაღლესი განათლების მიღებისადმი. შემთხვევითი არაა, რომ ჩვენში იზრდება როგორც სწავლის მსურველთა, ისე რეალურ სტუდენტთა რიცხვი (ცხადია, მხედველობაში არ გვაქვს ეგრერიგად მომრავლებული კერძო უმაღლესი სასწავლებლები); განვითარდა და მჭიდრო გახდა ურთიერთობები საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან. ინტენსიური გახდა სხვადასხვა ქვეყნებთან კავშირები, რამაც თავის

მხრივ ახალი ამოცანები დააყენა უმაღლესი სკოლის წინაშე. მოხდა ისე, რომ უმაღლესი სკოლის გარდაქმნის აუცილებლობა, თანამედროვე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებთან მისი შეხამება სხვადასხვა სახელმწიფოთა მესვეურებმა სცნეს გადაუდებელ საჭიროებად. თავისთავად განათლების სისტემის განვითარება-გარდაქმნის პროცესი ხანგრძლივია და შეიძლება ითქვას, გაუსრულებელი. კონკრეტული მომენტის ამოცანაა უმაღლესი განათლების მაქსიმალურად რაციონალური მოდელის შექმნა. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებმა რამდენადმე იპოვეს თავისი თავი და სწავლების მოხერხებული სისტემა შექმნეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ დღეანდელ საქართველოში, ფაქტობრივად სრულიად ახალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების პირობებში, რეალურად დადგა განათლების სისტემის გარდაქმნის საკითხი. აუცილებელია განათლების შინაარსის, ეკონომიკის მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის ახლებურად გააზრება.

აუცილებელია საქართველოში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, განათლება გაძოცხადდეს სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. მხოლოდ განათლების პრიორიტეტულობაშია ქვეყნის ხსნა. მსოფლიომ ამის მრავალი მაგალითი იცის.

ახალი, გაზრდილი და გართულებული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შექმნა საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, დაამტკიცა სამეცნიერო საბჭოზე და უკვე მესამე წელია მის მიხედვით მუშაობს. საუნივერსიტეტო კონცეფციაში ფაქტობრივად გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მიღწევები, საქართველოს საგანმანათლებლო ტრადიციები დი იგი, ჩვენი აზრით, სავსებით პასუხობს დღეანდელობის პრობლემებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს ორ ეტაპზე ამზადებს: პირველი ოთხი წელი მოიცავს და ამზადებს

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებს, რაც მათ აძლევს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსს და უფლებას იმუშაონ განათლების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამის სფეროებში. მეორე ეტაპზე წარჩინებული ბაკალავრებისაგან ამზადებენ მაგისტრებს (2 წელი). სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა და ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრს უფლება აქვს დაიკავოს გიმნაზიისა და ლიცეუმის მასწავლებლის თანამდებობა, სახელმწიფო მოხელის თანამდებობა (სათანადო ნომენკლატურა), განაგრძოს მომზადება ასპირანტურაში და ა. შ.

უნივერსიტეტის არსებობა-ფუნქციონირება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომელნიც უნდა ითვალისწინებდნენ: ბაკალავრის მომზადების დროის მოცულობის ძირითად პარამეტრებს, სასწავლო პროცესის ფორმებსა და მათი (ლექციის წაკითხვა, სემინარის ჩატარება) განხორციელების უფლების მქონე ძირითად კატეგორიებს, სასწავლო პროცესის გასავლელად აუცილებელი სალექციო, სასემინარო თუ პრაქტიკული საათების რაოდენობასა და მათ თანაფარდობას, მსოფლიო წამყვან უნივერსიტეტებში მიღებული აუცილებელი საუნივერსიტეტო კურსების საკალდებულო წაკითხვას და სხვა.

საქართველოს უახლოეს პერიოდში ესაჭიროება განათლების სახელმწიფოებრივი სტანდარტის შემუშავება (ამის ცდები უკვე არის) და დამტკიცება. ამ ფონზე სააკრედიტაციო-საატესტაციო სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში წარმოჩნდება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რეალური სახე და გაირკვევა იმ სამასზე მეტი კერძო უმაღლესი სასწავლებლის ბედი, რომლებიც მთელ საქართველოში სოკოებივით მომრავლდნენ. სახელმწიფო სტანდარტმა უნდა დააფიქსიროს ის აუცილებელი ცოდნა, უნარი და ჩვევა, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს სათანადო კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტი.

ჩვენი აზრით, განათლების სისტემის გარდაქმნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ის მიღწევები, რაც აქამდე მოგვიპოვებია. ამ საფუძველს უნდა შეერწყას ყველა სიახლე, რომლის შემოღება-გატარებასაც ვფიქრობთ. განათლების სისტემის რეფორმა-გარდაქმნა აუცილებლად ევოლუციური გზით უნდა გატარდეს. აქ ნგრევა უნდა გამოვრიცხოთ.

გარდაქმნის ძირითადი სუბიექტები უთუოდ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები უნდა იყვნენ, რომელთაც რეალური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება გააჩნიათ.

განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ჩვენში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ამ ორი წლის წინ შემუშავდა საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, სადაც გათვალისწინებული იქნა მსოფლიოს უმაღლესი საწავლებლების გამოცდილება და ის სპეციფიკა, რაც ჩვენშია. ფაქტობრივად ჩვენ მივიღეთ უმაღლესი განათლების ახალი მოდელი, რომელიც ახლოა დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ მოდელებთან. ამასთან არ დაგვიკარგავს ის მდიდარი გამოცდილება, რაც ჩვენში ათეული წლების მანძილზე დაგროვდა. ამის საფუძველზე უმაღლესი განათლების კონცეფცია მიიღო საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭომ (გარკვეული ცვლილებების შეტანით).

ამჟამად მუშავდება განათლების რეფორმა და მისი რეალიზაციის გეგმა. მხედველობაშია უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა.

განათლების, კერძოდ უმაღლესი განათლების, რეფორმის გზაზე არაერთი მნიშვნელოვანი კონსულტაცია, შეხვედრა, თათბირი, სემინარი და სხვა ღონისძიება ჩატარდა. ერთი ამათგანია საერთაშორისო სემინარი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა და უმაღლესი განათლების გარდაქმნის პრობლემებს მიეძღვნა.

წინამდებარე კრებულში სწორედ ეს მასალებია გამოქვეყნებული. ესაა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს განათლების სისტემის, საუნივერსიტეტო კონცეფციის საბოლოო ჩამოყალიბებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი.

რისმაგ გორდეზიანი *(თსუ პროექტორი)*

დღეს იწყებს მუშაობას საერთაშორისო სემინარი: საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისში გოეთეს ინსტიტუტის, პირადად მისი დირექტორის ბატონ პოშელეს ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. ეს, ფაქტობრივად, ჩვენ ორ ქვეყანას შორის უკვე ტრადიციად ქცეული კეთილგანწყობილი და საქმიანი ურთიერთობების კიდევ ერთი არსებითი გამოვლენაა.

სემინარის აქტუალობას ზრდის ის, რომ ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საერთოდ განათლების სისტემის რეფორმის მამართულებით, რაშიც, ბუნებრივია, ჩართულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მოგეხსენებათ, რომ სემინარი საერთოდ გამოირჩეა მუშაობის საქმიანი ფორმით და დისკუსიისათვის ფართო გასაქანის მიცემით. ვფიქრობთ, ყველა, ვინც გაეცნო პროგრამას, სემინარში მუდმივად მონაწილეობის მსურველების სიას, დამეთანხმება, რომ ჩვენ სწორედ ამგვარი ატმოსფეროს შექმნას ვაპირებთ.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო განათლების სფეროში დასავლეთის ქვეყნების ექსპერტთა მოსმენას, იმის გარკვევას, თუ როგორ აფასებენ ისინი საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის ძირითად მიმართულებებს ჩვენს ქვეყანაში. სემინარში მონაწილეობას მიიღებენ, მე მათ გამოსვლების მიმდევრობის მიხედვით ჩამოვთვლი, პროფესორი მიტერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), პროფესორი რაშთონი

(დიდი ბრიტანეთი), ბ-ნი ჰაჩისონი (ამერიკის შეერთებული შტატები), ბატონი ანდრიე (საფრანგეთი).

მინდა მათ გულწრფელი მადლობა მოვახსენო თანამშრომლობისათვის. სემინარის მონაწილეთა შორის არიან არა მარტო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, რაც ჩვენი თავყრილობის თემის მიმართ ფართო ინტერესის გამოხატულებაა. ჩვენ დაებეჭდეთ სია მათი, ვინც სემინარში მუდმივად მონაწილეობის სურვილი განაცხადა. თუკი ამგვარი სურვილი დარბაზში დღეს დამსწრეთაგან სხვათაც გააჩნიათ, სიამოვნებით შევიყვანთ მათ ამ სიაში.

სემინარის გახსნას ესწრებიან საქართველოს განათლების მინისტრი ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილე ბატონი ფრედ ნილსენი. გულწრფელად მივესალმები მათ და მადლობას მოვახსენებ მობრძანებისათვის.

მინდა გადმოგცეთ უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მისალმება და კეთილი სურვილები სემინარის ყველა მონაწილეს. იგი ამჟამად გერმანიაში იმყოფება ჩვენი ხალხების კულტურული ურთიერთობების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

იმ იმედით, რომ ჩვენი თავყრილობა წარიმართება მაღალ დონეზე და რეალურად წაადგება საქართველოში განათლების, კერძოდ, საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის საქმეს, ნება მომეცით სემინარი გახსნილად გამოვაცხადო და ეუსურვო მას წარმატებული მუშაობა.

თამაზ კვაჭანტირაძე *(საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი)*

ბატონებო, ნება მომეცით საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მთელი განათლების სფეროს მუშაკთა

სახელით მიეესალმო საერთაშორისო სემინარის მონაწილეებს და მადლობა მოეახსენო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისში გოეთეს ინსტიტუტს ამგვარი მაღალი წარმომადგენლობითი სემინარის ორგანიზებისათვის. სემინარის ძირითადი თემა რეფორმაა, უფრო ზუსტად განათლების რეფორმა და, თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ, საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა. დღეს საქართველოში არ არსებობს უფრო აქტუალური თემა, ვიდრე რეფორმა. რეფორმაზე ლაპარაკობენ, რეფორმას ელიან, რეფორმას იმედით უყურებენ, რეფორმის ეშინიათ და ა. შ. და, როგორც ყოველთვის, რეფორმაზე ლაპარაკი უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე რეფორმის კეთება. თუმცა ეს არ ეხება ჩვენს სემინარს, რომელზედაც საუბარი, დისპუტი, აზრთა გაზიარება, რეფორმის სიტყვიდან საქმედ ქცევას უნდა ემსახურებოდეს და რეფორმის ამოქმედებას უნდა ისახავდეს მიზნად. განათლება თავისი ბუნებით შემაკავშირებელი, გამაერთიანებელი მოვლენაა. იზოლირებული, დახშული, ჩაკეტილი განათლების სისტემები, ჩვეულებრივ, ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს. ჩვენი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ დავუახლოვდეთ ევროპული განათლების სტანდარტებს, ფაქტობრივად, დავბრუნდეთ იმ საგანმანათლებლო არეალში, რომელშიც ისტორიულად ვიყავით და უნდა ვიყოთ როგორც უძველესი ქრისტიანული კულტურის მქონენი. მეორე, ჩვენ ასე გვესახება, რომ როგორიც გვინდა ჩვენი ქვეყანა იყოს ხვალ, ისეთი განათლების სისტემა უნდა შევქმნათ დღეს. ამაში ვხედავთ ჩვენ განათლების სტრატეგიულ წინმსწრებ მისიას – როგორი ქვეყანაც გვინდა გვქონდეს ხვალ, ისეთი განათლების სისტემა უნდა შევქმნათ დღეს. ჩვენ გვინდა ავაშენოთ დემოკრატიული, გახსნილი, ჰუმანური საზოგადოება; შესაბამისად ჩვენი განათლების სისტემა უნდა გაჰუმანურდეს, გაიხსნას, გადემოკრატიულდეს. მოკლედ, რომ ჩამოვაყალიბოთ, ხვალინდელი დემოკრატიული საქართველო ნიშნავს განათლების სკოლის დემოკრატიზაციას. სუვერენულ

საქართველოში უნდა მოხდეს სკოლის ავტონომიზაცია. გახსნილი, სამოქალაქო საზოგადოების მაშენებელ საქართველოში სკოლა, განათლება ღია, გახსნილი უნდა იყოს. საკუთრების ნაირგვარი ფორმის საზოგადოებაში, საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებაში სკოლა მრავალვარიანტული უნდა იყოს. ჰუმანისტური, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრიორიტეტულობის მალიარებელმა ქვეყანამ, რომელიც ევროპული ინტეგრაციისაკენ მიისწრაფვის, განათლების სკოლის ჰუმანიზაციაც უნდა მოახდინოს. ზოგჯერ ალბათ გაიგონებთ, რეფორმა განათლების სისტემაში უნდა დაიწყოთ დაბალი საფეხურიდან და მერე ნელ-ნელა ავეკეთ ზემოთ. თუ ეს ეხება განათლების რეფორმის ტაქტიკას, მაშინ ამგვარი პოზიცია მეტ-ნაკლებად გასაგები შეიძლება იყოს. მაგრამ რეფორმის სტრატეგიული ობიექტი უნდა იყოს, ჩემი აზრით, უმაღლესი განათლება და მისი ფლაგმანი საუნივერსიტეტო განათლება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საუნივერსიტეტო განათლება არის დამაგვირგვინებელი საფეხური, რომელიც ერთგვარ გამოსავალ პროდუქტს ქმნის და ამ გამოსავალი პროდუქტის ფორმირება არის გადამწყვეტი, რადგან ის, ეს პოდუქტი, უბრუნდება ისევ სკოლას, მის დაწყებით საფეხურებს და მის სახეს განსაზღვრავს. ამიტომ, როგორიც იქნება დღეს უმაღლესი სკოლა, ისეთი იქნება ხვალ საშუალო და დაწყებითი სკოლა. ამიტომ მე ამ სემინარს განვიხილავ არა როგორც მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის ხელშემწყობ მოვლენას, არამედ მთლიანად ჩვენი განათლების რეფორმის აუცილებელ ეტაპს. ამ შეგრძნებით მინდა გისურვოთ წარმატებები სემინარის მუშაობაში.

ფრედ ნილსენი (საქართველოში გფრ-ის ელჩის მოადგილე)

ღრმადპატივცემულო მინისტრო, ღრმადპატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ! ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ! მე მაქვს პატივი დაესწრო უნივერსიტეტის ამ მაღალ სხდომას. ძალზედ მოხარულნი ვართ, რომ გოეთეს ინსტიტუტი გაიხსნა საქართველოში. ამ ბოლო ღროს გერმანიას არ გააჩნია სათანადო სახსრები ასეთი ღონისძიებებისათვის, მაგრამ საქართველოში გაიხსნა გოეთეს ინსტიტუტი. როგორც კი ჩვენ შევძლებთ მივიღოთ სათანადო შენობა გოეთეს ინსტიტუტისათვის, ჩვენ მუშაობას შესაბამის დონეზე ავაწყობთ, შეეცდებით გავხსნათ ბიბლიოთეკა, რომლითაც შეეძლება ყველას სარგებლობა. უნივერსიტეტის რეფორმის საკითხთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ბევრის თქმა არ შემიძლია. როგორც მოგეხსენებათ, ასეა თუ ისე უნივერსიტეტები ჩვენთან ფუნქციონირებენ. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოშიც მოღვაწეობენ შესანიშნავი პროფესორები, შესანიშნავი მეცნიერები. დარბაზში წარმოდგენილია ჰუმბოლდტის, თუ გერმანიის მიერ დაწესებული სხვა არა ერთი სტიპენდიის მფლობელი. უმთავრეს და ურთულეს ამოცანად დღეს ჩვენთან რჩება ფინანსების პრობლემა, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა, პროფესორმა და მეცნიერმა ჩვენი დახმარებით შეძლოს გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კვალავაც მხარს დაუჭერს უნივერსიტეტს ამ მიმართულებით. განსაკუთრებით გულთბილად მინდა მივესალმო სტუმრებს გერმანიიდან და ინგლისიდან, დიდ წარმატებას ვუსურვებ თითოეულ თქვენგანს სემინარის მუშაობაში.

პეტერ ჰოშელე (თბილისში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი)

ქალბატონებო და ბატონებო! მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ; ეს არის პირველი სემინარი, რომელსაც გოეთეს ინსტიტუტი ატარებს საქართველოში და აფინანსებს გარკვეულწილად. ეს არის ჩვენთვის სამაგალითო, რადგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი არის ყველაზე პრესტიჟული სასწავლო დაწესებულება საქართველოში და მასთან თანამშრომლობა დიდი სიამოვნებაა ჩვენთვის. მოხარულები ვართ, რომ თანამშრომლობა გეახდება, დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი სემინარი და იგი იმართება ასევე ძალზე მნიშვნელოვან დროს. თქვენ უნდა იმსჯელოთ, თუ როგორი იქნება განათლების სისტემა საქართველოში შემდგომ პერიოდში. თუ ჩვენ აქ შედეგიანად ვიმუშავებთ, ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ საქართველოს განათლების სისტემა მომავალში ძალიან კარგი იქნება. მე მადლობელი ვარ და მიხარია, რომ ამდენი ექსპერტი შეიკრიბა ამ სემინარში მონაწილეობის მისაღებად. გოეთეს ინსტიტუტს შეუძლია მოიწვიოს გერმანელი ექსპერტი და თქვენ ალბათ იცით, რომ ბ-ნი მიტერი ფრანკფურტიდან არის აქ ჩამოსული. მაგრამ მე ვიფიქრე, რომ უმჯობესი იქნებოდა თქვენთვის, რომ არა მხოლოდ გერმანელი სპეციალისტის ასრი მოგესმინათ, არამედ სხვა ქვეყნებისაც. ამიტომ უღრმეს მადლობას ვუხდი ბრიტანეთის საელჩოს, რომ მათ დაპატიჟეს პროფ. რაშტონი უორუიკის უნივერსიტეტიდან, რათა მონაწილეობა მიეღო ამ სემინარის მუშაობაში და ეს დააფინანსეს კიდეც. მე აგრეთვე მადლობას ვუხდი საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებს, რომ მათი მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი სერე ანდრიე და ბ-ნი ჰაჩისონი. და ბოლოს, დაეძენ, რომ დღეს არის 8 მაისი. 50 წლის წინ დასრულდა სამამულო ომი. გერმანია სრულიად განადგურდა და მილიონობით ლტოლვილმა დატოვა ქალაქები და სოფლები. ნაცისტების რუ-

ჟიმი დაიმსხერა და ამან ჩემს სამშობლოს მოუტანა დეზორი ენტაცია მოსახლეობისა. გერმანელები იდგნენ დილემის წინაშე, როგორ უნდა გაეგრძელებინათ მომავალი ცხოვრება და რა უნდა ყოფილიყო საერთოდ მომავალში. რა მიმართულებით უნდა შეეცვალათ მათ თავიანთი ცხოვრებისეული შეხედულებები.

ჩვენ მაშინ გექონდა დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია, როგორიც თქვენ გაქვთ ახლა. ამიტომაც ჩემი ულრმესი სურ-ვილია, რომ ამ სემინარის შედეგი ნაყოფიერი იყოს.

რისმაგ გორდეზიანი *(თბილისი)*

განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში და საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია

ერთი წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში რამდენიმე თვის დისკუსიის შემდეგ მივიღეთ საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან ცვლილებებს უნივერსიტეტის მუშაობის ყველა სფეროში. უკვე მაშინ აშკარა იყო, რომ ამგვარი რეფორმის გატარება აუცილებლად უნდა დაკავშირებოდა არსებით გარდაქმნებს საერთოდ განათლების სისტემაში, რომ დროთა განმავლობაში უნივერსიტეტს მოუწევდა ზოგადად რესპუბლიკის განათლების კონცეფციის გამომუშავების პროცესში ჩართვა და საკუთარი სიტყვის თქმა.

ახლა, მოგეხსენებათ, რეფორმისტული მუშაობა მთელი ძალით მიმდინარეობს საქართველოში. განათლების პრიორიტეტულობას საზოგადოებისათვის დეკლარირების დონეზე ყველა გარკვევით აღიარებს, მაგრამ, თუ როგორ უნდა გამოიხატოს ეს პრინციპი ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამაზე ჯერჯერობით საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, სრულიად უცილობელი ფაქტია, რომ განათლების სფეროში დღეს შეგვიძლია ვილაპარაკოთ პროგრესზე კონცეპტუალურ სფეროში, მაგრამ, რაც შე-

ეხება რეალურ მდგომარეობას, აქ ხშირ შემთხვევაში რეგრესი შემაძრწუნებელ მასშტაბებს იღებს. ჩვენ თვალწინ ხდება წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურების რღვევა, სკოლის თუ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა ეკონომიკური დაკნინება, სულ რამდენიმე წლის წინ უფასო ან უიაფესი სახელმძღვანელოებით განებიერებული ახალგაზრდების, ფაქტობრივად, სახელმძღვანელოთა გარეშე დატოვება (ან მათი გამოუცემლობის ან საოცარი სიძვირის მიზეზით), თავად სახელმძღვანელოთა პოტენციური აუტორების ენთუზიაზმის დაქვეითება, რადგან სახელმძღვანელოს გამოცემა დღეს საკმაოდ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მათი გაღების საშუალება კი ოითქმის აღარავის აქვს. თავი რომ დავანებოთ სხვა ნეგატიურ მომენტებს, ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ განათლება, რომლის დაფინანსება სახელმწიფოს აქვს დაკისრებული, ფაქტობრივად, სახელმწიფოსაგან აღარ ფინანსდება.

ყველასათვის ნათელია: საკმარისია, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს ამგვარი ყითარება, რომ ჩვენ შეიძლება ერთობ საეალალო შედეგების წინაშე აღმოვჩნდეთ. ამ ეითარებაში სულ უფრო და უფრო ხშირად მოისმენთ ბევრი ჩვენი კოლეგის სრულიად ლოგიკურად დასმულ შეკითხვას: კი მაგრამ არის კი საერთოდ საჭირო, რომ ჩვენ ამჟამად მოქმედი განათლების სისტემის შეცვლაზე ვიფიქროთ, ხომ არ დავტოვოთ ყველაფერი ხელუხლებლად, განა ცუდ თაობებს ზრდიდა ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, განა ვერ ამზადებდა სათანადო სპეციალისტებს ჩვენი უმაღლესი სკოლა?

ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე სრულიად შეუძლებელია რაიმე რეფორმის დაწყება, რადგან რეფორმა არ შეიძლება თვითმიზანი იყოს, მის განხორციელებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი დარწმუნებული ვიქნებით, რომ იგი სისტემის რადიკალურ გაუმჯობესებაზე არის ორიენტირებული. თუკი რეფორმა ვერავითარ სიკეთეს ვერ მოგვიტანს ან, პირიქით,

სულაც გააუარესებს უკვე არსებულ მდგომარეობს, მაშინ გაუგებარია, რა საჭიროა მისი ჩატარება.

ჩემი ღრმა რწმენით რეფორმის ჩატარება დღეს აუცილებელია რამდენიმე პრინციპული მოსაზრების გამო: ა) მოხდა რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. ნუ ვიდავებთ ახლა იმაზე, თუ რა ხარისხით და რამდენად რელიეფურად, მაგრამ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ხოლო სოციალისტური სისტემა აქ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, თუნდაც მის ყველაზე ველურ ფორმაზე, ორიენტირებული ფორმაციით შეიცვალა. საკუთრებით ბუნებრივია, რომ საკავშირო ცენტრიდან მართული სოციალისტურ პრინციპებზე აწყობილი ყოფილი სისტემა ვერ შეძლებს ამ ვითარებაში ნორმალურ ფუნქციონირებას არსებითი რეორგანიზაციის გარეშე, ბ) ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებისკენაც ჩვენ მივდივართ, გულისხმობს მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას შორის ცხოვრების ადეკვატური, რეალური მიმართების დამყარებას. დღეს, პრაქტიკულად, ყველა ახალგაზრდას, რომელიც შეეიდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, აქვს საშუალება დაამთავროს სკოლა და განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. საბჭოთა წყობილების დროს სახელმწიფო მშვენივრად გრძნობდა, რომ შეუძლებელია არსებობდეს თუნდაც თეორიული შესაძლებლობა იმისა, რამდენი კაციც დაამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, იმდენივემ დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ იგი უნივერსიტეტებსა თუ ინსტიტუტებში სწავლის გაგრძელების მსურველთ ძირითად ფილტრს კონტინგენტის მკაფიოდ განსაზღვრითა და მკაცრი საკონკურსო გამოცდებით ახვედრებდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩატარებისას. ფაქტობრივად, მისაღები გამოცდები იყო სახელმწიფოს ხელში საზოგადოების დაკომპლექტების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რაც საშუალებას ქმნიდა უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობა სკოლადამთავრებულთა საერთო რაოდენობის 14 პროცენტზე ზევით არ ასულიყო. თუკი ამგვარი

მექანიზმი გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა, დროთა განმავლობაში მან დეგრადაცია დაიწყო. უმაღლესი სასწავლებლის მიერ მისაღები გამოცდების სახით აღმართული ბარიერის გადასალახავად ხალხი ათას კანონიერ თუ უკანონო საშუალებას მიმართავდა, დაწყებული აბიტურიენტთა სპეციალურად დაქირავებულ რეპეტიტორებთან მომსადებით დამთავრებული ანგარების მოყვარულ მშველელთა ძიებით. ქვეყანაში მომხდარმა რადიკალურმა ცვლილებებმა ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ელემენტარული, საბაზრო გზა შემოგვთავაზა: გაიხსნას იმდენი უმაღლესი სასწავლებელი, რამდენის მოთხოვნილებაცაა. და საქართველოში მოხდა მართლაც სასწაული. თუკი ხუთიოდე წლის წინათ სულ ოცამდე უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა 'მათმა რაოდენობამ სამ ასეულს გადააჭარბა. პრაქტიკულად ამჟამად ყველა სკოლადამთავრებულს აქვს საშუალება მიიღოს უმაღლესი განათლება; შესაბამისად, საზოგადოებაში სკოლადამთავრებულთა ახალ თაობებში თანაფარდობა სტუდენტთა და არასტუდენტთა შორის აშკარად პირველთა სასარგებლოდ შეიცვალა. დღეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ, როცა მათი აბსოლუტური უმეტესობა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკომპლექტებული (ჯერჯერობით მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კურსები აქვს), გვყავს დაახლოებით 150 000 სტუდენტი. სკოლას ყოველწლიურად ამთავრებს 60 000 ახალგაზრდა. ამდენად სტუდენტთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულთა უკვე 60 პროცენტზე მეტს შეადგენს. თუკი მოვლენების განვითარება ამგვარად წარიმართა, სულ მალე მონაცემი 80 პროცენტზე ავა. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს თავად უმაღლესი განათლების იდეის სრულ დევალვაციას, განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ ამ უმაღლეს სასწავლებელთა უდიდესი ნაწილის დონესა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შესაბამისად, რეალურ შესაძლებლობას, მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. აღვილი წარმოსადგენია,

რა სოციალური პრობლემები შეიქმნება წლების შემდგომ ჩვენ საზოგადოებაში, რომელსაც ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში აშკარად არ უჭირავს სახარბიელო ადგილი და რომელიც უმაღლესი განათლების სტატუსის მქონე სპეციალისტთა რაოდენობით აშკარად ბევრად მოიტოვებს უკან ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს; გ) აეტორიტეტული სახელწოდებებით გატაცებამ, ერთი მხრივ, ამა თუ იმ სტატუსის უმაღლესი სასწავლებლებისათვის მკაცრი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის უქონლობამ, მეორეს მხრივ, საოცარი ქაოსი შექმნა ამჟამად საქართველოში სასწავლებლის ტიპებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრის სფეროში. ისეთმა სახელწოდებებმა, როგორიცაა, აკადემია, უნივერსიტეტი, გიმნაზია მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ამა თუ იმ სასწავლებლის აღნიშვნისას, იმის გაუთვალისწინებლად, რამდენად ადეკვატურია ეს სახელწოდება კონკრეტული სასწავლების ფუნქციისა. გაგახსენებთ, სულ რაღაც 10 წლის წინათ, როდესაც ყველა უმაღლესი სასწავლებელი ერთსა და იმავე იურიდიული ძალის დიპლომს გასცემდა, როდესაც არავითარი განსხვავება არ იყო •პროფესორმასწავლებელთა ხელფასებში, საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტრო კატეგორიული წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭებინა ისეთი უმაღლესი სკოლისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. აქედან გამომდინარე სულ უკანასკნელ ხანებამდე საქართველოში იყო ერთადერთი უნივერსიტეტი; ამჟამად სახელმწიფო თუ სამეურნეო ანგარიშზე მოქმედ, უნივერსიტეტად წოდებულ სასწავლო დაწესებულებათა რაოდენობით ჩვენ ალბათ ბევრად ვაჭარბებთ არაერთ წამყვან ქვეყანას მსოფლიოში, რომელიც მნიშვნელოვნად აღგვემატება მოსახლეობის რაოდენობით. ბუნებრივია, ამგვარი ვითარება უთუოდ სვამს .:l სფეროში წესრიგის დამყარების აუცილებლობის საკითხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში ჩვენ აუცილებლად მიგვაჩ-

ნია. იგი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: 1) არსებული რეალობებისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით მოხდეს მთელი სისტემის სტრუქტურული მოწესრიგება, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემის მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც უკვე მომხდარი ცვლილებების მხედველობაში მიღებით ზღვარს დაუდებდა ქაოტურობას და მისცემდა სისტემას მეტნაკლებად მწყობრსა და ლოგიკურ ფორმას. მისი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს განათლების იმგვარი საფეხურების შექმნა, რომლებიც მოსწავლეთა ნიჭის, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად უკვე სასკოლო განათლების დონეზე მოახდენდა მათ ორიენტაციას სკოლისშემდგომი საქმიანობის ძირითად სფეროებზე, განსაზღვრავდა, თუ რა ატესტატი რა პერსპექტივას უსახავს ახალგაზრდას. საზოგადოების ინტერესების შესაბამისი თანაფარდობების დასამყარებლად •სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მოქალაქეებს შორის უკვე სკოლის დონეზე ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების პირველად შერჩევას მიდრეკილებათა მიხედვით, 2) ჩამოყალიბდეს ძირითადი სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტები სწავლების უმთავრესი პარამეტრების მიხედვით, რომლებიც გამოკვეთავდნენ შესაბამისობას სასწავლებლის სახელსა და ფუნქციას შორის და დაადგენდნენ საბაზო ცოდნის იმ მინიმალური მოცულობის საზღვრებს, რომელთა დაცვის გარეშე სასწავლებელს არ ექნება უფლება მისცეს შესაბამისი სტატუსის მქონე სახელმწიფოს მიერ აღიარებული ასტესტატი თუ დიპლომი, 3) დადგინდეს განათლების რეალური ფასი აღზრდისა და სწავლების სხვადასხვა დონეზე, განისაზღროს დაფინანსების წყაროები და პირობები, სახელმწიფო გარანტიების მასშტაბები ამ სფეროში.

მართალია, ჩემი მოხსენების ძირითადი მიზანი საუნივერსიტეტო განათლების რეფორმაზე მსჯელობაა, მაგრამ ძალზე მოკლედ მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განათლების სისტემის

იმ მოდელის შესახებ, რომელიც ამჟამად აქტიურად განიხილება სამთავრობო კომისიის მიერ.

განათლების პროცესი აგებულია უწყვეტი განათლების პრინციპზე, მაგრამ იგი მოიცავს თავისთავი შინაარსითა და მიზნებით კარგადგანსაზღვრულ პერიოდებს, რომელთაც განათლების საფეხურები ეწოდებათ. ისინი თავის მხრივ შეიძლება ეტაპებისაგან შედგებოდნენ.

ამ მოდელის მიხედვით განათლების პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებსა და ეტაპებს, რომელთაც შეესაბამება შემდეგი ტიპის სასწავლებლები:

1. სკოლამდელი აღზრდის საფეხური. მოიცავს ექვს წლამდე ბავშვებს. ფუნქციონირებენ საბავშვო ბაღები და სკოლამდელი აღზრდის სხვა ფორმები.

2. საბაზისო განათლების საფეხური. მოიცავს ორ ეტაპს:

ა) ელემენტარული განათლების (I-VI კლასები); ფუნქციონირებს ელემენტარული სკოლა.

ბ) ძირითადი განათლების (VII-IX) კლასები; ფუნქციონირებს ძირითადი სკოლა და გიმნაზიის პირველი საფეხური (პროგიმნაზია).

საბაზისო განათლება სასკოლო განათლების სავალდებულო საფეხურია 16 წლის ასაკამდე. თუკი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო მოსწავლე ამ საფეხურის გავლას მეტ წელს ანდომებს, მაშინ მას აქვს უფლება დაანებოს თავი სწავლას 16 წლის შესრულებისთანავე.

3. საშუალო, საშუალო-პროფილური და დაწყებითი პროფესიული განათლების საფეხური. ხორციელდება გიმნაზიებში, ლიცეუმებში ანუ პროფილურ სასწავლებლებში (მოიცავენ IX-XII კლასებს) და პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებშიც სწავლა 1, 2 ან 3 წელიწადს შეიძლება გაგრძელდეს. შესაბამისად ამ ეტაპზე მოსწავლეების ერთმა ნაწილმა შეიძლება აირჩიოს სწავლის უნივერსალური, ზოგადი განათლების გაღრმავებაზე (გიმნაზია) ან პროფილური – ცალკეული დისცი-

პლინების გაძლიერებულ სწავლებაზე ორიენტირებული (ლიცეუმი) ფორმები, რომლებიც მათ საშუალებას შეუქმნიან გაიარონ უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი ე. წ. სააბიტურიენტო მომზადება. ძირითადი სკოლის დამთავრების შემდგომ ახალგზარდობის მნიშვნელოვანმა მეორე ნაწილმა შეიძლება აირჩიოს სწავლის ის ფორმა, რომლის ძირითადი ფუნქცია ინება მისთვის პროფესიის მიცემა შესაბამისად რეპუბლიკაში შემუშავებული პროფესიების ნომენკლატურისა.

4. საშუალო-სპეციალური განათლების საფეხური სრულდება ხუთწლიან კოლეჯში, რომლის სამი პირველი კურსი თავის ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილში შეეფარდება ლიცეური განათლების პროგრამას, ხოლო ბოლო ორი კურსი უმაღლესი განათლების პირველი ორი წლის პროგრამას. შესაბამისად კოლეჯის დამთავრების შემდეგ აუცილებელი გამოცდების ჩაბარების შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდა შეიძლება ჩაირიცხოს III კურსზე.

5. უმაღლესი განათლების საფეხური მოიცავს ორ ეტაპს — ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადების, პირველს ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლის სტატუსის მქონე ყველა დაწესებულება (უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი, დარგობრივი უმაღლესი სასწავლებელი), ხოლო მეორეს მხოლოდ უნივერსიტეტი ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებელი.

6. უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხური მოიცავს ასპირანტურის ან მაძიებლის 3 წლამდე პერიოდს. ამ ეტაპზე შეიძლება ფუნქციონირებდნენ აგრეთვე სპეციალურად შექმნილი უმაღლესი კურსები ან მიზნობრივი აკადემიები, რომელთაც ეკისრებათ უმაღლესი კვალიფიკაციის ხელმძღვანელთა, პოლიტიკოსთა, დიპლომატთა და ა. შ. მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების გადამზადების დაწესებულებების, ფორმების მთელი სისტემა.

განათლების თითოეულ საფეხურზე დასაშვებია არატიპიურ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი ქსელის არსებობა (სპეციალური დამხმარე საბავშვო ბაღები და სასწავლებლები, სპეციალიზებული სკოლები, საავტორო სკოლები, არააკადემიური სტატუსის სკოლისშემდგომი სასწავლო დაწესებულებები და ა. შ.). ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, თავისი საგანმანათლებლო სტანდარტით შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ტიპის სასწავლებულს, თუმცა ჰქონდეს სასწავლო პროცესის წარმართვის საკუთარი მეთოდიკა. სხვანი, დასაშვებია, არ ისახავდნენ მი'ნად სტანდარტთან შესაბამისობის დამყარებას და სპეციფიკური ფუნქციებით შემოიფარგლებოდნენ.

მთელი ეს სისტემა, როგორც ვხედავთ, აგებულია ე. წ. პირამიდული თანდათანობითი შერჩევის პრინციპზე, რაც, ჩემი აზრით, საშუალებას შექმნის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ბუნებრივად, მე ვიტყოდი, ობიექტურად ხდებოდეს.

რასაკვირველია, ამ სისტემაში საგანგებოდ იკვეთება უმაღლესი და, პირველ რიგში, საუნივერსიტეტო განათლების როლი და ამოცანები.

დღეს საქართველოში უნივერსიტეტის სტატუსი აქვს ცხრა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, პედაგოგიური უნივერსიტეტი, აფხაზეთის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბათუმის უნივერსიტეტი), ამას ემატება ზოგიერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. უნივერსიტეტის სახელწოდებას ატარებს ასევე ალბათ კიდევ რამდენიმე ათეული არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ წინაშე მთელი სერიოზულობით დგება საკითხი: რა არის, საერთოდ უმაღლესი და, კერძოდ, საუნივერსიტეტო განათლება, ხომ არ ვახდენთ ჩვენ, ნებსით თუ უნე-

ბლიედ, თავად განათლების ამ საფეხურის მი'ნებისა და ამოცანების სრულ გაუფასურებას.

მრავალ იმ თავისუფლებათაგან, რაც ჩვენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოგვიტანა, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და, მე ვიტყოდი, ინტენსიურად რეალიზებული იყო თავისუფლება ახალი უმაღლესი სასწავლებლების გახსნის სფეროში. როგორც ჩანს, ამას ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ. ჩვენ საზოგადოებაში არსებულმა ძლიერმა ლტოლვამ, რაც ხშირად ერთობ დრამატულ ხასიათს იღებდა და ცენტრალური კომიტეტის ჩარევით მთავრდებოდა უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების პროცესში. ეფიქრობ, ასევე მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ამ ტიპის სასწავლებლების გამრავლებას ატესტაციისა და აკრედიტაციის სამსახურის ერთობ ფერმკრთალი მუშაობა: საკმარისია დაეხედოთ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც ფუძნდებოდა და ფუძნდება უმაღლესი სკოლები, რომ აშკარა გახდება მათი შეუსაბამობა ნებისმიერ საუნივერსიტეტო ტრადიციების მქონე ქვეყანაში ანალოგიურ მოთხოვნებთან. და, ბოლოს, რასაკვირველია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში ეკონომიკური ფაქტორიც. მსგავსი სასწავლებლები სულ უფრო და უფრო მეტად ხდებიან დიდი ბი'ნესის კერები, რომელნიც ხშირად აშკარად ჩაგრავენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს მასწავლებელთათვის გაცემული ანაზღაურების ოდენობით.

მაგრამ მი'ესია მიზესი საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებული ვითარებისა არის საათანადო კონცეპტუალური და საკანონმდებლო ბაზის უქონლობა. ყველას კარგად გვახსოვს, რა როლს თამაშობდა თითოეული უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში ნორმატიული დოკუმენტების ორტომეული „Высшая школа" თავისი ურიცხვი დამატებებითა და შესწორებებით. დღეს ჩვენ, არსებითად, თავიდან გვიხდება

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, ჩვენში შექმნილი რეალობების გათვალისწინებით ამგვარი დოკუმენტების შექმნა. ამ მხრივ ჩვენმა უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საუნივერსიტეტო განათლების კონცეფციისა და მრავალი იმ ნორმატიული დოკუმენტის შექმნით, რომელიც მოწოდებულია მოაწესრიგოს საუნივერსიტეტო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. კონცეფცია, როგორც მოგეხსენებათ, უკვე გამოცემულია. შევეცდებით, ახალ სასწავლო წელს გამოვაქვეყნოთ წიგნად ყოველივე ის, რაც უკანასკნელ ხანებში იქნა მიღებული ჩვენს უნივერსიტეტში ნორმატიული დოკუმენტების სახით. რამდენადაც კონცეფცია თქვენთვის უკვე კარგად არის ცნობილი, არ შეუდგები მის შესახებ მსჯელობას; მოხსენებაში შევეცდები წინ წამოვწიო ის საკითხები, რომლებიც არსებითად მიგვაჩნია რესპუბლიკაში საუნივერსიტეტო ცხოვრების სწორად დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის.

თავდაპირველად მინდა შეეხო თავად უნივერსიტეტთა ტიპების კლასიფიკაციის საკითხს. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში უმაღლესი განათლების სფეროში მომხდარ ერთ-ერთ არსებით სიახლეს წარმოადგენდა უნივერსიტეტიდან იმ დარგების ცალკე ინსტიტუტებად გამოყოფა, რომელნიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღესაც საუნივერსიტეტო განათლების სტრუქტურასთან არიან ორგანულად დაკავშირებულნი. ასე გახდა, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მშობელი თითქმის ყველა იმ ინსტიტუტისა, რომელმაც დაიწყო ფუნქციონირება დამოუკიდებელ სასწავლო დაწესებულებად საქართველოში. ზოგიერთი ეს უმაღლესი სასწავლებელი, მაგალითად, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გადაიქცა მსხვილ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. მათ ფუნქციონირებაში სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა სწრაფვა მულტიდისციპლინარულობისაკენ. ასევე საქართველოში შეიქმნა მრავალი პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელთა მასშტაბები თანდათანობით ფართოვდებოდა.

ამის პარალელურად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელ წლებში ინსტენსიურად იქმნებოდა ე. წ. არასახელმწიფო ანუ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც საკმაოდ ადვილად იღებდნენ სახელწოდებას – უნივერსიტეტი. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია – მრავალათასიანი სტუდენტთა და პედაგოგთა შემადგენლობის მქონე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები ჯერდებოდნენ ინსტიტუტების სტატუსს, ხოლო რამდენიმე ათეული პედაგოგის თუ საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების იმედად მომუშავე, ამა თუ იმ სკოლის ერთ-ორ სართულს შეკედლებული ახლადგახსნილი დაწესებულებები თავს უნივერსიტეტის მაღალი სახელით იწონებდნენ. ამას ბუნებრივად მოჰყვა პროცესი სახელმწიფო ინსტიტუტების, რომელთაც ამის გაცილებით მეტი მოტივი ჰქონდათ, უნივერსიტეტებად გადაქცეულიყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა დაიტოვა სახელწოდებაში მისი ძირითადი ორიენტაციის განმსაზღვრელი ეპითეტი, სხვებმა კი ირწმუნეს უბრალოდ უნივერსიტეტებად წოდებულიყვნენ. შესაბამისად, თავი რომ დავანებოდ არასახელმწიფო უნივესიტეტების საოცარ სიჭრელეს დარგობრივი ორიენტაციის თვალსაზრისით, თავად სახელმწიფო უნივერსიტეტებიც დღეს ამ მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანნი არიან. მაგრამ ეს უკვე რეალობაა. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, ისმის საკითხი: საჭიროა თუ არა უნივერსიტეტების კლასიფიკაციის რაღაც პრინციპის შემოღება, მათი რაღაც კრიტერიუმის მიხედვით დაჯგუფება. მინდა შემოგთავაზოთ ჩემი სუბიექტური აზრი: ეფიქრობ ამგვარი კლასიფიკაცია მიზანშეწონილია. შეიძლებოდა ამ უნივერსიტეტების ორ უმთავრეს ჯგუფად: კლასიკურ და მულტიდისციპლინარულ დარგობრივ უნივერსიტეტებად დაყოფა. რა პარამეტრებმა უნდა განსაზღვრონ ის, თუ რომელ დაწესებულებას შეიძლება ეწოდოს უნივერსიტეტი? როგორც ცნობილია, გავრცელებულია შემდეგი დაყინიცია: უნივერსიტეტი არის მსხვილი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების

ძირითად დარგებში. ეს უნივერსალობა უნივერსიტეტებს აძლევს საშუალებას წარმოგვიდგნენ როგორც მრავალი, ზოგჯერ ურთ-ერთდაპირისპირებული ფუნქციების შემცველი დინამიკური სისტემები. ეს ფუნქციები და მათი კომბინაციები მნიშვნელოვ-ნად განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ძალას. სწორედ ამიტომ ჭეშმარიტი უნივერ-სიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც იდეოლოგიური, საზოგადოების ელიტარული ნაწილის დამაკომ-პლექტებელი, ახალი ცოდნის თუ აზროვნების მაგენერირებელი, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის უმნიშვნელო-ვანესი იმპულსების მიმცემი ცენტრები. ამგვარი ფუნქციები სას-წავლო დაწესებულებებმა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ძირითადი პარამეტრების მიხედვით გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებენ.

დაიწყოთ ყველაზე ელემენტარული მოთხოვნით. უნივერ-სიტეტის არსებობისათვის აუცილებელია სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა. ნემი აზრით, და ამის დასაბუთებას ქვე-მოთ შეეცდები, ჭეშმარიტ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება დაწ-ესებულება, რომელსაც ჰყავს სტუდენტთა იმ რაოდენობაზე ნაკლები, რომელთაც უნდა დააკომპლექტონ ძირითადი საუნი-ვერსიტეტო სპეციალობების ჯგუფები. ყველაზე მოკრძალებული გამოთვლებით ეს რაოდენობა მინიმუმ არ იყოს 3000-ზე ნაკლები. აღარაფერს ვამბობთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, აუდიტორიები და ა. შ.), რომ-ლის გარეშე ვერ აღსრულდება საგანმანათლებლო პროცესი.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დღეს ძირითადად ორი მიმართულებით არის ორიენტირებული: დაიწყოს მუშაობა დიპლომის შესაბამის თანამდებობაზე ამა თუ იმ წარმოებასა თუ დაწესებულებაში, ან განაგრძოს შემდგომი მომზადება სამეც-ნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დღეს ჩვენთვის ამ ორი-ენტაციის ძირითადი კრიტერიუმია: სახელმწიფო გამოცდები და სადიპლომო ნაშრომის დაცვა. სტუდენტი, რომელიც წარმატებით

აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და იცავს სადიპლომო ნაშ-
რომს, იღებს უფლებას განაგრძოს უშუალოდ მომზადება მეც-
ნიერებაში სამუშაოდ, სხვანი, თუკი ბედი გაუღიმებთ, იწყებენ
მუშაობას სპეციალობის მიხედვით. ჩვენი უნივერსიტეტი და
საქართველოს ზოგიერთი სხვა უნივერსიტეტი მივიდა გადაწყ-
ვეტილებამდე სელექციის მექანიზმი უფრო დიფერენცირებული
ჰქონდეთ და მსგავსად ზოგიერთი ქვეყნისა, შემოიღონ სწავ-
ლების ორი ეტაპი ბაკალავრთა მომზადების, 4 წლიანი, რო-
მელიც მთავრდება სახელმწიფო გამოცდებით, და მაგისტრთა
მომზადების, 2 წლიანი, რომელიც მთავრდება სამაგისტრო
თემის დაცვით. ბუნებრივია, მეორე ეტაპზე სწავლის უფლებას
მხოლოდ ის ბაკალავრები იღებენ, რომელთაც თავი გამოიჩინეს
4 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა,
სულ ცოტა, რამდენ სპეციალობაში უნდა მზადდებოდეს
ბაკალავრი იმ უმაღლეს სკოლაში, რომელსაც უნივერსიტეტი
შეიძლება ეწოდოს. მე უკვე აღვნიშნე, რომ უნივერსიტეტი
ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების ძირითადი დარგების
მიხედვით. დღეს საშუალო მასშტაბის კლასიკური უნივერსიტეტი
რამდენიმე ათეული სპეციალობით მაინც ანიჭებს ბაკალავრის
აკადემიურ ხარისხს. ა. მ. თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტში, რომელშიც არ არის, ფაქტობრივად, წარმოდგენილი
ტექნიკის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის, სახელოვნებო
ზოგიერთი დარგი, ამჟამად მომზადება 105 სპეციალობაში წარ-
მოებს. ეფიქრობ, კლასიკური უნივერსიტეტის, როგორც სას-
წავლო დაწესებულების მულტიდისციპლინარულობა შეიძლება
გამოიხატოს იმით, რომ იგი დაახლოებით 40 სპეციალობაში
მაინც უნდა ანიჭებდეს ბაკალავრის ხარისხს. რაც შეეხება მაგ-
ისტრებს, აქ მინიმალური ზღვარი დაახლოებით 30 სპეციალო-
ბით უნდა განისაზღვროს. თუკი ამ პარამეტრებიდან ამოვალთ
და ბაკალავრთა მომზადების დონისათვის თითოეულ კურსზე
სპეციალობას საშუალოდ 15 სტუდენტით დავაკომპლექტებთ,
ხოლო მაგისტრთა დონეზე 5-ით, მაშინ სტუდენტთა საერთო

რაოდენობა პირველ ეტაპზე დაახლოებით 2400, ხოლო მეორეზე 300 გამოგვივა.

ბუნებრიცია, ამის შემდგომ დგება თვით პროფესორ-მასწავლებელთა საკითხი. აქ ძირითად მომენტებად შემდეგი მიგვაჩნია: ა) უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დაახლოებით 70 პროცენტი მაინც ძირითადად ამავე სასწავლებელში უნდა მუშაობდეს (ირიცხებოდეს ძირითად შტატში), 2) სპეციალობა წარმოდგენილი უნდა იყოს 1 პროფესორით მაინც, 3) კათედრა არ შეიძლება ფუნქციონირებდეს, თუკი მასზე სამეცნიერო ხარისხის მქონე სამი თანამშრომელი მაინც არ მუშაობს (მათგან ერთი მეცნიერებათა დოქტორი).

უნივერსიტეტის ფუნქციონირების ერთ-ერთი უცილობელი პარამეტრია სამეცნიერო კადრების მომზადება. სულ ცოტა 20 სპეციალობაში უნდა შეეძლოს უნივერსიტეტს ასპირანტის თუ მაძიებლის მომზადება და არა ნაკლებ ათი სპეციალობისა უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-საატესტატო საბჭო (ან მისი გახსნის თეორიული უფლება). ამ ზოგადი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე თანამედროვე დონეზე შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოში არა უმეტეს 80 000-მდე სტუდენტის არსებობა, რომელთაგან 50 000-მდე მომზადებას უნდა იღებდეს საუნივერსიტეტო კომპლექსებში, 30000-მდე კი დარგობრივ ინსტიტუტებში, რომელნიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ ბაკალავრებს ამზადებენ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მომცრო უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციის საფუძველზე საქართველოში მიზანშეწონილად მიმაჩნია დაახლოებით 25-მდე სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის არა უმეტეს 10-მდე უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებლის არსებობა.

ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მუშაობისა არის თანამედროვე სახელმწიფოსაგანმანათლებლო სტანდარტების არარსებობა. დღეს, როდესაც უნივერსიტეტების ერთი ნაწილი გადავიდა სპეციალისტთა

მომზადების ახალ, ორეტაპოვან სისტემაზე, ბევრმა ეს აღიქვა უბრალოდ ტრადიციული ხუთწლიანი პროგრამის ბაკალავრთა მომზადებისათვის განკუთვნილ ოთხ წელიწადში ჩატევის მოთხოვნად. ხოლო ის, თუ რა უნდა გაკეთდეს შემდეგ, მაგისტრთა მომზადების ორწლიან ეტაპზე, ჯერჯერობით მთლად ნათლად არ არის გაცნობიერებული.

ბაკალავრთა მომზადების ეტაპი ჩვენი კონცეფციის თანახმად ემსახურება ზოგადსაუნივერსიტეტო, ზოგადსაფაკულტეტო და ზოგადსპეციალური დონის განათლების მიღებას. ეს ნიშნავს ამჟამად არსებულ პროგრამებში არაერთი პრინციპული ცვლილების შეტანას ინტეგრირებული საუნივერსიტეტო სწავლების სფეროში მსოფლიო მიღწევების გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე. ეს გულისხმობს გარდა სპეციალური საგნების შესწავლისა, იმის გაცნობიერებას, თუ რა არის საუნივერსიტეტო განათლების არსი სწავლების სამ ძირითად დონეზე: რა მიზანს ისახავს ზოგადსაუნივერსიტეტო განათლება, რა მიზანს ისახავს ზოგადსაფაკულტეტო განათლება და და რას ზოგადსპეციალური. ამის გარეშე საუნივერსიტეტო განათლების იდეა დაკარგავს თავის სპეციფიკასა თუ მნიშვნელობას. მოვიტანეთ, თუკი მე ახლა მაგალითისათვის მოვიხმობ ფაქტს ჩემი დარგიდან. ყველას კარგად ახსოვს პლატონის „სოკრატეს აპოლოგიიდან" ის, თუ როგორ აღმოაჩინა სოკრატემ საკუთარი უპირატესობა ადამიანთა ყველა იმ კატეგორიის წინაშე, რომელთაც საზოგადოებაში თავიანთი სიბრძნით მოეჭონდათ თავი. როდესაც სამისნომ ელინთა შორის უბრძენესად სოკრატე დაასახელა, ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა გამოეკვლია, რა იყო ამგვარი აღიარების მიზეზი. თავის თავზე საკუთარი შეხედულება მან ხომ ამგვარი ტვეადი ფორმულით გამოხატა: „ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". თქვენ გახსოვთ, რომ იგი, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ტესტირებულ გამოკითხვას ჩაუტარებს სამი პრესტიჟული სფეროს წარმომადგენლებს, რომელთაც თითქოს ყველაზე მეტი პრეტენზია შეიძლება ჰქონოდათ, რომ ჭეშმარიტად

ბრძენნი იყვნენ: პოლიტიკოსებს, პოეტებს და ხელოვანხელოსნებს. ამ კვლევამ იგი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: მართალია, თითოეულმა მათგანმა ბევრი რამ იცის თავისი მოღვაწეობის ხფეროდან, მაგრამ არ იცის უმთავრესი: რა არის საერთოდ პოლიტიკის, პოეზიის თუ ხელოვნების არსი, ამის გარეშე კი კაცს არ შეუძლია არცერთ სფეროში სრულფასოვნებას მიაღწიოს.

თუკი ამას გადმოვიტანთ ჩვენს სინამდვილე'ზე, საუნივერსიტეტო განათლების მიზნად პირველი ოთხი წლის განმავლობაში სწორედ არჩეული სპეციალობის არსში წვდომა მიმაჩნია. რომ არ შევიჭრა სხვა სპეციალობათა სფეროში, მსჯელობისას ჩემი დარგით შემოვიფარგლები. კლასიკურ ფილოლოგიაში, გარდა სპეციალური ცოდნის მიღებისა, აუცილებლად ვთელი, საუნიეერსიტეტო განათლების დონე'ზე სტუდენტმა მიიღოს ისეთი მომ'ზადება, რომელიც მას თავისი დარგის ადგილს და მიმართებებს გააცნობიერებინებს მეცნიერების სხვა დარგებს შორის, მისცემს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დარგში მომხდარი პრინციპული ძერა გაიაზროს და დაუკავშიროს საკუთარ სპეციალობას. ზოგადსაფაკულტეტო განათლების დონე'ზე მან უნდა გააცნობიეროს საერთოდ ფილოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელოვანი მიმართულების არსი, გაიაზროს თავისი სპეციალობის პოზიცია და მნიშვნელობა მის ფარგლებში, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ზოგადფილოლოგიური განათლების მიღება. და, ბოლოს, როგორც კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენელმა, მან უნდა შეისწავლოს თავისი დარგი, როგორც სისტემა. ყოველივე ეს მას საშუალებას მისცემს მისთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი გაიაზროს კონკრეტულად თავისი სპეციალობის, მთლიანად ფილოლოგიის დარგის და ზოგადად მეცნიერების კონტექსტში. აქედან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწავლების პროცესში განათლების დონეთა იერარქიის გამოკვეთას. სამწუხაროდ, ხშირად მხოლოდ დეკლარირე-

ბის დონეზე ვახდენთ იმის ფიქსაციას, რომ ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინების ამა თუ იმ ფაკულტეტზე სწავლების პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ დისციპლინის კონკრეტულ დარგთან, კონკრეტულ სპეციალობასთან მიახლოვების შესაძლებლობები: საათების განაწილების პროცესს კათედრებზე არ შეიძლება მექანიკურად მივუდგეთ და ნებიმიერ ლექტორს, ნებიმიერ ფაკულტეტზე დავაკისროთ რომელიმე ზოგადსაუნივერსიტეო დისციპლინის სწავლება, იქნება ისეთი განმაზოგადებელი დისციპლინა, როგორიცაა ფილოსოფია, თუ ისეთი კონკრეტული, როგორიცაა უცხო ენა.

ამის გათვალისწინებით არის გამოყოფილი საუნივერსიტეტო განათლების ახალ კონცეფციაში ზემოთჩამოთვლილი სამი დონის საგანთა სწავლების აუცილებლობა ბაკალავრთა მომზადების ეტაპზე. სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას. არა რაიმე წანასწარაკვიატებული იდეის გამო, არამედ ამ რეალობის გათვალისწინებით ვთვლით: უმაღლეს სასწავლებლის შესასვლელთან აბრის – უნივერსიტეტი– გამოკერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ მართლაც შესაძლებელია საუნივერსიტეტო განათლების პროცესის აღსრულება. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ არა მარტო გაუმართლებლად, არამედ საერთოდ საუნივერსიტეტო განათლების იდეის სრული გაუფასურების ტოლფასად ჩვენში უნიეერსიტეტებად წოდებული უმაღლესი სასწავლებლების დაფუძნების ზღვარგადასული პრაქტიკა.

რამდენადაც მაგისტრთა მომზადება ჩვენთვის შედარებით ახალი მოვლენაა, ვფიქრობ, მაგისტრატურის ამოქმედებისას დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვამრთებს. ჩვენი კონცეფციის თანახმად ამ ეტაპზე ხდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონეთათვის განსაზღვრულ სპეციალობაში გაღრმავებული ცოდნის მიცემა და მათი კვალიფიცირებულ სამეცნიერო მუშაობაში ჩასართველად თეორიული მომზადება. ამ დონეზე ჩვენ გვჭირდება უკვე სწავლების საკვანძო დიფერენცირებული პრო-

გრამები, იმის მიხედვით, ამა თუ იმ სპეციალობაში რა მიმართულებით ვამზადებთ მაგისტრს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში მხოლოდ უმაღლესი რანგის სპეციალისტთა ჩართვას, რომელთაც შეუძლიათ აზიარონ სტუდენტი კონკრეტული მიმართულებით მომზადების და ამისთვის აუცილებელი ზოგადთეორიული დისციპლინების გაღრმავებული და მიზანმიმართული შესწავლის ხელოვნებას. აქ, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი ასპარეზია თავის დროზე ჩვენთან სრულიად არასწორად გამიჯნული აკადემიური და საუნივერსიტეტო მეცნიერების ინტეგრაციისათვის, რაც ორივე სისტემისათვის მხოლოდ სარგებლობის მომტანი იქნება.

დამეთანხმებით, დღეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების აქილევსის ქუსლად ითვლება რამდენიმე პრინციპულ საკითხში შეუთანხმებლობა.

ა. მ.: ა) ბაკალავრის საბაზო მომზადების დროის მოცულობის ძირითადი პარამეტრები. ვფიქრობთ, რომ საუნივერსიტეტო განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ მიერ კონცეფციაში შემოთავაზებული ვარიანტი ოპტიმალურია საუნივერსიტეტო პროგრამის აღსრულებისათვის (შეგახსნებთ: 3 კვირა დამამთავრებელი ანუ სახელმწიფო გამოცდებისათვის, 140 კვირა სალექციო-სასემინარო მუშაობისათვის, საგამოცდო სესიებისა და ჩათვლებისათვის 30 კვირა, ყოველკვირეული სალექციო-სასემინარო დატვირთვა 25-30 ასტრონომიული საათი, ბაკალავრის მომზადების მთელი პერიოდის საუდიტორიო და ყველა სახის პრაქტიკის დატვირთვა დაახლოებით 3500-4200 ასტრონომიული საათი), ბ) სასწავლო პროცესის ძირითადი ფორმების ჩატარების უფლების მქონე სპეციალისტთა კატეგორიები. ვფიქრობთ, ღირებულებათა ნიველირების იმ პროცესმა, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება უკანასნელ ხანებში, საკმაოდ დრამატულად იჩინა თავი უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში. მომიტევონ ჩემმა კოლეგებმა, მაგრამ, როდესაც ვიგებ ხოლმე, თუ რა კატეგორიის ლექტორები

კითხულობენ ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლებში სალექციო კურსებს და ატარებენ სემინარებს, ბოლოსდაბოლოს, რა ცენზის მქონე პირები უდგანან სათავეში ზოგიერთი უმაღლესი სოკლის, მათ შორის უნიეერსიტეტის სახელით ცნობილ დაწესებულებას, მეც, ჩემი ბევრი კოლეგის მსგავსად, საოცარი შეშფოთების გრძნობა მეუფლება საერთოდ ჩვენი მომავლის გამო. ეფიქრობ, ამ სფეროში ყველგან, მათ შორის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებშიც, უნდა დამეარდეს სრული წესრიგი. ჩვენ კონცეფციაში შემოთავაზებულია კრიტერიუმები, რომლებიც გამორიცხავენ შემთხვევითი პირების აუდიტორიებში შესვლის შესაძლებლობას, აუცილებელია ამ კრიტერიუმთა უცილობელი დაცვა.

ასევე შეგახსნებეთ, რომ ჩვენ კონცეფციაში ბაკალავთა მომზადების სხვა პარამეტრებიც არის შემოთავაზებული, კერძოდ: სრული სასწავლო პროცესის გასავლელად აუცილებელი სალექციო თუ პრაქტიკული საათების დაახლოებითი ოდენობა, რეკომენდაციები საეალდებულო საუნიეერსიტეტო კურსებთან დაკავშირებით, სხვადასხვა დონის სააუდიტორიო საათების დაახლოებითი თანაფარდობა. ჩვენ სიამოვნებით მოვისმენთ კოლეგების მოსაზრებებს ამ მონაცემებთან დაკავშირებით.

ახლა მთავარი არის საუნიეერსიტეტო განათლების რესპუბლიკური კონცეფციის მიღება, რომელიც დაეფუძნება მკაცრად განსაზღვრულ სახელმწიფო-საგანმანთლებლო სტანდარტებს. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს არა ის, რომ სტანდარტები მოვარგოთ დღეს არსებულ რეალობებს, არამედ ის, რომ ესოდენ მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები ეაიძულოთ თავად დაექვემდებარონ ამ სტანდარტებს, თუკი მათ სურთ შეინარჩუნონ ის სტატუსი, რომლის მიღება, სამწუხაროდ, დღემდე ესოდენ ადვილი საქმეა ჩვენს ქვეყანაში.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა სამეცნიერო დისერტაციების შესახებ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად, ფაქტობრივად, მოქმედებს ძველი სისტემა, რომელიც საკანდი-

დატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვას გულისხმობს. ჩემი წინადადება იქნებოდა ორი დისერტაციის დაცვის ტრადიცია შეგვეენარჩუნებინა, მაგრამ მოგვეყვანა ჩვენი ტერმინოლოგია შესაბამისობაში იმ ქვეყნების ტერმინოლოგიასთან, რომლებშიც არსებობს ორი დისერტაციის დაცვის პრაქტიკა. პირადად მე ვარჩევდი გერმანიაში დამკვიდრებულ ტრადიციას: დოქტორი და დოქტორ ჰაბილიტუსი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გადახედვას მოითხოვს ჩვენში დამტკიცებული ნომენკლატურა მეცნიერების დარგებისა და სპეციალობათა.

რამდენიმე სიტყვით ჩვენ თვალსაზრისსე განათლების სისტემის მართვა-დაფინანსების პრინციპებზე.

განათლების სისტემის მართვა უნდა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული განათლების კანონის საფუძველზე.

მასში განსაზღვრული იქნება რესპუბლიკური, სამხარეო თუ რაიონული მმართველობის კომპეტენციები. რამდენადაც განათლების სისტემის გამართული ფუნქციონირება დამოკიდებულია მრავალი სამსახურის ურთიერთშეთანხმებულ მუშაობაზე, მისანშეწონილია რესპუბლიკურ დონეზე განათლების საბჭოს შექმნა. საბჭოს შემადგენლობაში შეეკლენ უმაღლესი მოხელეები (მინისტრები) და მთავრობის რეკომენდაციით სახელმწიფოს მეთაურის (ან პრეზიდენტის) მიერ დანიშნული წევრები, რომელთა ორ მესამედს შეადგენენ აკადემიკოსები და ცნობილი პროფესორები. კანონმა საბჭოს უნდა დააკისროს განათლების განვითარებისა და დაფინანსების დარგში მთავრობის მრჩველის უფლებამოსილება. კანონისა და ამ საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტებისა თუ რეკომენდაციების საფუძველზე განათლების სფეროში მუშაობის კოორდინაციას და სახელმწიფო პოლიტიკას განახორციელებენ განათლების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი რეგიონალური სტრუქტურები. მთელი განთლების სისტემა წარმართავს მუშაობას სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. სწორედ მათი გათ-

ვალისწინებით ეძლევა ამა თუ იმ სასწავლებელს შესაბამისი სტატუსი. მართალია, განათლების სამინისტრო სისტემის ორგანიზაციაში ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს, მაგრამ სწავლების ყოველ მომდევნო საფეხურზე იზრდება თავად სასწავლებელთა თვითმმართველობის ხარისხი. გამოკვეთილად იჩენს თავს ეს ტენდენცია უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი განათლების დონეზე, განსაკუთრებით უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც სასწავლო პროცესისა და სწავლების შინაარსის ორგანიზაციაში აუტონომიის მაღალ საფეხურს აღწევენ.

განათლების სისტემის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზოგადოებაში განათლების ამა თუ იმ საფეხურის შესაბამისი სტატუსის მქონე მოქალაქეთა შორის გონიერული რაოდენობრივი თანაფარდობების დამყარება. ახალგაზრდებისათვის განათლების მიცემაზე სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაკვეთა მხოლოდ იმის გათვალისწინებით უნდა შესრულდეს, თუ როგორი თანაფარდობებია ოპტიმალური განვითარების ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისათვის საბაზისო, საშუალო და საშუალო-პროფილური, პროფესიული, საშუალო-სპეცრიალური, უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი განათლების სტატუსის მქონე ახალგაზრდებს შორის.

განათლების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე სახლმწიფომ ყოველწლიურად უნდა განსაზღვროს ბიუჯეტში განათლების სისტემის ასიგნებათა ხვედრითი წილი და ის რეალური ხარჯები, რაც საჭიროა ამის დამატებით განათლების სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე ამ სახსრების მოზიდვის საშუალებები. ასიგნებათა საერთო მოცულობიდან განისაზღვრება, თუ რამდენი პროცენტი უნდა მოხმარდეს განათლების თითოეულ საფუხურს.

განათლების ყოველ საფეხურსა და ეტაპზე, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების უპირატესად სახელმწიფო (ან მუნიციპალური) დაფინანსების საფუძველზე მოქმედ ანუ ე. წ. სახელმ-

წიფო სასწავლებლებთან ერთად, დასაშვებია ე. წ. არასახელმწიფო სასწავლებლების ფუნქციონირება, რომელთა დაფინანსება სწავლის საფასურიდან და დაფინანსების სხვა არასახელმწიფო წყაროებიდან ხდება.

განათლების განსაზღვრულ საფეხურებსა და ეტაპებზე სახელმწიფო დოტაციის ხვედრითი წონა განსხვავებული უნდა იყოს. სახელმწიფო იღებს თავის თავზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მხოლოდ განსაზღვრული ოდენობის (კონტინგენტის) დაფინანსებას, მაქსიმალურად ხდება საბაზისო განათლების დაფინანსება იმ ვარაუდით, რომ ყოველ ახალგაზრდას ჰქონდეს (16 წლის ასაკის ჩათვლით) უფასოდ განათლების მიღების შესაძლებლობა, გამორჩეულ მოსწავლეებს კი ლიცეური თუ გიმნაზიური (2) საფეხურის განათლების მიღებისა სახელმწიფო დოტაციის საფუძველზე. ამის პარალელურად შეიძლება ფუნქციონირებდეს ყველა ტიპის სასწავლებელი, რომელიც, თუკი ამის მოთხოვნილება იქნა, მოსწავლეთათვის განსაკუთრებული პირობების შექმნის წყალობით, იმუშაებს თვითდაფინანსების საფუძველზე. სახელმწიფო (ასევე მუნიციპალური) უმაღლესი სასწავლებლები იღებენ სპეციალობების მიხედვით დაკვეთას კონტინგენტზე, რომლის მომზადების დაფინანსებასაც უსრულველყოფს სახელმწიფო. დადგენილი კონტინგენტის ზემოთ, ყველა ახალგაზრდას, რომელსაც სკოლის ატესტატის სტატუსი ამის უფლებას აძლევს, შეუძლია ჩაირიცხოს არსებული წესის მიხედვით როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის გადახდით შესაბამისი საკონკურსო შერჩევის საფუძველზე.

სასწავლებლის ბიუჯეტის განსაზღვრისას გადამწყვეტ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი მონაცემების დადგენა: ა) რა ჯდება სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე ერთი ახალგაზრდის მომზადება ქვეყანაში არსებული ფასების რეალური კონიუნქტურის მიხედვით, ბ) როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ ტიპის სასწავლებელში რაოდენობრივი თანაფარდობა მასწავლე-

ბელთა და მოსწავლეთა შორის, ე) რა შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება სასწავლებლების რეალურ აუცილებელ ფინანსურ დანახარჯებთან სახელმწიფოში არსებული ფასების კონიუნქტურიდან გამომდინარე.

ამ მონაცემთა და ზემოთჩამოთვლილ კრიტერიუმთა გათვალისწინებით სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს, მის მიერ გამოყოფილი დაფინანსება რამდენი პროცენტით დაფარავს იმ ხარჯებს, რაც სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის არის აუცილებელი. თუკი სხვაობა მნიშვნელოვანია (20 პროცენტზე მეტი), ეს თანხა სასწავლებელს უნდა აუნაზღაურდეს ან მოსახლეობიდან და სახალხო მეურნეობიდან (სახელმწიფო თუ კერძო სექტორიდან) საშემოსავლო გადასახადების გაზრდის ან განსხვავების თავად მოსწავლეთაგან თუ სტუდენტთაგან მიღების გზით (სწავლის საფასურის გაძვახდის საშუალებით), ან ორივე ამ საშუალების ურთიერთშეხამებით.

სწავლის ფასის დადგენა უნდა მოხდეს პერიოდულად ქვეყანაში მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით.

ბუნებრივია, ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების რეფორმასთან არის დაკავშირებული. აქ გამოვლენ ჩვენი კოლეგები დასავლეთის ქვეყნებიდან. მათ მოხსენებებს ჩვენგან ერთი არსებითი მომენტი განასხვავებს. ისინი ისაუბრებენ მათ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული საუნივერსიტეტო განათლების საკითხებსა თუ პრობლემებზე, ჩვენ კი ყურადღებას ვამახვილებთ ძირითადად იმაზე, თუ რა გზებს ვეძებთ განათლების ერთი სისტემიდან მეორეზე გადასასვლელად. მაგრამ მათ წინაშე გვაქვს ერთი უპირატესობა. ჩვენ მიზნად ვისახავთ ავაგოთ განათლების სისტემის ახალი მოდელი და გვაქვს საშუალება გაეითვალისწინოთ ყოველივე ის დადებითი და მოწინავე, რაც თითოეული ქვეყნის განათლების სისტემას ახასიათებს, იმის ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ და-

ეუპირისპირდებით საუკუნეებით დამკვიდრებულ რაიმე ტრადიციას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი სემინარი დაგეხმარება ამ უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენებაში.

ეოლფგანგ მიტერი (*ფრანკფურტი მაინზე*)

უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი საკითხები გერმანიაში

1. შესავალი, შენიშვნები

უმაღლესი განათლების სისტემის გერმანულ ვარიანტ'ზე საუბრისას მინდა შეეეხო რამდენიმე ძირეულ საკითხს და ისინი ევროპული განათლების სისტემის საერთო კონტექსტში განვიხილო. საკითხთან ამგვარი მიდგომა გულისხმობს მის შეპირისპირებით კვლევას ისეთი ძირითადი მომენტის გათვალისწინებით, როგორიცაა ზოგადად *„ევროპული" კონცეფციისათვის* დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ურთიერთდამოკიდებულება და თანაქმედება. ისტორიული ექსკურსი ცხადყოფს, რომ ევროპის უნივერსიტეტებმა კარგა ხანია უარი განაცხადეს მათთვის საერთო შუასაუკუნეობრივ ტრადიციებზე და, რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქებიდან მოყოლებული, დიფერენციაციის, ანუ ინდივიდუალური განვითარების გ'სას დაადგნენ. ამ პროცესის გაღვივებაში უდიდესი როლი ითამაშა ახალი ევროპული სახელმწიფოების ჩამოყალიბება-განვითარებამ, რამაც, თავის მხრივ, 'სეგავლენა იქონია უმაღლესი განათლების სისტემის თეორიულ საფუძველსა და მის კერათა პრაქტიკულ საქმიანობაზე. II მსოფლიო ომის შემდეგ კონტინენტის „ხელახალმა გადანაწილებამ", რომელიც განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებებით, კიდევ უფრო მრავალწახნაგოვანი გახადა „ევროპული" უნივერსიტეტის თავისთავადი სახე (ამ სიტყვის ფართო გაგებით). მოგვიანებით, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა „შემობრუნებამ" „ევროპული ერთობისაკენ", ცხადია, კვლავ წინა პლანზე წამოსწია და აქტუალური გახადა იდენ-

ტურობის საკითხი საერთოდ და, მათ შორის, უმაღლესი განათლების სფეროშიც.

მაინც როგორ უნდა შეეჯიდოთ უმაღლესი განათლების პრობლემას ევროპაში, სადაც სახეზეა ისტორიულად არსებული დავა სხვადასხვა სისტემათა საერთო ნიშნებსა და განსხვავებულ თვისებებს შორის? ნებისმიერი მცდელობა სისტემური შედარება-შეპირისპირებისა თავიდანვე მარცხისთვის იქნება განწირული. ერთის მხრივ, იგი შესაძლოა არასრულყოფილი აღმოჩნდეს; მეორეს მხრივ, შესაძლოა რამდენიმე ტიპის ეროვნული მოდელის დასახელებით ანდა რამდენიმე ორიგინალური მოდელის განსაკუთრებული ხოტბით დასრულდეს. ამდენად, არის საშიშროება მომხსენებელმა (თუნდაც უნებლიეთ) არაობიექტური, მიკერძოებული შეხედულებების მქონე პიროვნების შთაბეჭდილება დატოვოს, რაც, ცხადია, არასასურველია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უპრიანი იქნება მოგახსენოთ გერმანიაში უმაღლესი განათლების, კერძოდ კი საუნივერსიტეტო განათლების სისტემის (როგორც ერთ-ერთი ევროპული მოდელის) შესახებ ევროპული საგანმანათლებლო სისტემის მრავალსახეობის სისტემური ახსნის მცდელობის გარეშე. ასეთი შემოფარგვლა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მსჯელობისას გამორიცხულია ყოველგვარი შედარებების მოშველიება იქ, სადაც ეს აუცილებელი იქნება კონკრეტულ პრობლემათა საილუსტრაციოდ. ამ მხრივ, ჩემი შედარებების ძირითად ობიექტებად მოგვეველინება ევროპულ სტანდარტებზე აგებული მოდელები, რომლებიც იაპონურ და, მით უფრო, ამერიკულ მოდელებსაც ითვალისწინებენ. ასეთი ყოვლისმომცველობა გამართლებულია იმ ისტორიული კავშირებით, რომლებიც არსებობენ ევროპასა და მის გარეთ მდებარე ქვეყნებს შორის, და იმ ამერიკული თუ იაპონური მიმართულებების ზეგავლენით, რომლებიც ევროპული უნივერსიტეტების ბოლოდროინდელ ტენდენციებში შეიგრძნობა. საქმე ისაა, რომ ევროპული იდეებისა და პრაქტიკის ამასწინანდელი „რეციპიენტები“ ამ ბოლო დროს

თავად აღმოჩდნენ მისი წამქეზებელი და მასტიმულირებელი მეტოქეების როლში.

2. გერმანული უნივერსიტეტის რეტროსპექტივა

ამ მცირედი რეტროსპექტივის მოშველიება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ იმ მიზეზით, რომ ოპტიმალურად გასაგები გაგვეხადა ის საერთო სიტუაცია და პრობლემები, რომლებმაც თავი იჩინეს თანამედროვე სამყაროში. ნება მიბოძეთ, უპირველეს ყოვლისა, შეგახსენოთ „კლასიკური“ გერმანული უნივერსიტეტის იდეა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული უდიდესი ფილოსოფოსისა და რეფორმატორის *ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის* სახელთან. მას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ეჭირა მაღალი თანამდებობა პრუსიის მთავრობაში, მაგრამ მისმა გავლენამ პრუსიულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე მთელი XIX ს.-ის განმავლობაში და თითქმის XX საუკუნემდეც კი გასტანა. ჰუმბოლდტის როლი გერმანული და ზოგადად ევროპული განათლების ისტორიაში განისაზღვრება გერმანული „გიმნაზიისა“ და „თანამედროვე“ გერმანული უნივერსიტეტების იმ თეორიული და სტრუქტურული საფუძვლების შექმნით, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ ფესვი გადგმული ნეოჰუმანისტურ ფილოსოფიაში. ბერლინის უნივერსიტეტი, რომელიც 1810 წ. დაარსდა, იყო პირველი იმათგანი, რომლებმაც მიიღეს ჰუმბოლდტის იდეა (II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს უნივერსიტეტი მისი სახელობისა გახდა და დაერქვა „ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი“ გერმანიის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში). „ბერლინული მოდელი“ მიიღეს და დანერგეს არა მარტო პრუსიელებმა, არამედ სხვა გერმანულმა უნივერსიტეტებმაც. უფრო მეტიც, მან ზეგავლენა მოახდინა უნივერსიტეტებზე მთელი ევროპის მასშტაბით, კერძოდ მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებზე და მისი გამოძახილები სხვა კონტინენტებზეც გაისმა – მა-

გალითად აშშ-სა და იაპონიაში, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის გარიჟრაჟზე.

ჰუმბოლდტის იდეის პრაქტიკული განხორციელება საუნივერსიტეტო რეფორმის გზით, მიუხედავად ყველაფრისა, თავიდანვე წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. უფრო მეტიც, უკვე ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს იდეასა და რეალობას შორის შეუსაბამობამ გარკვეული ზეგავლენაც კი მოახდინა საუნივერსიტეტო რეფორმებთან დაკავშირებით გამართულ დებატებზე დასავლეთ გერმანიაში. მე არ მინდა მსმენელმა ისე გაიგოს ჩემი ნათქვამი, თითქოს „ბერლინური მოდელი" იმდენად მყარად და თანმიმდევრულად იყო მოფიქრებული, რომ იგი გერმანულ უნივერსიტეტთა სტრუქტურებს უცვლელი სახით განსაზღვრავს ლამის დღემდე. მაგრამ, ალბათ არც იმის დამატებაა საჭირო, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური თეორემა შესაძლოა იქცეს რეალურ ძალად მაშინაც კი, როდესაც იგი რეალობას მხოლოდ წარმოსახვითი, მხატერული გზით ასახავს.

რა არის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იდეაში ძირითადი?

1) სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის ერთიანობის პრინციპი მიიჩნევა უნივერსიტეტის იდეისა და მისი რეალური განხორციელების ერთადერთ და ძირითად პირობად. მაშინ, როდესაც XVIII საუკუნეში სამეცნიერო მუშაობა ძირითადად წარმოებდა "დამოუკიდებელ" აკადემიებში, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის ერთიანობა მიიჩნია კულტურის, განათლებისა და მეცნიერების ასაყვავებელ ოპტიმალურ საშუალებად. ამ პრინციპის პრობლემატურობა თავის მხრივ, მდგომარეობდა იმაში, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების უნარი, *როგორც ასეთი*, აუცილებლად გულისხმობდა პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების უნარს და არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ "გიმნასიაშიც", რომელიც მოიაზრებოდა, როგორც ზემოაღნიშ-

ნული აქტივობების მოსამსადებელი საფეხური. ცხადია, ღღეანდელი მასობრიეი უნივერსიტეტებისათვის ეს კონცეფცია არარეალური ხდება. მეორეს მხრივ, მსმენელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იდეის რეალისტური ორიენტაციის საფუძველს ადრეულ პერიოდში წარმოადგენდა ის, რომ მაშინ ლექციები და სემინარები ტარდებოდა მცირერიცხოვან ჯგუფებში. ასეთ გარემოში მასწავლებლებსა და სტუდენტებს ჰქონდათ პირადი კონტაქტების დამყარების და სწავლების კომუნიკაციური ტიპის განვითარების საშუალება "ბუნებრივ" პირობებში.

2) ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იდეა მჭიდრო კავშირში იყო *"ზოგადი (ლიბერალური) განათლების"* პრინციპთან, რომელიც ეერდნობოდა ლათინურ და, ძირითადად, ბერძნულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას. სხვა აკადემიური საგნები ექვემდებარებოდა ამ ორ ძირითად დისციპლინას, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავდნენ ისტორიას და მათემატიკას.

3) ნეო-ჰუმანისტური უნივერსიტეტი გაიაზრებოდა, *როგორც "კონკრეტული მიზნის არმქონე" დაწესებულება*, ე.ი. როგორც *ადგილი, გამიზნული* „მხოლოდ და მხოლოდ" *ჭეშმარიტებისა და ცოდნის* ძიებისათვის. პროფესიონალური კომპეტენტურობის მოხვეჭა მიიჩნეოდა იმ სფეროდ, რომელსაც ზემოაღნიშნული კონცეფცია არ ითვალისწინებდა. ეს პრინციპი მოქმედებდა „ფილოსოფიის ფაკულტეტებზე" (რომლებიც მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც მოიცავდნენ). რაც შეეხებოდა სამედიცინო, იურიდიულ და თეოლოგიურ ფაკულტეტებს, აქ სწავლება ითვალისწინებდა სტუდენტთა პროფესიონალური უნარისა და მოწოდების პრაქტიკულ გაღვიეებასაც. ზემოაღნიშნული დიქოტომიის ფონზე, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტმა ევროპული უმაღლესი განათლების ტრადიციების საუკუნოვანი მემკვიდრეობა მიიღო.

4) საბოლოოდ, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა, როგორც სამთავრობო და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულე-

ბებისაგან *თავისუფალი, ავტონომიური* ორგანიზაცია. ამ ავტონომიამ თავი ინინა არჩეეითი და თვითმმართველი ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბებაში, რომელიც რექტორისა და ფაკულტეტების დეკანებისაგან შედგებოდა. საუნივერსიტეტო ავტონომიამ კულმინაციას მიაღწია იმით, რომ მოიპოვა უფლება აკადემიური ხარისხების თვითნებური მინიჭებისა და პროფესორმასწავლებელთა კადრების შერჩეისა. ეს პრეროგატივა დღეანდლამდე უნივერსიტეტის პრივილეგიად რჩება; თუმცა, იმთავითვე დადგინდა, რომ განათლების მინისტრი ფორმალურად მაინც მიიღებდა მონაწილეობას კადრების დანიშვნაში. უმეტეს შემთხვევაში, მინისტრი ირჩეოდა ხოლმე უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული 3 კანდიდატურიდან პირველს. უფრო მეტიც, საუნივერსიტეტო ავტონომია იმითაც იზღუდებოდა, რომ საუნივერსიტეტო ბიუჯეტის დაშვება-განაწილებას პარლამენტი მართავდა. ეს ფუნქცია ეკისრებოდა სამოქალაქო სამსახურების უმაღლესი ეშელონებიდან არჩეულ "კურატორებს". საბოლოო ჯამში, ისე გამოდიოდა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ვალდებულებანი განისაზღვრებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებით.

მიუხედავად ასეთი შეზღუდვებისა, გერმანული უნივერსიტეტი მაინც დიდი ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ სისტემებთან შედარებით. რაც შეეხება სხვაობას გერმანულსა და ბრიტანულ უნივერსიტეტებს შორის, კერძოდ კი. მათ „კლასიკურ" ნიმუშებში (ოქსფორდი, ქემბრიჯი, წმ. ანდრია), უკანასკნელ ხანებამდე იგი ხასიათდებოდა 2 ძირითადი მომენტით: 1) ბრიტანული უნივერსიტეტები უფრო დამოუკიდებელნი იყვნენ სახელმწიფო აპარატისაგან; მეორეს მხრივ, მათ უფლებამოსილებებს ზღუდავდნენ „მმართველი საბჭოები", რომლებიც კომპლექტდებოდა ეკლესიის, ასოციაციებისა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. გერმანული უნივერსიტეტები „თავისუფალნი" იყვნენ ამგვარი საზოგადოებრივი

გაელენისაგან, რაც აისახა გარემოსაგან მათ „იზოლაციასა“ და „დაცვაში“. 2) ბრიტანული უნივერსიტეტები არ იზიარებდნენ სამეცნიერო კულეგისა და სწავლების ერთიანობის პრინციპს იმისდა მიუხედავად, რომ მათ კედლებში არა ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა გაკეთდა, მაშინ, როდესაც ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ნებისმიერი პროფესორის პრესტიჟი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მის სამეცნიერო პუბლიკაციებსა და აღმოჩენებთან. მისი ბრიტანელი და ამერიკელი კოლეგები მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესს უთმობდნენ (თუმცა, გერმანელ კოლეგებთან შეპირისპირებისას, ისინი ამით არ კარგავდნენ თავიანთ წილ პოპულარობას). სამეცნიერო-საკულეგო სამუშაოების მიმართ მეტი ყურადღება დღემდე ახასიათებს გერმანულ უნივერსიტეტს, მიუხედავად მათი მრავალგზის მცდელობისა, მიაღწიონ გარკვეულ ბალანსს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას შორის.

3. თეორიული და პრაქტიკული ცვლილებანი გერმანულ უნივერსიტეტში

მიუხედავად ძირითადი პრინციპების შენარჩუნებისა, გერმანულმა უნივერსიტეტებმა *მნიშვნელოვანი ცვლილებანი* განიცადეს XIX-XX საუკუნეებში. ეს განპირობებული იყო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შემდეგი ასპექტებით: სამრეწველო რევოლუციათა სიუხვე, მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნა აკადემიურად კვალიფიცირებულ მუშაკებზე, ხალხის მზარდი ინტერესი უმაღლესი განათლების მიმართ (განსაკუთრებით ბურჟუაზიულ ფენაში) და უნივერსიტეტთა დემოკრატიზაცია ვაიმარის პერიოდში (1913-33) და ნაცისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ. ყველა ამ ცვლილებამ გავლენა მოახდინა როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო პროცესზე. პირველ რიგში ამ ცვლილებებმა ასახვა პრაქტიკულ გამოვლინებაში ჰპოვეს, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა იმპლიციტურად, მაგრამ არც ფილოსოფია

დარჩენილა ხელუხლებელი. ნება მიბოძეთ, მოკლედ მოვხასო ის ექვსი ტენდენცია, რომლებსაც ანალოგები მსოფლიოს სხვა ქვეყანათა სამრეწველო რეგიონებშიც დაეძებნება. ეს ტენდენციები, ამავდროულად, ასახავენ იმ „ახალ“ პრობლემებსაც, რომლებმაც სულ უფრო მეტი ინტენსიობით იჩინეს თავი.

1) შედარებით მცირე ზომის უნივერსიტეტები, დაახლოებით 300 სტუდენტით, XIX საუკუნეში *მასობრივ უნივერსიტეტებად* იქცნენ. მაგალითად მოვიყვანთ 2 მათგანს: ჯერ კიდევ 1954 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში ირიცხებოდა 4 000 სტუდენტი, ერლანგენისაში — 2 000. გერმანიაში სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა ასაკიც 19-დან 26 წლამდე მერყეობს, 1962 წლიდან 10-ჯერ გაიზარდა 5-დან დაახლოებით 30 პროცენტამდე), კერძოდ — 200 000-დან 2 000 000-მდე (დასავლეთ გერმანიაში). ამ რიცხვის ზრდა კვლავაც მოსალოდნელია. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ახალი სასწავლო დაწესებულება აღმოცენდა და, შესაბამისად, სულ უფრო მეტი პედაგოგი ჩაება საქმიანობაში, სტუდენტთა რაოდენობის ასეთმა მატებამ გამოიწვია აუდიტორიების გადატვირთვა და სალექციო საათების უზომო ზრდა, რასაც შედეგად მოჰყვა სტუდენტთა და პედაგოგთა „გაუცხოება“ და „არადიალოგურობა“. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ სიტუაციაში გერმანულმა და სხვა ევროპულ უნივერსიტეტთა უმრავლესობამ ვერ მოახერხეს ეფექტური ტიუტორული და კურატორული სისტემების შექმნა ბრიტანული და ამერიკული უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით.

2) უნივერსალური „ზოგადი (ლიბერალური) განათლების“ პრინციპმა, რომელიც იმთავითვე გარკვეულ შეზღუდვებს განიცდიდა (იხ. ზემოთ), განიცადა ფუნქციონალური და სკრუპულოზური სპეციალიზაციის პროცესი, რომელმაც ასახვა ჰპოვა მთელ საორგანიზაციო სტრუქტურაში. იგი დაიწყო მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოყოფით „ფილოსოფიის“ ფაკულტეტისაგან და დასრულდა სასწავლო განყოფილებათა ფართო ქსელისა და დამოუკიდებელი ინსტი-

ტუტების ჩამოყალიბებით, ეს ე. წ. „ცოდნის აფეთქების“ ფაქტის თანამდევი და მისგან გამომდინარე შედეგი იყო, რაც, შესაბამისად, ახალი დისციპლინებისა და გარდამავალი დისციპლინების აღმოცენების მუდმივ პროცესში გამოიხატა. დღეს-დღეობით „უნივერსიტეტის“ ცნება, იდეალის დონეზე რჩება მაშინ, როდესაც სადაწესებულებო კომპონენტი, რომელიც ასევე განუყოფელია ამ ცნებისაგან, მეტ-ნაკლებად დაიყვანება ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო კოორდინაციაზე და სხვადასხვა ფაკულტეტის დაგეგმარებაზე.

3) რაც შეეხება ჰუმბოლდტის, „კონკრეტული მიზნის არმქონე“ უნივერსიტეტის ხასიათს, მინდა შეგახსენოთ ჩემი ზემორე მტკიცება იმის თაობაზე, რომ მისი არსი არასოდეს შეხებია ექიმების, იურისტებისა და თეოლოგების სწავლებას. ეკონომიკურ სისტემაში არსებულმა მუდმივმა ცელილებებმა, როგორც საქონელწარმოების, ისე მომსახურების სექტორში, გაზარდა მოთხოვნა აკადემიურად კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე. ამ მოთხოვნამ, ცხადია, აიძულა (და დააჩქარა) უნივერსიტეტები, შეექმნათ და განევითარებინათ *პროფესიონალიზმის დასახელწი პროგრამები* და კურსები. თავდაპირველად, ახლად დაარსებულმა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებმა უპასუხეს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას პროგრამების შექმნითა და დანერგვით, რომლებიც გამიზნულნი იყვნენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მათემატიკის დარგებში პროფესიონალურად ორიენტირებული სტუდენტების მოსამზადებლად. მათი კვალიფიკაცია სათანადო დიპლომებით დასტურდებოდა. ეკონომიკურმა, სოციალურმა და ბიჰეეიორისტულმა მეცნიერებებმაც მათ მაგალითს მიბაძეს. მათ დააწესეს დიპლომები ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სპეციალობებისათვის. მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებმა ამ ტენდენციის განსაკუთრებული გავლენა გამოამჟღავნეს. მათ ხელახლა განსაზღვრეს საკუთარი ადგილი აკადემიურ სფეროში

და შეცვალეს სასწავლო პროგრამები „ფუნდამენტური“ და „გამოყენებითი“ კურსების გათვალისწინებით.

4) იმის გარდა, რომ ზემოხსენებულმა „გარე“ სტიმულებმა გაელენა იქონიეს უნივერსიტეტების შინაგან სტრუქტურაზე, მათ, ამავდროულად, წაახალისეს უმაღლესი განათლების სისტემის ექსპანსია *უნივერსიტეტების გარეთ ახალი დაწესებულებების* ჩამოყალიბების გზით. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეინიშნებოდა ტექნოლოგიურ სექტორში. ამ საუკუნის მიწურულს იგი აისახა იმაში, რომ „ტექნიკურმა უმაღლესმა სკოლებმა“ მოიპოვეს უმაღლესი განათლების კერების სტატუსი. სხვა ევროპულ სისტემებშიაც შეინიშნებოდა გარკვეული ძვრები. მათში განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტექნიკური (ბრიტ.) ინსტიტუტის ისტორია, რომლის სასწავლო პროგრამებმაც მოიცვეს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებანი და, ბოლოს – პედაგოგიკაც, უმრავლესობამ გერმანული „ტექნიკური უმაღლესი სკოლებისა“ „ტექნიკური უნივერსიტეტების“ სახელი დაირქვეს II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა – „სპეციალიზებული უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები“ კელავაც ილტვიან საუნივერსიტეტო სტატუსის დამკვიდრებისაკენ. ასეთი სტატუსი ამას წინათ ბრიტანულ პოლიტექნიკურ სასწავლებელს მიენიჭა.

5) მასობრივი განათლების, სპეციალიზაციისა და პროფესიონალიზმისადმი სწრაფვა სულ უფრო და უფრო არღვევს *სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ერთიანობის პრინციპს.* სტუდენტთა უსარმაზარ ჯგუფებთან მუშაობა კურსებსა და გამოცდებზე აიძულებს პროფესორ-მასწავლებლებს მეტი პედაგოგიური პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეს. ბრიტანული და ამერიკული უნივერსიტეტებისათვის ამ პრობლემის გადაჭრა შედარებით ადვილია, რადგანაც მათ არასოდეს მიაჩნდათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ერთიანობა ამოსავალ პრინციპად. უფრო მეტიც, მათი სასწავლო პროგრამები მეტი ორგანიზებულობით გამოირჩეოდა, ვიდრე გერმანელებისა (იხ.

ქვემოთ). ამ სისტემებში სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ „პირველი“, „ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი მას მერე რაც დაასრულებენ 3-4 წლიან სპეციალურ კურსს. რადგანაც ბევრი სტუდენტი კმაყოფილდება ამ კვალიფიკაციით, რომელიც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანებმა შრომითი დასაქმების ბაზრის ბევრ სექტორში მოიპოვონ ადგილი, ასპირანტურა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სამეცნიერო მუშაობაზე, არ იზიდავს მასებს. იაპონურმა უნივერსიტეტებმა, II მსოფლიო ომის შემდეგ, ბრიტანულ და აშშ მოდელების მიბაძეს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სამ ქვეყანაში ორ-ეტაპიანი სწავლების სისტემაში არსებული სხვაობანი. თუკი ბრიტანული და იაპონური მოდელები აგებულია აშკარად გამოკვეთილ საგნობრივად ორიენტირებულ პროგრამებზე, ამერიკული კოლეჯები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „ზოგად“ (ლიბერალურ) პროგრამებს, რომლებსაც ევროპასა და იაპონიაში საშუალო სკოლების ზედა კლასები ითვალისწინებს.

6) ბოლოს, მინდა შეეხო ტრადიციული უნივერსიტეტის ავტონომიურობის საკითხს. ალბათ, ყველასათვის ცხადია, რომ ნაცისტური ტოტალიტარიზმის დროს თვითმმართველობის უფლებები ძირეულად აღმოიფხვრა, ადგილობრივი მმართველობა ფორმალურად შენარჩუნდა რექტორისა და დეკანთა თანამდებობების ასრებობის სახით, მაგრამ სამეცნიერო მუშაობა, სასწავლო პროცესი და პედაგოგ-მასწაელებელთა კადრების შერჩევა მთლიანად დაექვემდებარა ნაცისტური პარტიის უშუალო კონტროლს. ნაცისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ, გერმანიის გაყოფასთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემაც გაიყო. გდრ-ში უნივერსიტეტები გაერთიანდნენ ტოტალიტარულ, „უნიფიცირებულ სოციალისტურ საგანმანათლებლო სისტემაში“. გფრ-ში ტრადიციული საუნივერსიტეტო ავტონომია აღსდგა და გამძლავრდა კიდეც, განსაკუთრებით ბიუჯეტთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტთა სისუსტემ, რომელიც სოციო-ეკონომიკური პრობლემების დაუძლეველობაში გამოიხატებოდა, მიიყვანა ისინი

მნიშვნელოვან ცვლილებებამდე, რომლებსაც შედეგად, 60-იანი წლების მიწურულს, ე. წ. სტუდენტთა ამბოხი" მოჰყვა. პროფესორთა მთელი შემადგენლობის ტრადიციული პრივილეგიები ("Ordinarienuniversität") შეიცვალა *ჯგუფი წარმომადგენლობითი მოდელებით*, რომლებიც „ჯგუფური უნივერსიტეტის" (Gruppenuniversität) ცნებაში გაერთიანდნენ. ეს ნიშნავდა ისეთი თვითმმართველი ორგანოების გაჩენას, რომლებიც პროფესორთა, ლექტორთა, ასისტენტთა, სტუდენტთა და, ნაწილობრივ, ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელთაგან შედგებოდა. კონფლიქტებმა, რომლებიც გამოწვეული იყო დელეგატთა შეურიგებლობითა და არაკომპეტენტურობით, 10 წლის შემდეგ პროფესორთა უფლებების ნაწილობრივ აღდგენამდე მიიყვანეს საქმე. ფაქტობრივად კი, ძალაუფლება აღმოჩნდა სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების და მათ ადმინისტრატორ-წარმომადგენელთა ხელში. მათ არა მარტო აღიდგინეს ომამდელი უფლებები, არამედ გაზარდეს კიდეც ისინი. მათი ძალაუფლება, რომელიც უწინ მხოლოდ საუნივერსიტეტო ბიუჯეტსე ერცელდებოდა, ახალა ისეთ სტუქტურალურ საკითხებსაც გადასწვდა, როგორიცაა ფაკულტეტებისა და კათედრების დაარსება-შენარჩუნება. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, აღმოსავლეთგერმანული უნივერსიტეტების სტრუქტურა დასავლეთ გერმანული უნივერსიტეტების მოდელით შეიცვალა. სრულიად ნათელია, რომ ეს ბოლოდროინდელი ტენდენცია უნდა გაიაზროთ როგორც შედეგი რესურსთა ნაკლებობისა (მსოფლიო მასშტაბით), უკიდურესი მომჭირნეობის პოლიტიკისა და, შესაბამისად, სასწავლო და სამეცნიერო მოდელთა (ანუ პედაგოგთა და ადმინისტრატორთა შემადგენლობის) „სიმწირისაკენ" მისწრაფებისა. ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

4. ძირითადი პრობლემები: რეფორმის კონცეფციები და მათი პრაქტიკული განხორციელება

მოხსენების ეს ნაწილი ითვალისწინებს არსებული რეფორმის კონცეფციებისა და მათი განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების მიმოხილვას. მე მათ 8 პუნქტად ჩამოვაყალიბებ:

1) დავიწყებ იმით, *რომ უმაღლესი განათლების სისტემის სტრუქტურა, როგორც ერთი მთელი,* კრიტიკის ქარცეცხლშია მოხვედრილი. არსებული სისტემა იყოფა უნივერსიტეტთა (ტრადიციული ან „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების" ბაზაზე ახლად აღმოცენებული უნივერსიტეტები), სპეციალიზებულ ინსტიტუტთა (სამედიცინო, ეკონომიკის და ა. შ.), პედაგოგიურ კოლეჯთა (ბადენ-ვერტემბერგის შტატსა და აღმ. გერმანიაში), სახვითი ხელოვნებისა და სამუსიკო სასწავლებელთა, დაბოლოს, ზემოაღნიშნული სპეციალიზებული უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტების კატეგორიებად, ყველა მათგანი იმ უნიფიცირებულ წესს ექვემდებარება, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდების უმაღლესში ჩარიცხვა დამოკიდებულია საშუალო სკოლის მაღალი კლასების დასრულებაზე საატესტატო გამოცდებით (აბიტურით) ან „ექვივალენტით" (იხ. ქვემოთ). მათ აქვთ უფლება გასცენ დიპლომები, რადგან ამ ხარისხის მოპოვება სპეციალიზებულ უმაღლეს ტექნიკურ დაწესებულებაშიც არის შეუძლებელი, მაგრამ არა აქვთ უფლება მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მინიჭებისა (რაც ორეტაპოვნებას გულისხმობს). ეს შეზღუდვა, ალბათ არც უახლოეს მომავალში მოიხსნება, რადგანაც ზემოაღნიშნულ სისტემაში დასაქმებულ პროფესორებს არ მოეთხოვებათ სპეციალური წინასწარი მომზადება („ვენია ლეგენდის" — სალექციო კურსების წაკითხვისა და სემინარების ჩატარების უფლების ჩათვლით), რაც სავალდებულოა უნივერსიტეტის პროფესორებისათვის. რაც შეეხება „დაბალი" სემინარებისა და პრაქტიკულების ჩატარების უფლებას, ამ უფლებით სარგებლობენ ასისტენტები და სპეციალურად მოწვეული მასწავლებლები. დაბოლოს, შეინიშნება გარკვეული განსხვავებები

სწავლების მეთოდსა და სასწავლო პროგრამებს შორის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და სპეციალიზებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში (სხვა ტიპის სასწავლებლები, რომლებიც შუალედურ რგოლებს წარმოადგენენ, ამ მხრივ უფრო უნივერსიტეტებს უახლოვდებიან).

ყველა სასწავლო პროგრამა და გამოცდა (იქნება ეს დამამთავრებელი თუ კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდა, განსაკუთრებით სამედიცინო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) უნდა შეთანხმდეს განათლების მინისტრთან. უნივერსიტეტებში სტუდენტებს აქვთ უფრო ფართო შესაძლებლობა ტესტების არჩევის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, უნივერსიტეტები (ტექნიკური უნივერსიტეტის ჩათვლით) საშუალებას აძლევენ თავიან სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო გეგმების და ცხრილების შედგენაში და ისეთი საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგების ინდივიდუალურ არჩევაში, როგორიცაა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. სასწავლო პროგრამა, თავისი არსით, სპეციალიზებულ ტექნიკურ სასწავლებლებში უფრო უახლოვდება საშუალო სკოლების ანდა ამერიკული კოლეჯების პროგრამებს. რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, საუნივერსიტეტო პროგარმები აქაც მეტი ელასტიურობით ხასიათდებიან.

ამდენად, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურა გასაოცრად *მრავალფეროვანია*, რაც ყველაზე მეტად აისახება ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა კურსებში. ასეთი თავისუფლება პროფესორ-მასწავლებლებსა და შემოქმედებით სტუდენტებს დამოუკიდებელი კელევისა და „აღმოჩენების გაკეთების“ დიდ საშუალებას აძლევს. მეორეს მხრივ, ეს ტენდენცია „საშუალო“ სტუდენტებს უსუსურს ხდის, რადგანაც მათ ტიუტორული დახმარების საშუალებას უსპობს, რაც, თავის მხრივ, ხდება მიზეზი ზემოაღნიშნული „გაუცხოებისა“ მასობრივ უნივერსიტეტებში.

აღნიშვნის ღირსია ის მრავალმხრივი მცდელობები, რომლებიც მი'სნად ისახავენ *ფართოდ ინდივიდუალიზებული უნივერსიტეტის და სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების კოორდინაციას.* განსაკუთრებით უნდა შეეხოთ რექტორთა (და პრეზიდენტთა) გერმანულ კონფერენციას უმაღლესი განათლების დარგში. უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციისა და ინტეგრაციის მი'სნით დაარსდა „ზოგადსაგანმანათლებლო უმაღლესი სკოლები", რომლებშიც ხდება თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა, მუშავდება პროგრამები და საკვალიფიკაციო სტანდარტები და, ამრიგად, ყოთარდება ის ტენდენციები, რომლებიც დიდი ხანია შეინიშნება აშშ-ში და რომლებმაც ასლანასს ინინა თავი ბრიტანეთში. გერმანიაში ამ ახალმა ტენდენციამ ფეხი ვერ მოიკიდა ტრადიციული უნივერსიტეტისა და კონსერვატიული პოლიტიკის მომხრეთა წინააღმდეგობის გამო. ისინი თვლიან, რომ ამგვარმა ინტეგრაციამ, შესაძლოა, საქმე საუნივერსიტეტო სტანდარტთა დაკნინებამდე მიიყვანოს.

2) ორი მომდევნო პუნქტი უშუალოდ *სასწავლო პროგრამებს* ეხება. ისინი მჭიდრო კავშირში არიან სპეციალიზაციის არსებული პროცესისადმი კრიტიკულ მიდგომასა და *სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამების ოპტიმალურად უნიფიცირების* მცდელობასთან. ეს ახლებური მიდგომა განპირობებულია სამეცნიერო სისტემის, როგორც ასეთის, განვითარების შიდა პროცესებით ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სტუდენტთა მზრადი მოთხოვნილებით, შეიქმნას მიზანმიმართული, მწყობრი და ლოგიკური სასწავლო პროგრამები აკადემიურ დისციპლინებში. გერმანული უნივერსიტეტის ისტორიაში ასეთი მოთხოვნების გათვალისწინება და მათი პრაქტიკული ასახვა სასწავლო პროგრამებსა და მეთოდიკაში ახალი ეტაპი იყო და იგი ეფუძნებოდა სასწავლო პროგრამების თეორიული საფუძვლების დამუშავებას. ფაქტობრივად, უმაღლესი განათლება ლოგიკური გაგრძელება ხდება დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპისა, სადაც

„დიდაქტიკა“ დიდი ხანია მათი განუყოფელი ნაწილია. გერ-. მანულ (და სხვა ტიპის უნივერსიტეტებში) მეცნიერული ცოდნის ტრანსპონირებას „დიდაქტიკურ“ სტრუქტურაში არ მოჰყოლია შედეგად მისი სტატუსის გაუფასურება, რადგანაც ეს დიქოტომია ჯერ კიდევ ნეოჰუმანისტების თეორიაში იგულისხმებოდა, როდესაც ისინი ამბობდნენ, რომ სამეცნიერო კვლევა აღვიეებს სწავლების უნარს. ამ თეზისის მომხრენი არ ითვალიწინებდნენ, რომ ამგვარი დიქოტომიის არსებობა მხოლოდ სადოქტორანტურო, მცირერიცხოვანი ჯგუფების სემინარების პირობებშია შესაძლებელი. და მაინც, თუკი თვალს გადავავლებთ გერმანულ საუნივერსიტეტო ასპარეზს, საშუალება მოგვეცემა ჩავწვდეთ იმ ახლებურ მიდგომებს, რომლებიც სათავეს იღებენ შიდადისციპლინარულ „დიდაქტიკურ ცენტრებში“ და ცალკეულ მონოპროფილიან ინსტიტუტებში.

3) მაშინ, როდესაც სასწავლო პროგრამების დამუშავების თეორია გამიზნულია აკადემიური სწავლების გასაუმჯობესებლად, *„მიზანსწრაფული სწავლების თეორია“*, რომელმაც გზა გაიკვლია განახლებულ სასწავლო პროგრამებში, გახდა საფუძველი საეთვალთაო უკმაყოფილებისა ვიწროდ სპეციალიზებული კურსების მიმართ, რომლებიც უგულელყოფენ „წიგნებით შეძენილ“ ცოდნას. ცხადია, ბევრ სასწავლო პროგრამაში დაიძებნება სხვადასხვა ხანგრძლივობის „პრაქტიკულები“. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრაქტიკულებს საკალდებულო ხასიათი აქვთ, ისინი, ხშირად, მაინც *სრულიად ამოვარდნილნი არიან აკადემიური სასწავლო პროგრამების საერთო კონტექსტიდან* და არ გამოდგებიან თეორიისა და პრაქტიკის შემაკავშირებელი ნიადაგის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, „მიზანდასახული სწავლების“ კურსები განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებენ.

ეს თეორია, ფაქტობრივად, ახალი თეორია არაა. მისი ჩანასახები ისეთ „კლასიკოს“ პედაგოგთა ნაშრომებშიც მოიპოვება, როგორიც არიან კომენიუსი და პესტალოცი. საერთაშორისო

რეფორმისტულ მოძრაობაში, რომელმაც მანიფესტაცია ჰპოვა „პროგრესული განათლების“, „დუცატიონ ნოუველლე“ და“ლეფოფმპ დაგოგიკ“ფილოსოფიებში, გაჩნდა დიდი ინტერესი ამ თეორიის მიმართ დაწყებითი და საშუალო განათლების დონეებსე. აშშ-ში ამ მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა უნივერსიტეტებსეც მაშინ, როდესაც გერმანიაში „მიზანსწრაფულობასე ორიენტირებული“ კურსები განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაემიჯნენ „წმინდა აკადემიურ“ პროგრამას. საცდელმა პროექტებმა დაგვარწმუნეს „მიზანსწრაფულობაზე ორიენტირებული“ კურსების მოტივირებულობაში. მოერეს მხრივ, მათ ცხადყვეს ამ კურსების შეზღუდულობა სასწავლო პროგრამების თვალსაზრისით. ამდენად, ზემოაღნიშნული ტიპის კურსები უნდა გაიაზრებოდეს, როგორც დამხმარე და არა ძირითადი საშუალება, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შექმნიან საშიშროებას სისტემური სწავლების დედაარსის უგულებელყოფისა. ემპირიულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ „მიზანსწრაფული სწავლების თეორიაზე ორიენტირებული“ კურსების ჩატარების ექსპერიმენტებმა ცუდი შედეგი გამოიღო მათი როლის გადაჭარბებული შეფასების გამო სასწავლო პროგრამებში.

4) თქვენ, აბლათ, გახსოვთ ჩემი ზემორე მსჯელობა „კონკრეტული მიზნის არმქონე“ და „პროფესიონალიზმზე“ ორიენტირებულ მიმართულებებს შორის ჭიდილზე. ამ ორიდან უკანასკნელის გათვალისწინებით აღმოცენებულმა კურსებმა დიდი ადგილი დაიკავეს საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ .ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ზოგიერთი პუნქტის ახლებურად გააზრებამ და გადაფასებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, რამაც ასახვა ჰპოვა *სასწავლო პროგრამათა ცვლილებებში.* ამგვარი გადაფასება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური სისტემის სწრაფ ცვლილებებთან და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის უმუშევრობის ზრდასთან (რაც განპირობებულია შრომითი დასაქმების

ბირჟაზე მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებზე მოთხოვნის ვარდნით).

თუკი 70-იან წლებში „პროფესიონალიზაცია“ უპირველეს ყოველისა რომელსამე *ერი* პროფესიას ითვალისწინებდა, ამჟამად იგი უკვე *„პოლივალენტურობას“* გულისხმობს. ეს მიმართება არა მარტო უარყოფს პროფესიონალიზმის პოსტულატს, არამედ იწვევს უამრავი ახალი კურსების ვაჩენას, რომელთა მოსმენაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ერთდროულად მოიმზადოს რამდენიმე (როგორც წესი – მომიჯნაული) პროფილით. მაგალითად, 70-იან წლებში „პროფესიონალიზაცია“ ეფუძნებოდა მასწავლებელთა ლინეარულ მომზადებას, ტრადიციული „კონკრეტული მიზნის არმქონე“ განათლების ტენდენციის საწინააღმდეგოდ, ამჟამად უნივერსიტეტის სწავლება იმგვარადაა ორიენტირებული, რომ უმაღლესის დამთავრების შემდეგ მათ შესძლონ იმუშაონ არა მარტო პედაგოგიკაში, არამედ მომიჯნაულ სფეროებშიც. კონსერვატორული პოზიციიდან, ისე გამოდის, თითქოს „პოლივალენტურობა“ არაპროფესიონალიზმის კონცეფციისაკენ შემობრუნებას ნაშნავს; სამომავლო ორიენტაციის მქონე მოდელებში კი იგი ფლექსიურობად და მობილურობად აღიქმება, რაც დინამიური სასწავლო პროგრამების ძირითადი მახასიათებელია. ბოლოდროინდელმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ პოლივალენტური ორიენტაციის პროგრამებით მომზადებულ მომავალ პედაგოგებს, შესაძლებლობა აქვთ უმუშევრობის შემთხვევაში იცვალონ პროფილი და წარმატებით გაართვან თავის სამრეწველო ფირმებსა და ტურისტულ სააგენტოებში მუშაობას.

5) 70-იანი წლების რეფორმამდე, დოქტურანტურაში წარდგენა (სამედიცინო დარგის გამოკლებით) ხდებოდა ყოველგვარი წინასწარი კვალიფიკაციების გარეშე, როგორიცაა დიპლომები ან მაგისტრის ხარისხები. ეს უფლება დროთა განმავლობაში გაუქმდა. ამჟამად მათ, რომელთაც სურთ ჩაებან დოქტორანტურაში, უნდა მიიღონ დიპლომი ან მაგისტრის ხარისხი, უფრო მეტიც, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებების დარ-

გებისათვის შემოღებული იქნა „ინტერიმ დიპლომა“, რომლის პრეცენდენტიც კარგახანია არსებობდა სამედიცინო სფეროში. ასევე დამამთავრებელ გამოცდებზე დასაშვებად (იგულისხმება აკადემიური და „სახელმწიფო“ გამოცდები; ეს უკანასკნელი ეხება მასწავლებლებს, იურისტებსა და ექიმებს) პრეტენდენტებს მოეთხოვება გარკვეული რაოდენობის სემინარებზე დასწრების დამადასტურებელი საბუთი. სემინართა რიცხვი განსხვავდება უნივერსიტეტებისა და მათი ლოკალიზაციის მიხედვით. განსხვავებით ბრიტანული, ამერიკული და ფრანგული სისტემებისაგან, გერმანულ უნივერსიტეტებში *ასეთი გამოცდების რაოდენობა მინიმალურია.*

6) ზემოაღნიშნული „ავტონომიურობიდან“ და *თვითმმართველობის* ხარისხიდან ვამომდინარე, გერმანული უნივერსიტეტები არ გვეელინებიან „გარე“ შეფასებისა და მსჯელობის ობიექტებად. „აკადემიური დამოუკიდებლობის“ ეს კრიტერიუმი, რომელიც გამყარებულია „ქენია ლეგენდის“ მფლობელთა „პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლების“ პრინციპით, სულ ახლახან იქნა მიღებული. მისი მომხრენი ჭეშმარიტად უფლებამოსილნი არიან ამტკიცონ, რომ ადგილობრივი სამეცნიერო წრის მიერ კოლეგათა ღვაწლის შეფასება (ჟურნალში დაბეჭდილი კრიტიკული წერილითა თუ შენიშვნებით) სავსებით საკმარისი და კვალიფიციურია. თუმცა, მასობრივი უნივერსიტეტების მუდმივმა რაოდენობრივმა ზრდამ მეტად შეზღუდა და ძალა გამოაცალა მას. აქედან გამომდინარე, აშკარა უნდა იყოს, თუ რატომ გაისმოდა „გარედან“ შეფასების მოთხოვნა სულ უფრო და უფრო ხშირად (შესაფასებლად “გარეთა ხმების” მოხმობა, თავისთავად, შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო ტენდენტციებს). არსებული კამათი ძირითადად იქით იხრება, რომ ნაშრომთა შეფასების წესების/დადგენასა და მექანიზმის შემუშავებას სამეცნიერო საბჭომ გაუწიოს კოორდინაცია.

7) სტუდენტთა *ჩარიცხვის საკითხი* მუდამ დიდმნიშვნელოვან ადგილს იჭერდა უმაღლესი განათლების განვითარებისა და მომავლის გარშემო მიმართულ დებატებში. ეს საკითხი მჭიდროდ ებმის იმის განსაზღვრას, თუ როგორი ახალგაზრდა უნდა ჩაირიცხოს უნივერსიტეტში. 70-იან წლებამდე გერმანული უნივერსიტეტის კარი „აბიტურის" მფლობელისათვის ღია იყო. ძირითადად ეს დადგენილება დღესაც ძალაშია. მეორეს მხრივ, აბიტურიენტთა მ'სარდმა რიცხვმა აიძულა ხელმძღვანელობა შემოელოთ უამრავი კანონი სხვადასხვა დისციპლინისათვის (განსაკუთრებით მედიცინაში). ეს პრობლემა ჯერაც გადაუჭრელია. არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რადგანაც იგი გულისხმობს მხოლოდ რაოდენობრივ კრიტერიუმს და არ ასახავს ხარისხობრივს. უნივერსიტეტები მუდმივად ცდილობენ შეარჩიონ ოპტიმალური კონტინგენტი თავისუფალი მიღების პირობებში და გამოუშვან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება „აკადემიური უნარის" დადგენის პრობლემა.

როგორია ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოდგება უმაღლეს სასწავლებლებში ჩამბარებელთა შესარჩევად? ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ტრადიციით, აბიტური ითვლება საუკეთესო წინარე კრიტერიუმად. უნივერსიტეტის პროფესორებსა და „აკადემიურ წრეებს", ისევე როგორც წარმოებისა და მომსახურების სფეროებში მომუშავე მენეჯერებს შორის, არსებობს აზრი, რომ არსებული ვითარება დამაკმაყოფილებელია. უფრო მეტიც, ითვლება, რომ უამრავი კანონი და მისაღები ტესტების სტანდარტები (მედიცინაში და ა. შ.) სრულიად დამაკმაყოფილებლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. წინადადებებმა, რომლებიც ეხებოდა მისაღები გამოცდების შემოღებას, მხარდაჭერა ვერ ჰპოვეს. მეორეს მხრივ, არსებობს პრობლემა და ა'სრთა სხვაობა იმის თაობა'ზე, რომ უმჯობესია უნივერსიტეტმა მიიღოს აბიტურიენტი აბიტურის გარეშე, მაგრამ გარკვეული პრო-

ფესიონალური გამოცდილებით. ყველა ეს წინადადება, რომელიც, ალბათ, საბოლოოდ კონკრეტულ ზომებამდე დაივა, ამა თუ იმ სახით უკვე ასახულია საშუალო და პროფესიული სასწავლებლების პროგრამებში. ალბათ უპრიანი იქნება გაღმოვიღოთ ბრიტანული და სკანდინავიური გამოცდილება.

8) ბოლო პუნქტი ეხება უმაღლესი განათლების ფუნქციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მსგავსად ფრანგული, იტალიური და ესპანური მოდელებისა და განსახვავებით ბრიტანული, სკანდინავიური და ამერიკული მოდელებისაგან, ტრადიციული გერმანული უნივერსიტეტები გაემიჯნენ „გარე სამყაროს". ეს გამიზნული გამიჯვნა სავსებით ეთანხმებოდა ჰუმბოლდტის „კონკრეტული მიზნის არქონის" პრინციპს. თუმცა, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, იგი არ ვრცელდებოდა სამედიცინო, იურიდიულ და თეოლოგიურ დარგებზე და, დროთა განმავლობაში ფიქტიური გახდა ბევრი ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვისაც. და მაინც, ეს ტენდენცია დღემდე იგრძნობა და განაპირობებს უნივერსიტეტების „კუნძულების სახით" არსებობას საზოგადოებაში. მართალია, წმინდა სამეცნიერო ორიენტაციის სტუდენტთათვის ასეთი მდგომარეობა შესაძლოა ხელსაყრელიც იყოს, მაგრამ მათთვისაც კი აუცილებელია კონტაქტები გარე სამყაროსთან რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ფაქტორების (მეცნიერების, ტექნოლოგიის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ვითარების) ურთიერთქმედებას. ნებისმიერ შემთხვევაში, სტუდენტთა უმრავლესობას სჭირდება გარე კონტაქტები იმისათვის, რომ მომავალში შეძლოს „პრაქტიკული მუშაობა".

ამ ბოლო დროს, უფრო ხშირია ისეთი პროექტების შემუშავება, რომლებიც კონკრეტული საუნივერსიტეტო ფაკულტეტებისა და ზოგიერთი ფირმის თანამშრომლობას გულისხმობენ. ასეთი თანამშრომლობა, განსხვავებით იზოლირებულად არსებული საუნივერსიტეტო „პრაქტიკულებისაგან",

მეტად ნაყოფიერია. ასეთი ინიციატიების მსარდაჭერა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ უნდა გადასცდეს იმ საზღვრებს, რომელთა მეშვეობითაც უნივერსიტეტი იქნება თუ ნებისმიერი სხვა ემაღლესი სასწავლებებლი, არ დაკარგავს აკტონომიური და თავისუფალი ერთეულის სტატუსს მუდმივად ცელადი საზოგადოებრივი ცხოვრების წესის აყოლისას.

5. დასკვნები

საერთაშორისო ასპარეზზე გერმანულ უნივერსიტეტებს უჭირავთ ის ადგილი, რომელიც, შეიძლება ითქვას, *„გაუკრეველობის“* ნიშნით გამოირჩევა. ეს განპირობებულია იმ ტრანსფორმაციული პროცესებით, რომელთა წინაშეც ისინი დგანან. მიუხედავად იმ ბრწყინვალე ტრადიციებისა და სახელებისა, რომლებიც გერმანულ უნივერსიტეტებს უკავშირდება, მათ განსაკუთრებით დიდი სირთულეები აქვთ დასაძლევი, რათა აჰყვნენ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თუ სამეცნიერო ძერებით აღსავსე ახალი ცხოვრების ფეხის სმას. ამ მიმართებით, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნაცისტური რეჟიმის პერიოდში (რომლის გამოძახილიც დღემდე იგრძნობა) გერმანიამ დაკარგა უამრავი გამოჩენილი მეცნიერი (მათი ემიგრაციისა თუ სხვა მიზეზით).

დასკვნის სახით, ჩემი ანალიზის ბოლოს მინდა ჩამოეთვალო ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაც მომავალში აუცილებლად მოუხდება გერმანულ უნივერსიტეტს.

- *შინაგან სტრუქტურებს* გადაუდებელი რეორგანიზაცია ესაჭიროება იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს თავი გაართვას სტუდენტთა მსარდი ნაკადის აღსრდასა და, ამასთან, აკადემიური ხარისხის შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შემუშავდეს შუალედური კრიტერიუმები, რადგანაც ამჟამად არსებული წინადადებები, მიღებულ იქნას ამერიკული და

ბრიტანული მოდელების შესაბამისი ორ-ეტაპოვანი სისტემა, ჯერჯერობით წინააღმდეგობას აწყდება.

- ჭეშმარიტად მხარდაჭერის ღირსია ენერგიული მცდელობები სასწავლო პროგრამათა გადასინჯვის თვალსაზრისით, რადგანაც ისინი ითვალისწინებენ შიდადისციპლინარული საკვლევი მეთოდოლოგიისა და შესასწავლი პროგრამების გათვალისწინების სტუდენტთა იმ უმრავლესობისათვის, რომლებიც მოწოდებულნი არიან თავიანთი ცოდნა შრომითი დასაქმების ბირჟებზე გამოიყენონ და უარი თქვან სამეცნიერო მოღვაწეობაზე. ეს მცდელობანი უნდა წარიმართონ ორივე ტიპის პროგრამათა გადასინჯვისაკენ: როგორც ვიწრო სპეციალიზაციის ხასით შედგენილი პროგრამების, ისე დისციპლინათშორის სქემებზე აგებული პროგრმებისა, რომლებიც სულ უფრო მეტად რელევანტურნი ხდებიან როგორც თავად უმაღლესი დაწესებულებებისათვის, ისე შრომითი დასაქმების ისეთი „გარე" სფეროებისათვის, როგორიცაა სკოლები, ფირმები, კომერციული და ტურისტული სააგენტოები, ადმინისტრაციული დაწესებულებანი და ა. შ.
- მოკლედ, სასწავლო პროგრამათა ახალი ვარიანტის შემუშავებისას ძირითად ამოცანად გვესახება *„პროფესიონალიზაციასა"* და *„პოლივალენტურობაზე"* ორიენტირებული ორი სქემის ურთიერთშეჯერება.
- ორივე მომენტის – ეკონომიკურის (სახელდობრ ფინანსურის) და უმაღლესი განათლების სისტემაში „შეჯიბრის" ელემენტის არსებობის აუცილებლობის (რომელიც ამ ბოლო დროს სულ უფრო ნაკლებად შეინიშნება) გათვალისწინება მკაცრად განაპირობებს ფორმალური *შემფასებლური* მექანიზმის შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე პრობლემა მნიშვნელოვანია და რთული მოსაგვარებელი, მათი გადაჭრა ისე უნდა მოხერხდეს, რომ გერმანულმა უნივერსიტეტებმა აღიდგინონ კონკურენტუნარიანობა იმ თავისებურების დაკარ-

ბეის გარეშე, რომელიც მათ განსაკუთრებული გამორჩეულეობის ნიშნით აღბეჭდავდა ხოლმე.

- ტრადიციული *საუნივერსიტეტო ავტონომია* თანდათანობით გაქრა, რადგანაც იგი სულ უფრო და უფრო უა'სრო გახდა „გარე სამყაროს" სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებების კონტექსტში. ამდენად, უნივერსიტეტები უნდა დაეთანხმონ ეკონომისტების, სოციოლოგების და პოლიტიკოსების წინადადებას მიატოვან გარიყული, კარჩაკეტილი ცხოვრების წესი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ პროექტებში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სექტორებთან ერთად. ამავდროულად, ისინი უნდა შეეცადონ, არ დაუქვემდებარონ თავიანთი პედაგოგიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობა გადაჭარბებული დაგეგმარების თანამედროვე ადმინისტრაციულ ტენდენციას. ასეთმა მიმართულებამ შესაძლოა მათ შეუქმნას იმ ელასტიურობისა თუ შემოქმედებითობის უნარის დაკარგვის საფრთხე, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებისათვის, რათა უკანასკნელნი მოემსახურონ მომავალში სწორად ორიენტირებული სამეცნიერო კვლევის, მეცნიერების პროგრესის და განათლებული და მაღალკვალიფიციური კადრების შემქნის საქმეს.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეა, ცხადია, აღარ გამოდგება *გზამკვლევად* თანამედროვე საუნივერსიტეტო რეფორმისათვის. მაგრამ იგი მაინც დღის წესრიგში დგას, როგორც ღია, ცხოველმყოფელი საკითხი და საშუალებას გვაძლევს ზუსტად გაეია'სროთ საუნივერსიტეტო მიღწევებისა და ცხოვრების წესის თანდათანობითი ტრანსფორმაციის ეტაპები, დავსახოთ მისი სამომავლო განვითარების გზები ყოველდღიურად ცვლადი სამყაროსა და საზოგადოებრივი მოთხოვნების კონტექსტში.

თარგმანი თამარ ჩხეიძისა და თამარ ჯაფარიძისა

ჯიმ რაშთონი *(უორუიკი)*

საუნივერსიტეტო განათლების სისტემა დიდ ბრიტანეთში

ჩემთვის დიდი პატივია მონაწილეობა მივიღო სემინარის მუშაობაში. მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოვედი. ეს ჩემი პირველი ვიზიტია თბილისში. მქონდა საშუალება დამეთვალიერებინა თქვენი ქალაქი. ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს შემდგომი ნაბიჯია ურთიერთობებში თბილისისა და უორუიკის უნივერსიტეტებს შორის. მე ძალიან დიდი ინტერესით ვუსმენდი ბ-ნ მიტერის გამოსვლას. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას, რომ ასეთი ინფორმაციული მოხსენება მოგვაწოდა გერმანიაში განათლების სისტემის შესახებ. ჩემი მოხსენების ძირითადი მიზანია გაგაცნოთ ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემაში 1980 წლის შემდეგ. ეს ცვლილებები მართლაც რომ რევოლუციური იყო. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ცვლილება მომდინარეობდა მთავრობიდან და არა უნივერსიტეტებიდან. სანამ დავიწყებდეთ ცვლილებებზე ლაპარაკს, გთხოვთ ჩახედოთ დამატების პირველ გვერდს, რომელიც დაგირიგდათ და რომელშიც აღნიშნული არის საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები დიდ ბრიტანეთში 1979 წელს. რატომ არის მითითებული 1979 წელი, როგორც ცვლილების დაწყების წელი? იმიტომ, რომ ამ წელს პრემიერ-მინისტრად აირჩიეს მარგარეტ ტეტჩერი. ძირითადი დამახასიათებელი თვისებები დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემისა 1979 წლისათვის: ამ დროს იყო სულ 47 უნივერსიტეტი – უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მათ შორის 37 პოლიტექნიკური სასწავლებელი. პოლიტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდების მომზადება ხდებოდა ბაკალავრისა და მაგისტრის დონეზე, მაგრამ ეს სას-

წაელებლები არ ანიჭებდნენ სტუდენტებს ამ ხარისხს. უნივერსიტეტები იყვნენ, საკმაოდ მცირე სასწავლო დაწესებულებები და ემსახურებოდნენ საზოგადოების მხოლოდ ერთობ მცირე, ელიტარულ ნაწილს. მაშინ, როდესაც მე ვიყავი სტუდენტი, უნივერსიტეტებში წამსვლელ სტუდენტთა ასაკობრივი ჯგუფიდან მხოლოდ 5% მიდიოდა უმაღლეს სასწავლებელში. 1979 წელს ამ ასაკობრივი ჯგუფიდან უკვე 7% სწავლობდა უნივერსიტეტში და 7% — პოლიტექნიკურ სასწავლებელში. რაც, რა თქმა უნდა, არ არის მაღალი მაჩვენებელი. უნივერსიტეტები იძლევიან ძალ'ზე შერჩეით და სპეციალი'ზებულ განათლებას. სკოლაში სწავლის ბოლო ორ წელიწადს ბრიტანელი სტუდენტები მხოლოდ სამ საგანს ამზადებენ. და, როდესაც ისინი შედიან უნივერსიტეტში, შედარებით კარგად არიან მომზადებულები ამ სამ საგანში, რომელთა მიხედვითაც უნდა ააგონ თავიანთი მომავალი სამუშაო. უნივერსიტეტში შესვლა საკმაოდ ძნელია დიდი კონკურსის გამო, სწავლება საკმაოდ მაღალ დონე'ზე მიმდინარეობს, ხოლო, რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, როდესაც მე ვიყავი უნივერსიტეტში, მაშინ ყოველ 7 სტუდენტზე მოდიოდა 1 მასწავლებელი, ხოლო 1979 წელს 1 მასწავლებელი უკვე 10 სტუდენტს ასწავლის. ასევე ჩვენ გვქონდა სპეციალიზებული სასწავლო კურსების გარკვეული კომბინაციები უნივერსიტეტში. სწავლება ინტენსიური-იყო და საუნივერსიტეტო განათლების მთელი პერიოდი მხოლოდ სამ წელს მოიცავდა. ამერიკასა და სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ბრიტანეთში საკმაოდ დაბალი იყო დანაკარგის პროცენტი. დანაკარგში ეგულისხმობ იმ სტუდენტებს, რომლებმაც დაიწყეს სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ ველარ დაამთავრეს იგი, რადგან ჩაიჭრნენ გამოცდებ'ზე. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა. შეიძლება შევადაროთ საფრანგეთის 40%-ს, ჩრდილოეთ ამერიკის 50%-ს, მე 'სუსტად არ ვიცი რამდენი არის იტალიაში, მაგრამ დაახლოებით 60-70 %-ია, გერმანიაში 30%. ასე რომ, ჩვენ გვაქვს საკმაოდ მცირე, ელიტარული, საკმაოდ მომთხოვნი სისტემა უნივერსიტეტებისა. სტუ-

დენტები იღებენ სტიპენდიას მათი მშობლების ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად. ბრიტანეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის ტრადიცია იმისა, რომ სტუდენტები ტოვებენ სახლს და მიდიან სასწავლებლად სხვა ქალაქებში. ამიტომ უნივერსიტეტები რეზიდენციულნი გახდნენ ანუ სტუდენტები ცხოვრობენ უნივერსიტეტების ტერიტორიაზე. აკადემიურ პერსონალს მოეთხოვებოდა ასევე სამეცნიერო კვლევის ჩატარება. ასე რომ, ბრიტანეთში კვლევითი სამუშაოები და სწავლება უნივერსიტეტებში ერთმანეთთან იყო ინტეგრირებული და ერთად მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რაც ბატონმა მიტერმა განაცხადა ამის შესახებ. მისი ინფორმაცია, ეფიქრობ, არ იყო სწორი.

აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა გათავისუფლება შტატების შემცირების ან არაკომპეტენტურობის გამო მხოლოდ მაშინ არ ხდებოდა. ეს ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ჩაიდენდა რაიმე შეურაცხმყოფელ და უნივერსიტეტის პედაგოგისათვის შეუფერებელ ქმედებას. ეს ითვლებოდა აკადემიური თავისუფლების დამცავ სისტემად. ბრიტანეთის უნივერსიტეტები პასუხისმგებელნი იყვნენ ქვეყანაში ძირითადი სამეცნიერო კვლევის სფეროში. ძირითადი კვლევა სწორედ ამ უნივერსიტეტების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. აკადემიური თავისუფლების დასაცავად არის კიდევ ერთი ინსტიტუტი. ეს იყო უნივერსიტეტის სუბსიდიების კომიტეტი, რომელიც იდგა მთავრობასა და უნივერსიტეტებს შორის და წინააღმდეგობას უწევდა მთავრობას, კონტროლი დაემყარებინა უნივერსიტეტებზე. მთელი ფული, რასაც მთავრობა აძლევდა ამ კომიტეტს, შემდეგ ამ კომიტეტის განკარგულებით გადაეცემოდა უნივერსიტეტებს. ასე რომ, ეს არის საკმაოდ ეფექტური და მაღალი ხარისხის სისტემა, რომელიც მოქმედებს. ამ სისტემამ წარმოშვა ძალიან ბევრი ნობელის პრემიის ლაურეატი. ასე მაგალითად, მარტო კემბრიჯის კოლეჯის კურსდამთავრებულთა შორის უფრო მეტი ნობელის პრემიის ლაურეატია,

ეიდრე მთელ საფრანგეთში. და თუკი ასეთი ეფექტურია ეს სისტემა, რატომ დაუპირისპირდა მას მარგარეტ ტეტჩერი. ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. 1980 წელს დიდ ბრიტანეთში იყო საკმაოდ სერიოზული ინფლაცია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას სერიოზულს ვუწოდებდით. ამიტომ მარგარეტ ტეტჩერს სჭირდებოდა ეკონომია და საზოგადო საჭიროებებზე დანახარჯის შემცირება. მის ამ აზრს იზიარებდა მთავრობის ბევრი წევრი, ისინი ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტებს საკმარისი წელილი არ შეჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში. საკმაოდ ცნობილმა პოლიტიკურმა კომენტატორმა თავის წიგნში ასე დაახასიათა უნივერსიტეტები: ეს არის მონოპოლია გამოშვებისა, რომელიც ძალიან დიდი ხანია ფუჭდება საზოგადო, სახელმწიფო ფულით. ე. ი. ისინი ძალზე ბევრ ფულს ღებულობენ იმისათვის, რომ გამოუშვან პროდუქცია და უნივერსიტეტები ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს — ხელი შეუწყონ ბრიტანეთის ეკონომიკის განვითარებას. საკმაოდ გავრცელებული აზრი იყო, რომ უნივერსიტეტები მნიშვნელოვანწილად ცხოვრებას მოწყვეტილნი და განკერძოებულნი იყვნენ, რომ ისინი საზოგადოების ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებდნენ სუბსიდირებას, სტიპენდია იქნებოდა თუ სხვა თანხები, და არა თავად სწავლებას. ამის თქმის საფუძველი მართლაც არსებობდა. თუმცა ბრიტანეთის უნივერსიტეტების მეცნიერები საკმაოდ პროდუქტიულები იყვნენ. ამ პროდუქციის სარგებელის ხვედრითი წილი ბრიტანეთის ეკონომიკაში ერთობ მცირე იყო. 1980 წელს უნივერსიტეტებისათვის გამოყოფილი მთელი თანხის მხოლოდ 2% ხმარდებოდა კვლევით საქმიანობას. ეს იყო სწორედ მანვენებელი უმნიშვნელო კავშირისა უნივერსიტეტებსა და ეკონომიკური აღმავლობის პროგრამებს, უნივერსიტეტსა და მრეწველობას შორის. ჩემს უნივერსიტეტში, თუმცა უორუიკი არის ცენტრი დიდი ბრიტანეთის მანუფაქტურული ინდუსტრიისა, 1980 წელს საინჟინრო განყოფილებებს თითქმის არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ინჟინერიასთან და მრეწველობასთან. უნი-

ვერსიტეტში თვლიდნენ, რომ მათი ვალი იყო ძირითადი კვლევე-ბის წარმოება ფუნდამენტურ მეცნიერებებში. ამავე დროს დაიკარგა 60 ათასამდე სამუშაო ადგილი მანუფაქტურაში. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ცუდი მენეჯმენტით, იაპონიასთან კონკურენციით და საბანკო საქმის რეგულაციის პრობლემებით. კრიტიკის კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ ყველაზე უფრო ნიჭიერი სტუდენტები სწავლის დამთავრების შემდეგ იწყებდნენ შრომით საქმიანობას სამოქალაქო სამსახურში, კვლევით სამუშაოზე ისევ უნივერსიტეტებში ან ბიბლიოთეკაში. მაგრამ ძალზე იშვიათად ეკონომიკის დარგში. ტეტჩერმა აღნიშნა, რომ სისტემა უმაღლესი განათლების ორგანიზაციისა არ იყო ეფექტური. ამის თაობაზე ისმოდა არა ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: რა არის საფუძველი, რასაც ეყრდნობა უნივერსიტეტი? რისი პასუხიც იყო, რომ ამის საფუძველი მხოლოდ სტუდენტთა რაოდენობაა. ეძლეოდათ თუ არა საუკეთესო უნივერსიტეტებს ისეთივე თანხა მთავრობიდან, როგორც ხარისხით ნაკლები უნივერსიტეტებს? ამის პასუხი იყო: დიახ, ისინი ერთნაირ თანხას იღებენ. კიდევ ერთი კითხვა — ხდებოდა თუ არა შემოწმება უნივერსიტეტში ჩატარებული სამუშაოს ხარისხისა? ამის პასუხი იყო, რომ თითქმის არანაირი შემოწმება არ სდებოდა, გარდა ჩვეულებრივი საგამოცდო სისტემისა. იყო თუ არა მცდელობა იმისა, რომ საკმაოდ ძვირი საკვლევი პრობლემატიკის კონცენტრაცია მომხდარიყო უნივერსიტეტების ვიწრო წრეში, მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტში? პასუხი იყო, რომ ძალიან ცოტა თუ იყო ასეთი მცდელობა. იყო თუ არა მცდელობა იმისა, რომ ამ სისტემას სოციალურად დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები საზოგადოებისა. მან აგრეთვე დასვა შეკითხვები იმის თაობაზე თუ როგორ იყენენ ორგანიზებულნი კონკრეტული უნივერსიტეტები და მისი მიდგომა ყოველთვის ძალზე კრიტიკული იყო. მაგალითად, მან დასვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდა ხარისხი თანხების გამოყოფის დროს სხვადასხვა ფაკულტეტებისათვის ამა თუ იმ უნივერსიტეტში. რანაირად ვახდენთ ამა თუ

იმ განყოფილების მუშაობის ხარისხის შეფასებას უნივერსიტეტში. ამის პასუხი იყო, რომ საერთოდ ასეთი შეფასება არ ხდებოდა. კითხვა — იყო თუ არა ადეკვატური მენეჯმენტის სტრუქტურები? ამის პასუხიც აგრეთვე უარყოფითი იყო.

ძალზე ცოტა იყო სტრატეგიული ფიქრი მომავლის გეგმების შესახებ. ძალიან მცირე იყო კოორდინაციის სარისხი სასწავლო დანახარჯებსა და სხვა ხასიათის დანახარჯებს შორის. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აღმოჩნდა, ის იყო, რომ უნივერსიტეტები სულაც არ ყოფილან ისეთი კარგები, როგორც თვითონ ფიქრობდნენ. სწორედ მთავრობამ მიუთითა იმაზე, რომ სხვადასხვა განყოფილებები, სხვადასხვა კათედრები ძალზე დანაწევრებული და გაფანტული იყო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტები ერთობ მცირე ზომის იყვნენ იმისათვის, რომ ისინი ჩაგვეთვალა აკადემიურად ღირებულ დაწესებულებებად. უნივერსიტეტები იყვნენ არაეკონომიურნი, განსაკუთრებით ძვირადღირებულ მეცნიერებებთან მიმართებაში. კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სტუდენტთაგან, რომელთაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი დაიცვეს, მხოლოდ 20%-მა დაამთავრა სწავლა დროზე. მთავრობამ, ჩვენი თვალსაზრისით, ძალზე იაფფასიანი და მისთვის საკმაოდ არაშესაფერისი კვლევა წარმართა. მან ჩაატარა კვლევა რამდენიმე მცირე უნივერსიტეტში და დასვა ერთი კითხვა: აკადემიური პერსონალის რა პროცენტმა გამოაქვეყნა ან არ გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. ამის პასუხი საკმაოდ შემაშფოთებელი აღმოჩნდა. პასუხმა დაარწმუნა მთავრობა: მისი ეჭვი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტები არ იდგნენ შესაფერის დონეზე, ნამდვილად გამართლებული იყო. არც სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების საკითხში აღმოჩნდა საუნივერსიტეტო განათლების სისტემა მოწოდების სიმაღლეზე. კიდევ ერთი შეკითხვა — რა სახის სწავლება მიმდინარეობდა თავად აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. გამოირკვა, რომ თითქმის არანაირი. კვალიფიკაციის

ამაღლება ფაქტობრივად არ ხდება. აკადემიური პერსონალის ხელფასების სფეროშიც სისტემა ერთობ მოუქნელი და არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. აქ რეგულირება არ ხდებოდა საგანთა აქტუალობისა და მათზე მოთხოვნილების მიხედვით. ის სისტემა კი, რომელიც არ ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის საჭიროებებს, არ შეიძლება იყოს ეფექტური. კრიტიკის კიდეე ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ის იყო, რომ მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრების 30-დან 40%-მდე სამეცნიერო კვლევას ხმარდებოდა და თუ ამას მთელი ეროვნული მასშტაბით განვიხილავთ, ძალზე დიდი თანხა გამოდის. მთავრობას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით დაიხარჯა ეს თანხა, ან რამდენად სწორად დაიხარჯა. ეს არის ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგინა კონსერვატიულმა პარტიამ, როდესაც ის დიდი ბრიტანეთის სათავეში მოვიდა. ამ სისტემის კრიტიკის კიდეე ერთი ასპექტი ის იყო, რომ უნივერსიტეტები მათი ელიტარულობის გამო საზოგადოების ერთობ მცირე ნაწილს ემსახურებოდნენ. მათ, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ უნივერსიტეტებში, შეიძლება ეჭვი გასჩენოდათ, რომ ისინი სხვებზე ნაკლებნი იყვნენ და რომ მათი კარიერა არ შესდგა. ახლა ვნახოთ, თუ რა ცვლილებები შეიტანა ქალბატონმა ტეტჩერმა და მისმა მთავრობამ 1980 წლის შემდეგ საუნივერსიტეტო განათლებაში. ეს იყო საკმაოდ არაკომფორტული კანონცვლილება. პირველი ცნობილი იყო, როგორც ქ-ნი ტეტჩერის ციკი შხაპის პოლიტიკა. მხოლოდ ერთ დღეში უნივერსიტეტებმა დაკარგეს საშუალოდ თავიანთი ბიუჯეტის 17%. ზოგიერთ უნივერსიტეტში მან 40%, ზოგიერთში უფრო ნაკლები შეადგინა. უცხოელ სტუდენტთა გადასახადები ძალზე გაიზარდა. ისიც ასევე სწრაფად და ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე. ეს უნივერსიტეტებისათვის საკმაოდ სასიანო აღმოჩნდა, რადგან ასე უცებ სწავლის თანხის გაზრდას შემდგომ ბევრი ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს. სტუდენტებს მთლიანად მოეხსნათ სტიპენდიები და ამის ნაცვლად დან-

ერგეს სესხის მიცემის პრინციპი. შეიცვალა ის ფორმულირებაც, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტებს ეძლეოდათ დაფინანსება. ადრე უნივერსიტეტი იღებდა ერთიან თანხას და შემდეგ თავად ანაწილებდა საკუთარი შეხედულებისამებრ. ახლა ეს ფული გამოიყოფოდა მიზნობრივად სტუდენტების მომზადებისათვის. ამის მიზანი ის იყო, რომ უნივერსიტეტებს დაეკმაყოფილებინათ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები. თუკი რეალური მოთხოვნილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტებს არ გამოუშვებდა უნივერსიტეტი, მაშინ ის, ვეღარ დააკმაყოფილებდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და შესაბამისად ვერც ფულს მიიღებდა. ამიტომ უნივერსიტეტებს მოუხდათ უფრო მეტად გაეთვალისწინებინათ სტუდენტთა მოთხოვნები.. ასევე მთავრობამ შემოიღო ყოველწლიურად 6,5 %-იანი დაკლება უნივერსიტეტებისათვის. ე. ი. ყოველ წელს უნივერსიტეტს აკლდება 6,5 % თანხიდან, რომელსაც იგი წინა წელს იღებდა. მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ მომავალში იგი აღარ მოახდენდა უნივერსიტეტების ახალი მშენებლობის დაფინანსებას. მაგრამ ზომები, რომლებიც მთავრობამ მიიღო, მხოლოდ უარყოფითი არ ყოფილა. მის მიერ გატარებული არა ერთი ღონისძიება ითვალისწინებდა უნივერსიტეტებისათვის დახმარებასაც. ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტებს ერთობლივად ემოქმედათ კომერციასა და ინდუსტრიაში. პირველი ასეთი ცვლილება იყო უნივერსიტეტში მიმავალი ახლბედების ყოველი ასაკის ჯგუფის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხულთა პროცენტის გაზრდა 5-დან 30-მდე. უფრო მეტიც, პოლიტექნიკური ინსტიტუტების რაოდენობა 35-დან 47-მდე გაიზარდა და მათ მიიღეს უნივერსიტეტის სტატუსი. რაც შეეხება არაფექტური უნივერსიტეტების მენეჯმენტს, მთავრობამ სრულიად შეცვალა უნივერსიტეტის სუბსიდიის კომიტეტის მოვალეობა და სახე. როგორც გახსოვთ, 1979 წელს ეს კომიტეტი იყო შუამდგომი მთავრობასა და უნივერსიტეტს შორის, რომ დაეცვა აკადემიური პერსონალის თავისუფლება. ეს მთლიანად შეიცვალა. კომიტეტს ახლა უკვე

სხვა სახელი ჰქვია და შეიცვალა აგრეთვე მისი მოვალეობაცა და შემადგენლობაც. ეს კომიტეტი ახლა უფრო მცირე ზომისაა და უკვე ემსახურება მთავრობის პოლიტიკის გატარებას და არა უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება 1979 წელს კომიტეტის მოვალეობას. მომავალ'ში უნივერსიტეტების დაფინანსება მოხდება არჩევით. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტს სხვადასხვა თანხა მიეცემა მთავრობიდან. თანხა, რასაც უნივერსიტეტები მიიღებენ, დამოკიდებული იქნება იმ მუშაობის ხარისხ'ზე, რომელიც ამ უნივერსიტეტებში წარიმართება. ამასთან ერთად უნივერსიტეტებმა უნდა ჩააბარონ ანგარიში მთავრობას, თუ რაში ხარჯავენ ისინი მთავრობიდან გამოყოფილ ფულს. ჩატარდა ეროვნული გამოკითხვა უნივერსიტეტების მენეჯმენტის ეფექტურობის შესახებ. ძალიან დიდი მუშაობა ჩატარდა ამ მიმართულებით და ბევრი დაიწერა, ზოგმა საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია ამ გამოკვლევას, ზოგმა კი პირიქით. ახლა რაც შეეხება აკადემიურ ხარისხს. რა გააკეთა მთავრობამ, რომ გაეუმჯობესებინა აკადემიური ხარისხი. უწინარეს ყოვლისა ჩამოყალიბდა ე.წ. შეფარდებითი ეროვნული სისტემა 1986, 1989 და 1992 წლებში ე.ი. სამი ·წლის ინტერვალში დიდი ბრიტანეთის ყველა უნივერსიტეტი და ყველა განეოფილება იქნა შეფასებული იქ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების მიხედვით. ამ კვლევის შედეგებმა გადაწყვიტა, თუ რა თანხას მიიღებდა უნივერსიტეტები მთავრობისაგან. მოელი ეს პროცედურა საკმაოდ ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებდა და მან საკმაოდ დიდი დრო წაიღო, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ იგი ძალ'ზე საჭირო იყო. ეს ძალიან ეფექტური მუშაობა იყო და დიდი წარატებით დამთავრდა განსაკუთრებით უორუიკის უნივერსიტეტისათვის, რომელიც ყოველი სამწლიანი გამოკვლევის შემდეგ მოექცა უნივერსიტეტების პირველ ექვსეულ'ში ოქსფორდის, კემბრიჯის, ლონდონის უნივერსიტეტების, აგრეთვე ლონდონის ეკონომიკური ინსტიტუტის შემდეგ.

თქვენ ალბათ გახსოვთ, მე უკვე ვთქვი, რომ მხოლოდ 20%-მა სტუდენტებისა ჩააბარა დროზე ფილოსოფიის დოქტორისათვის განკუთვნილი ნაშრომი. ძალიან მტკიცე მექანიზმი იყო ამჯერად გამოყენებული, რომ გაეკონტროლებინათ ეს პროცენტი. უნივერსიტეტებს დაუსახეს მიზანი და ეს მიზანი ყოველ წელს იზრდებოდა. კიდევ ერთი ცდა იმისა, რომ აემაღლებინათ აკადემიური პერსონალის დონე, იყო შეფასების კრიტერიუმის მიღება. ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა და არ სარგებლობდა პოპულარობით. და მაინც, მთავრობამ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა, რომ უნივერსიტეტებს შემოეღოთ შეფასების კრიტერიუმი და დაემუქრა მათ იმით, რომ თუ უნივერსიტეტები ამას არ გააკეთებდნენ, მაშინ ხელფასების ამაღლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამას მოჰყვა არა მარტო ხარისხის მიღების შემოწმება, არამედ შეფასება თავად ხარისხისა. შეფასების კრიტერიუმში ის იგულისხმება, რომ უნივერსიტეტში იქმნება მექანიზმები სწავლების საკმაოდ მაღალი დონის მისაღწევად. ხარისხის შეფასება პრაქტიკაზე არის ძირითადად კონცენტრირებული. შემმოწმებელნი მოდიან და ატარებენ ერთ კვირას უნივერსიტეტში. ისინი ესწრებიან ლექციებს, რომ ნახონ, თუ რანაირად მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა. აკადემიური პერსონალის მიმართ კრიტიკის შედეგად მისი თანამდებობაზე ყოფნის შესახებ ძველი კანონი გაუქმდა 1987 წელს. თუ მაშინ მხოლოდ ცუდი ქცევისათვის შეიძლებოდა აკადემიური პერსონალის გათავისუფლება, ახლა ეს შესაძლებელია არაკომპეტენტურობის და აგრეთვე იმის გამოც, რომ საგანზე, რომელსაც ესა თუ ის ლექტორი ასწავლის, დიდი მოთხოვნა აღარ არის. აკადემიური პერსონალის ხელფასები უფრო მოქნილი გახდა. განსაკუთრებით ეს ზედა ზღვარს შეეხო. პროფესორთა ხელფასზე ზედა ზღვარი მოიშალა. აი, მოკლედ ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც უნივერსიტეტებისადმი იყო გამოთქმული და ის ზომები, რაც მთავრობამ მიიღო ამ პრობლემის გადასაჭრელად.

დიდი ბრიტანეთის 1979 წლის საუნივერსიტეტო სისტემის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

1. 47 უნივერსიტეტი (35 პოლიტექნიკური სასწავლებელი).

2. მცირე-საშუალო სიდიდე 6 000 სტუდენტი.

3. უნივერსიტეტში მიდის საუნივერსიტეტო ასაკის ჯგუფის 7%.

4. სკოლის დამამთავრებელ ძლიერ სპეციალიზებულ გიმოცდებს მოჰყვება ხანმოკლე სპეციალიზებული კურსები (3 წელი).

5. დანაკარგის — სტუდენტები, რომელნიც სწავლას იწყებენ, მაგრამ ვერ ასრულებენ — კოეფიციენტი ძალიან დაბალია (11%).

6. სტუდენტები იღებენ სტიპენდიას მათი მშობლების ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად.

7. სარეზიდენციო საშუალებებით მნიშვნელოვანი უსრუნველყოფა.

8. აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება კვლევის ჩატარება (მათი დროის 30-40% უნდა დაიხარჯოს ამ კვლევაზე) და ამის შესაბამისად მათ ეძლევათ ანაზღაურება.

9. აკადემიური „პერსონალის თანამდებობაზე ყოფნა (გათავისუფლება მხოლოდ მათი მხრივ შეურაცხმყოფელი ქმედების შემთხვევაში).

10. პასუხისმგებლობა ერის ძირითად კვლევით სამუშაოებზე.

11. მთავრობა ახდენს დაფინანსებას უნივერსიტეტის სუბსიდიის კომიტეტის საშუალებით — ეს არის დამოუკიდებელი შუამდგომი რგოლი უნივერსიტეტსა და მთავრობას შორის, რომლის მიზანია არ დაუშვას მთავრობის კონტროლი უნივერსიტეტებზე. სახსრები მთლიანად სახელმწიფოსია.

1980-იან წლებში უნივერსიტეტებისადმი მთავრობის დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები

1. ფულის ეკონომიისა და საზოგადოებრივი სექტორის სესხის მოთხოვნის შემცირების სურვილი.

2. თვალსაზრისი, რომ უნივერსიტეტებს ჯეროვანი წვლილი არ შეაქვთ ერის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში.

3. თვალსაზრისი, რომ კონკრეტული უნივერსიტეტები და მთლიანად მათი სისტემა არ იმართებოდა კომპეტენტურად.

4. თვალსაზრისი, რომ აკადემიური პერსონალის დანიშვნის, დახელოვნების, დაწინაურებისა და ანაზღაურების პირობები იყო მოუქნელი და არადამაკმაყოფილებელი.

მთავრობის ქმედება

1. ეკონომია

საუნივერსიტეტო სტიპენდიების შემცირება დაახლოებით 17%-ით 1981-93 წლებში.

უცხოელ სტუდენტთა გადასახადების გასამმაგება.

ზედა ზღვარის დადება სტუდენტთა სტიპენდიაზე და სესხის შემოღება.

დაფინანსების დოქტრინის შემოღება საუნივერსიტეტო ხარჯების შესამცირებლად.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის ყოველწლიური შემცირება 1,5 %-ით

ახალი შენობებისათვის თანხების გამოყოფის შეწყვეტა.

2. არ შეესიტყვება ეროვნულ საჭიროებებს

ფულადი სახსრების გადართვა საუნივერსიტეტო სუბსიდიიდან სტუდენტთა გადასახადებზე.

სპეციალური ინიციატივები უნივერსიტეტისა და მრეწველობის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობისათვის.

ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობის კოეფიციენტის გაზრდა 35%-მდე 2000 წლისათვის.

პოლიტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგიერთი კოლეჯისათვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭება.

3. არაეფექტური მენეჯმენტი

უნივერსიტეტის სუბსიდიების კომიტეტის შეცვლა უნივერსიტეტის დაფინანსების საბჭოთი, 1993 წელს კი — უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოთი, რომელიც ეხმარება მთავრობას უნივერსიტეტებზე კონტროლის დამყარებაში.

დაფინანსება არჩევითია და ეფუძნება უნივერსიტეტის ხარისხსა და ღირებულებას.

უფრო მეტი ანგარიშგება მთავრობის წინაშე, თუ რაში იხარჯება ფული.

მოხსენება უნივერსიტეტის ეფექტური მენეჯმენტის შესახებ.

4. აკადემიური დონე

კვლევის შეფასება და არჩევითი დაფინანსება.

ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის ნაშრომის ჩაბარების ვადა.

პერსონალის შეფასება.

ხარისხის შეფასება (აკადემიური სტანდარტების შენარჩუნება)

5. აკადემიური პერსონალი

თანამდებობის დაკავების კანონის გაუქმება (შეიძლება გათავისუფლება არაკომპეტენტურობის საფუძველზე).

პროფესორთა (უმაღლესი წოდება) ხელფასზე ზედა ზღვარის გაუქმება.

„წახალისების" ელემენტი ხელფასის განსაზღვრაში.

თარგმანი რუსულიდან იმნაიშვილისა

ჯეიმს ჰაჩისონი *(აშშ საელჩო საქართველოში)*

საუნივერსიტეტო განათლების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში

დიდი მადლობა წარდგენისათვის. დასაწყისში მინდა მაგალითისათვის გაგაცნოთ ჩემი ავტობიოგრაფიის პატარა ნაწილი და შემდეგ ამ კონტექსტში გავაგრძელო საუბარი აშშ-ში განათლების სისტემის შესახებ.

მე მუდამ ბიუროკრატი არ ვყოფილვარ ჩემს საქმიანობლობაში. ჩემი პროფესიული კარიერა დავიწყე როგორც უნივერსიტეტის ლექტორმა და ვმუშაობდი უნივერსიტეტში 17 წლის მანძილზე. მე ჩემს თავზე გამოვცადე ის სასწავლო სისტემა, რომელ'ზეც ღღეს გვექნება საუბარი, თავდაპირველად როგორც სტუდენტმა, შემდეგ კი როგორც მასწავლებელმა და მკვლევარმა.

აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემაზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ იგი მრავალი კუთხით პროტოტიპულია მთლიანად ამერიკული საზოგადოებისა. ეს არის ძალზედ დამოუკიდებელი სისტემა და შესაძლოა ბევრმა ,,ქვენ-განმა იფიქროს, რომ ,'ზედმეტად დამოუკიდებელიც კი. ჩვენ არ გვაქვს განათლების სამინისტრო, არც რაიმე ცენტრალური აუტორიტეტული დაწესებულება, რომელიც განაგებს უმაღლეს დაწესებულებებში განათლების სისტემის ნებისმიერ ასპექტს, არც ცალკეული შტატებისათვის და არც მთელი ამერიკისათვის. თუმცა არსებობს სპეციალური განათლების დეპარტამენტი, მაგრამ ეს არ არის მართვის ორგანო და ძირითადად იგი ყურადღებას აქცევს დაწყებით, საშუალო და არა უმაღლეს განათლებას.

ერთ-ერთი მაჩვენებელი განათლების სისტემის დამოუკიდებლობისა არის ის, რომ არ არსებობს რაიმე ცენტრალური აუტორიტეტი, რომელიც სთავაზობს ხალხს ბაკალავრის, მაგის-

ტრისა თუ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხებს. ამ ხარისხებს ანიჭებს არა სახელმწიფო, არამედ თვით საგანმანათლებლო დაწესებულებები და ხშირად ეს არის ბევრი პრობლემის წყარო.

მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო უმაღლესი განათლების ძირითად სტრუქტურას. იგი იწყება 4 წლიანი პერიოდით, რომლის ბოლოსაც ხდება ბაკალავრის ხარისხის მინიჭება. აგრეთვე არსებობს ორწლიანი კურსი, რომელიც ანიჭებს ასისტენტის ხარისხს სელოვნების ან მეცნიერების დარგში, მაგრამ ამ კურსს ყველა დაწესებულება ვერ გვთავაზობს.

რამდენიმე სიტყვა ბაკალავრიატის პროგრამის შესახებ. ტერმინი უნივერსიტეტი გამოიყენება იმ სასწავლო დაწესებულებების მიმართ, რომელნიც ანიჭებენ ბაკალავრის და უფრო მაღალ ხარისხებს, ხოლო იმ ოთხწლიან დაწესებულებებს, რომლებიც ბაკალავრის ხარისხზე მაღალ წოდებებს არ ანიჭებენ, ეწოდებათ კოლეჯები. ოთხწლიანი პროგრამა დაახლოებით ერთნაირია ყველა დაწესებულება'ში, მიუხედავად იმისა, ჩვენ ელაპარაკობთ ოჰაიოს უნიყერსიტეტზე, სადაც 75 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, თუ პატარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კოლეჯზე ახლო დასავლეთში, სადაც 6 000-მდე სტუდენტია.

ამ ოთხწლიანი სწავლების დაწყებისას სტუდენტებმა იციან, თუ რა პროგრამას გადიან, მაგრამ ყველას არა აქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი, რა პროფილით გააგრძელებს სწავლას. ეს ვრცელდება ისეთ ტექნიკურ სპეციალიზებულ დაწესებულებებზეც, როგორიცაა საინჟინრო უნივერსიტეტები.

პირველ ორ წელს ამ ოთხი წლიდან შეიძლება ეუწოდოთ ზოგადი განათლების კურსი. სტუდენტებს მოეთხოვებათ საკმაოდ ფართო სპექტრის საგნების გავლა. მაგალითად, თუ ჩემს ბიოგრაფიას მოვიყვან, მე უმაღლესი განათლება დავიწყე ოთხწლიან ჰუმანიტარულ კოლეჯში. სწავლა დაყოფილი იყო შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებად, სადაც თითოეული გრძელდებოდა დაახლოებით ოთხნახევარი თვე. კოლეჯის დასამთავრებლად აუცილებელი იყო 120 სემესტრული ჩათვლის

საათი. ეს იყო მინიმუმი. ჩვეულებრივ კი უნივერსიტეტდამთავრებულს ჰქონდა დაახლოებით 150 ჩათვლის საათი. ერთი ჩათვლა ჩემს კოლეჯში წარმოადგენდა კვირაში სამ საათს კლასში, მთელი სემესტრის განმავლობაში. პირველი ორი წელი თითქმის მთლიანად ნაკარნახევი იყო კოლეჯის სასწავლო პროგრამით — მე აუცილებლად უნდა მომესმინა კურსები ჰუმანიტარულ საგნებში, სოციოლოგიასა და ფუნდამენტურ მეცნიერებებში. შემდეგი ორი წელი კი ეთმობოდა ე. წ. მაპროფილებელ და არამაპროფილებელ საგნებს. მე არატიპიური კურსდამთავრებული ვარ, რადგან გავიარე 2 მაპროფილებელი და 7 არამაპროფილებელი საგანი. მაპროფილებელი იყო ფილოსოფია და გერმანიკული ენები და ლიტერატურა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ არჩეული სფერო ჰუმანიტარული იყო, მე მომეთხოვებოდა დამატებითი კურსების გაელა ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა და ზოოლოგიაში, რაც ჩემთვის ყველაზე ძნელი იყო. მხოლოდ ამ საგნების შესწავლის შემდეგ შემეძლო მე დამეთმო ყურადღება ჩემს მიერ არჩეული საგნებისათვის.

ჩემს კოლეჯს ჰქონდა ერთი თვისება, რაც მას სხვა კოლეჯებისაგან განასხვავებდა. ეს იყო ბოლო წელს სამკვირიანი წერილობითი და ზეპირი გამოცდები მაპროფილებელ და არამაპროფილებელ საგნებში. ამერიკაში ჩვეულებრივ ეს არის ერთადერთი გამოცდები 4 წლის მანძილზე. გარდა ამისა არ არის სხვა რაიმე გამოცდა, რომელიც მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ რამდენად დაეუფლა სტუდენტი ყველა ამ სფეროებს. ასეთი სახის გამოცდა ტიპიურია იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ანიჭებენ მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის წოდებას. ასე რომ, ჩვენ პირველი ორი წლის განმავლობაში ვიღებდით ზოგად განათლებას საკმაოდ ბევრ საგანში. ვინ შეადგინა ეს სასწავლო პროგრამა და ვინ არის მასზე პასუხისმგებელი? უმეტესწილად ეს აშშ-ში პატარა კოლეჯების ისტორიული განვითარების პროდუქტია. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი

დღეანდელი სხდომისათვის, ამ სასწავლო პროგრამას ადგენდნენ ჩვენი კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები და მისი შეცვლა მხოლოდ მათ შეეძლოთ. კოლეჯში მუშაობისას მე მახსოვს ხანგრძლივი შეკრებები, როდესაც ჩვენ ეცდილობდით შეგვეცვალა ეს პროგრამა.

ეს მიდგომა ერცელდება დიდ უნივერსიტეტებსეც, მიუხედავად იმისა, არიან ისინი კერძო თუ სახელმწიფო და კრიტერიუმების დადგენა ბაკალავრის ხარისხის მინიჭებისათვის სწორედ მასწავლებელთა საერთო გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სფეროს წარმომადგენლები ბევრს აკეთებენ იმისათვის, რათა განაგონ სტუდენტებისა და მასწავლებლების ცხოვრება, რაც შეეხება სწავლის პროგრამას, აქ გადამწყვეტი ხმა მასწავლებლებისაა და სხვას არავის აქვს ჩარევის უფლება.

60-იანი წლების დეკადაში მე ვიყავი სტუდენტიც და ლექტორიც და ეს ხშირად დაკავშირებული იყო დიდ ტკივილთან, როდესაც ამ სისტემის ძირეული ცვლილებები ხდებოდა. 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების შუა პერიოდში სტუდენტებს ჰქონდათ სასწავლო პროგრამის შეცვლის უფლება, მაგრამ უმეტესწილად სტუდენტების ხმა იყო ყურადსაღები და არა გადამწყვეტი. და ეს დღესდღეობითაც მზარდი ტენდენციაა. მაპროფილებელი და არამაპროფილებელი საგნების შინაარსს ადგენს კათედრა, რომელიც ამა თუ იმ საგანს ხელმძღვანელობს, თუ რა მაპროფილებელი და არამაპროფილებელი საგნები უნდა გაიროს გერმანიკული ენების და ლიტერატურის საგანში პროფილირებულმა სტუდენტმა, ამას ადგენს გერმანიკული ენების განყოფილება და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგად პროგრამას, მაგალითად კოლეჯის დამთავრებისათვის, ზოგადი განათლების მიღებისათვის, მაპროფილებელ და არამაპროფილებელ საგნებში საჭირო საათების რაოდენობას აწესებს მთლიანი აკადემიური პერსონალი, მაგრამ მაპროფილებელი და

არამაპროფილებელი საგნების შინაარსს წყვეტს მოცემული კათედრის პერსონალი.

ეს არის აშშ-ში ოთხწლიანი ბაკალავრიატის ზოგადი მოდელი. გარდა ამისა არსებობს დაწესებულებები, სადაც შეიძლება სწავლის შემდგომი გაგრძელება და უფრო მაღალი ხარისხების მიღება. ყველაზე ცნობილია მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხები, მაგრამ არსებობს უფრო სპეციალიზებული ხარისხები, მაგ. დოქტორი იურიდიულ დარგში, ეკონომიკის დარგში, მედიცინის დოქტორი და ა. შ.

არის ერთი სფერო, რაშიც აშშ-ს უმაღლესი განათლება ძირეულად განსხვავდება უმეტესი ევროპული სისტემებისაგან. ახალგაზრდა, რომელსაც სურს გახდეს ექიმი ან იურისტი, ბაკალავრიატში არ შეისწავლის მედიცინასთან ან იურისპოდენციასთან უშუალოდ დაკავშირებულ საგნებს. მაგ. მომავალი ექიმი გაივლის კურსს ზოოლოგიაში, ორგანულ ქიმიაში და მისი ბაკალავრის ხარისხიც ერთ-ერთ ამ საგანში იქნება, მაგრამ არ არის აუცილებელი ეს ხარისხი ფუნდამენტურ მეცნიერებაში იყოს. იგი შეიძლება იყოს, ვთქვათ ინგლისურ ენაშიც.

სტუდენტის სამედიცინო განათლება იწყება უკვე ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ სპეციალურ სკოლაში და ის, თუ რანაირად ჩაირიცხება იგი ამ სკოლაში, განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: მისი აკადემიური წარსულით, რეკომენდაციებითა და გამოცდებით. ამერიკაში შეუძლებელია 18 წლის ახალგაზრდამ პირდაპირ დაიწყოს სამედიცინო განათლება. ჩვეულებრივ ასეთ განათლებას იწყებენ 21-22 წლის ახალგაზრდები. სწავლა გრძელდება სამწლიან სამედიცინო სკოლაში ლექციებით, სემინარებითა და ლაბორატორიული სამუშაოებით. შემდეგ ისინი ერთწლიან ინტერნატურას გადიან საავადმყოფოში და კიდევ ერთი წელი ცხოვრობენ და მუშაობენ საავადმყოფოში. მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ ეძლევათ მათ ექიმის წოდება და უფლება ოფიციალურად დაიწყონ ექიმად მუშაობა. ამ შემთხვევაში მათ ეწოდებათ ოჯახის ექიმები ან თერაპევტები,

ხოლო თუ მათ სურთ რაიმე დარგში სპეციალიზაცია, როგორიცაა ქირურგია, ფსიქიატრია და ა. შ. მათ სჭირდებათ კიდევ დამატებითი სწავლება და გამოცდები.

ახლა კი დაეუბრუნდები უკვე ნახსენებ საკითხს – აკრედიტაციას და თუ ვინ წყვეტს, სცნოს თუ არა გარკვეული ხარისხი. როგორც უკვე აღვნიშნე, არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ხარისხის მინიჭების საკითხს. ამას განსაზღვრავს აკრედიტაციის მიმნიჭებელი ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ერთიან კომისიას. მაგრამ არსებობენ უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც აკრედიტაცია არ აქვთ მიღებული.

ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია წაიიდეს ამერიკაში, გახსნას კოლეჯი და ბაკალავრის ხარისხი მიანიჭოს თავის სტუდენტებს. მას შეუძლია შეადგინოს პროგრამა, რომელიც ორჯერ უფრო მეაცრი იქნება, ვიდრე საერთოდ აშშ-ში მიღებული პროგრამები ან მოკლებული იქნება ყოველგვარ შინაარსს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ თქვენს მიერ მინიჭებულ ბაკალავრის ხარისხს არსად არ სცნობენ, რადგან თქვენი დაწესებულება აკრედიტირებული არ იქნება.

დაეუშვათ, რომ დაარსდა ახალი უმაღლესი სასწავლებელი. სანამ მისი აკრედიტაცია მოხდება, ამ დაწესებულებამ უნდა ჩააბაროს გამოცდები, რომელიც დააწესა აკრედიტაციის მიმნიჭებელმა ასოციაციამ. შემფასებელი კომისია ყურადღებას აქცევს ისეთ დეტალებს, როგორიცაა ბიბლიოთეკის ზომა, ლექტორთა და სტუდენტთა რაოდენობრივი თანაფარდობა, სწავლის პროგრამა და ლექტორთა განათლების დონე. თუ დაწესებულება მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, მას ეძლევა აკრედიტაცია.

რა უპირატესობა აქვთ აკრედიტირებულ კოლეგებს აკრედიტაციის გარეშე დარჩენილი კოლეგების წინაშე?

ჩვენ ამერიკელები ძალიან მოძრაები ერი ვართ და გვიყვარს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. რაც შეეხება სტუდენ-

ტებს, ბევრი იწყებს ბაკალავრიატს ერთ სასწავლებელში; ხოლო ორი წლის შემდეგ სხვა სასწავლებელში გადადის. თქვენ შეგიძლიათ გადასვლა აკრედიტირებულ უნივერსიტეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი ორი წელი ასეთსავე სასწავლებელში გაქვთ გავლილი და ჩათვლილი. ხოლო თუ პირველი ორი წელი გავლილი გაქვთ არააკრედიტირებულ უნივერსიტეტში, მაშინ ახალ სასწავლებელში გადასვლის შემთხვევაში მოგიწევთ სწავლის თავიდან დაწება და შესაძლოა სპეციალური გამოცდების ჩაბარებაც კი, რათა შეამოწმონ თქვენი აკადემიური დონე. თუ ბაკალავრის ხარისხი მიღებული გაქვთ არააკრედიტირებულ დაწესებულებაში, სწავლის გაგრძელება მაგისტრის ან დოქტორის ხარისხისათვის არ შეგიძლიათ აკრედიტირებულ დაწესებულებაში.

ასე რომ, აკადემიური ხარისხების მინიჭების გარანტიას იძლევა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ასოციაცია, პროფესიული ხარისხების მინიჭებას კი, როგორიცაა მედიცინის დოქტორი და ა. შ., განსაზღვრავს უმაღლესი ავტორიტეტი იმ დარგისა, რომელშიც ხდება ხარისხის მინიჭება.

იურისტებს კი პრაქტიკის დაწყებამდე სთავაზობენ კიდევ ერთი ბარიერის გადალახვას. ჩვეულებრივ იურისტმა უნდა დაამთავროს სამწლიანი იურიდიული სკოლა და მიიღოს ლეგალური ხარისხი. ამას თუ მივუმატებთ ოთხწლიან ბაკალავრიატს, ჯამში მივიღებთ შვიდწლიან სწავლებას. ამის შემდეგ თქვენ გეძლევათ იურისტის სტატუსი და ეწევით რაიმე სახის ლეგალურ საქმიანობას, უმეტესწილად კელეეის დარგში. მაგრამ იმისათვის, რომ გახდეთ პრაქტიკოსი იურისტი, აწარმოოთ საქმეები სასამართლოში ან დაინიშნოთ ადვოკატად, უნდა ჩააბაროთ ადვოკატურის გამოცდა. არსებობს ასეთი ორგანიზაცია „ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია“ — ეს არის პროფესიული ასოციაცია და იგი ყოველ შტატში არსებობს. სწორედ ეს შტატის ადვოკატთა ასოციაცია ადგენს და ატარებს ადვოკატურის გამოცდას. იურიდიული სკოლის ახალგაზრდა კურს-

დამთავრებულთათვის უსეუულო არ არის ამ გამოცდასე 2-3 ჯერ გასეცლა, სანამ ისინი ბოლოს და ბოლოს მიიღებენ იურიდული პრაქტიკის უფლებას.

და ბოლოს, უმაღლესი განათლების დაწესებულებების ფინანსირების შესახებ. ჩვენ აშშ-ში სკოლებს ვყოფთ ორ ძირითად ნაწილად: ე. წ. კერძო და სახელმწიფო სკოლებად. ეს ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ აფინანსებს სასწავლებელს. კერძო სკოლები ფინანსირდება სტუდენტების გადასახადისა და ინდივიდუალურ პირთა ან ფირმების შემოწირულობებისაგან.

ისტორიულად კერძო სკოლები უკავშირდებოდა რომელიმე რელიგიას და თანხის უმეტესი ნაწილი მოდიოდა ეკლესიიდან. მაგრამ ამ სკოლების უმრავლესობამ შემდეგ გაწყვიტა კავშირი რელიგიასთან. თუ კვლავ დავუბრუნდებით ჩემი კოლეჯის მაგალითს, მისი ფინანსური არსებობა ეყრდნობა სტუდენტების სწავლის ქირას, კოლეჯის კურსდამთავრებულთა მიერ საჩუქრად გადმოცემულ თანხებს და კერძო ფირმების მიერ გადარიცხულ თანხებს. მაგრამ სკოლის არსებობისათვის აუცილებელი არ არის ამ თანხების ყოველწლიურად მიღება.

ჩემმა კოლეჯმა წლების მანძილზე დიდი რაოდენობით დააგროვა ამგვარი შემოსავალი. ეს ფული ინვესტირებულია და მას მოაქვს რეგულარული შემოსავალი კოლეჯის ყოველდღიური ცხოვრების ასანაზღაურებლად. მიუხედავად ამისა წელიწადში ოთხჯერ ვიღებ წერილს, სადაც მომიწოდებენ პირადი საჩუქარი გავუკეთო მშობლიურ კოლეჯს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემმა კლასმა, რომელმაც კოლეჯი 1961 წელს დაამთავრა, ძალიან დიდი თანხა გადაურიცხა მას. გასულ წელს 1961 წლის გამოშვების 87%-მა დიდი თანხა შესწირა კოლეჯს. ინდივიდუალური შეწირულობა მერყეობდა 25-დან 250 000 დოლარამდე. კერძო სკოლების უმეტესობის საარსებო წყარო სწორედ ასეთი სახის დაფინანსებაა.

სახელმწიფო სკოლები საჯირო თანხის უმეტეს ნაწილს იღებენ შტატის ბიუჯეტიდან, მაგრამ ისინი აგრეთვე იღებენ კერძო შემოწირულობებსაც. მე მაქვს ბაკალავრის ხარისხის შემდეგ მიღებულ 3 უფრო მაღალი ხარისხი. მათგან ორი სახელმწიფო სასწავლებელშია მიღებული და ისინი დღემდე მთხოვენ კერძო საჩუქრის გაკეთებას. რაც შეეხება დაწესებულებებს, სადაც კვლევითი სამუშაოები ტარდება, აშშ-ში ხელოვნების ან მეცნიერებათა აკადემია განსხვავდება აკადემიის თქვენებური გაგებისაგან. ჩვენი აკადემია არ არის კვლევითი ინსტიტუტების ჯგუფი, რომლებიც აქტიურ კვლევით სამუშაოებს აწარმოებენ. კვლევა ძირითადად დიდ უნივერსიტეტებში წარმოებს.

დიდი კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება, მიუხედავად იმისა, კერძოა ისინი თუ სახელმწიფო, უმეტესწილად ხდება ცენტრალური მთავრობის მიერ და ეს თანხა, როგორც წესი, განკუთვნილია რაიმე გარკვეული კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად.

ამით დავასრულებ ჩემს გამოსვლას და მაო, ვინც კარგადაა გარკვეული აშშ-ის განათლების სისტემაში შეუძლიათ საკუთარი აზრი გამოთქვან და მოიყვანონ ბევრი გამონაკლისი მაგალითი. ეს იმითაა გამოწვეული რომ ჩვენი სისტემა მეტად მრავალფეროვანი და დამოუკიდებელია.

დიდი მადლობა.

თარგმანი რუსულიდან იმნაიშვილისა

სერჟ ანდრიე (საფრანგეთის საელჩო საქართველოში)

უმაღლესი განათლების სისტემა საფრანგეთში 2000 წლამდე

ჩემი დღევანდელი მოხსენება ძირითადად გაიშლება 6 მთავარი საკითხის ირგვლივ. დღევანდელ საფრანგეთში არსებობს გეგმა, რომელიც ითვალიწინებს განათლების ახალ სისტემას სკოლიდან დაწყებული უნივერსიტეტის ჩათვლით 2000 წლამდე პერსპექტივით.

უპირველეს ყოვლისა, ჩემი სურვილია მოკლე ისტორიული შესავალი გავაკეთო, რაც შეგვახსენებს იმ პრინციპებს, რომლებიც მართავენ ჩვენს განათლებას. ფრანგული განათლების სისტემის ძირითადი პრინციპები, უხეშად რომ ვთქვათ, ჩამოაყალიბა საფრანგეთის რევოლუციამ და იმპერიამ. ეს პრინციპები შემდეგია: განათლება და ხალხი ე. ი. განათლება საერთოა ყველა მოქალაქისათვის; განათლება მოიცავს 3 დონეს: დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს. 1793 წლის დეკრეტის შემდეგ, ნაპოლეონის პირველი იმპერია უფრო და უფრო აძლიერებს და აღრმავებს ტრადიციულ ფრანგულ სისტემას. სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხელოვნებისა და ხელობათა ეროვნული კონსერვატორია. XIX საუკუნეში იქმნება მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, იქნება ეს პოლიტექნიკური თუ ცენტრალური სკოლა. ამ საკითხს ქვემოთ კელაე დაეუბრუნდებით. როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მოხდა საფრანგეთის რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა რესტავრაციის პერიოდი. ფრანგული განათლების სისტემა, დღევანდელ დღემდე ჩვენს შეგნებაში, აღქმაში დაყოფილია იმ სხვადასხვა კანონის შესაბამისად, რომელთაც დროთა განმავლობაში იღებდა საზოგადოება. ასე, მაგლითად, ჟულ ფერის ეპოქაში მიიღეს კანონი, რომელიც ქადაგებდა ყველასათვის საყოველთაო, საერთო განათლებას. სხვა კანონი:

1850 წ. ფალოს კანონი აცხადებდა საშუალო განათლების თავისუფლებას, მაგრამ ცდილობდა ხელი შეეწყო რელიგიური განათლებისათვის. მოკლედ, აი, ასეთი სურათი იხატება ჩვენს თვალწინ, როცა ტრადიციასე ესაუბრობთ. კვლავ შეგახსენებთ ძირითად მომენტებს: სწავლა სავალდებულოა 16 წლამდე; ეს განათლება უფასოა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განათლება არ არის სახელმწიფოს მონოპოლია, იგი განეკუთვნება სახალხო მომსახურების სფეროს და კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ მესამე რესპუბლიკის დროს ჩამოყალიბდა: განათლება უნდა იყოს საერთო და ნეიტრალური ყოველგვარ რელიგიასთან მიმართებაში. აი, რაც შეეხება წარსულს. წარსული კი ხშირად თავს იჩენს ხოლმე აწმყოში. ეს შესამჩნევია ფრანგული პრესის კითხვისას, სადაც ბევრს წერდნენ ე. წ. „ისლამური ჩადრის საქმესე". ხოლო გასულ წელს, როცა მოითხოვეს ფალოს კანონის გაუქმება, ქუჩები მოიცვა ხალხთა გამოსვლებმა, რომლებიც მიმართული იყო თავისუფალი განათლების მხარდასაჭერად.

შესავლიდან, თუკი ნებას დამრთავთ, გადავალ ჩემი მოხსენების მეორე ნაწილზე და შეეხები განათლების თანამედროვე სისტემას. მართალია, ეს სისტემა დღესდღეობით აღარ მოქმედებს. იგი მხოლოდ 1978 წლამდე იყო. 1979 წლის შემდეგ კი ეს სისტემა საკმაოდ ძირეულად შეიცვალა და განახლდა. რეფორმა არ შეხებია მხოლოდ „დიდ სკოლებს". უკვე შესუსტებული ფაკულტეტები, რომლებიც შუასაუკუნეებში არსებობდა, შეცვალა უნივერსიტეტმა. შეგახსენებთ, რომ სიტყვა უნივერსიტეტი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „უნივერსიტას", (თავისთავად არც ეს გახლავთ სიახლე.) და, რაღა თქმა უნდა, უნივერსიტეტი შემოტრიალდა განათლებისა და კვლევისაკენ. სხვათაშორის ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რომელიც დადგა 1938 წლის შემდეგ მოღვაწე კანონმდებლებისა და მინისტრების წინაშე, იყო გაიგივება უნივერსიტეტსა და შრომის სამყაროს შორის. ასე რომ, პრობლემა, რომელიც იდგა 1978 წლიდან 1981

წლის ჩათვლითა და 1991 წლამდე ფრანგული უნივერსიტეტის წინაშე (და ეფიქრობ რომ ეს მხოლოდ ფრანგული უნივერსიტეტის პრობლემა არ არის) მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო მრავალსაგნობრივი სისტემის უსრულველყოფა, ასევე სხვადასხვა სპეციალობებზე გადასასვლელი „ხიდების" უსრულველყოფა. ბოლო წლების კიდევ ერთი სიახლე ის იყო, რომ შექმნილიყო ისეთი სპეციალობები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ოპერატიულობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს სწავლის დამთავრებისთანავე ჰქონდათ საშუალება გამოეყენებინათ თავიანთი ნიჭი და უნარი ე. ი. დაეწყოთ მაშინვე მუშაობა. ასე რომ, დიდი ძალისხმევის შედეგად მრავალი რეფორმა გატარდა. ფრანგული უმაღლესი განათლების სისტემა მონოლითი არ არის. დღევანდელი უმაღლესი განათლება საშუალებას აძლევს სტუდენტს გადავიდეს ერთი ფილიალიდან მეორეში (სპეციალობიდან სპეციალობაზე). ორი წლის, ე. წ. პირველი ციკლის, განმავლობაში მას შეუძლია მიიღოს საკმარისი განათლება იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე ოპერატიულად გამოიყენოს თავისი თეორიული მომზადება.

ამ საკითხს უფრო დეტალურად კვლავ დავუბრუნდები, როცა ვილაპარაკებ არსებულ მოკლევადიან, გრძელვადიან სპეციალობებზე და დღეს კიდევ არსებულ „დიდ სკოლებზე".

1991 წ. მიღებული „2000 წლის უნივერსიტეტის" მოწყობისა და განვითარების გეგმა გულისხმობს ბიუჯეტის არგუმენტაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გამომდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნილებიდან.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლება უნდა შეეუსაბამოთ ეკონომიკის აუცილებლობას. ყველა საფეხურზე ისე უნდა განვითარდეს განათლება, მოხდეს სპეციალისტის ფორმირება, რომ საბოლოოდ მივაღწიოთ პროფესიულ სრულყოფას.

სწორედ რომ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს გაერთიანებულ ევროპაში შესვლა, ნამოაყალიბოს სტუდენტები, უმაღლესი კადრები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპაში

და სხვა კონტინენტების'ს გამართულ მშვიდობიან ეკონომიკურსა და კულტურულ შეჯიბრებაში 2000 წლის მიჯნასე.

ეს პოლიტიკა ემყარება ქვეყნებს შორის ურთიერთობას, მაგრამ ამავე დროს გულისხმოს საფრანგეთის სხვადასხვა რაიონების, დეპარტამენტების, კომუნებისა და 'ლეის მიღმა ტერიტორიების ურთიერთპარტნიორობას.

ახლა კი გადავალ ჩემი მოხსენების მესამე ნაწილ'ზე და მოგახსენებთ, თუ რას ნიშნავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სპეციალობები. მოკლევადიან სპეციალობებ'ზე სწავლა მიმდინარეობს ორი წლის განმავლობა'ში. ეს გახლავთ პირველი ციკლის ექვივალენტი, რომლის ერთ-ერთი მი'სანი არის ადექვატურობა სწავლულ, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სამყაროსა და შრომის სამყაროს 'შორის.

უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკებ უმაღლესი ტექნიკური განათლების სექციებ'ზე, რომლებიც გასცემენ შესაბამის ატესტატებს – უტა. ეს გახლავთ 'ლეარი, ლიცეუმსა და უმაღლეს განათლებას შორის. ამ სექციებისათვის მ'სადება საკმაოდ ადრე იწყება ლიცეუმ'ში და ისინი უშვებენ ეკონომიკის დარგ'ში 80 სპეციალობის სტუდენტს. მრავალდარგობრივი ლიცეუმების შესახებ, იქნება ეს ტექნიკური თუ ტექნოლოგიური, უფრო ღრმა ინფორმაციისა და საფრანგეთ'ში უტა-ს დაწესებულებების სრული სიის მოსაპოვებლად, გირჩევთ მიმართოთ საფრანგეთის კომპეტენტურ აკადემიურ სამსახურებს.

შემდეგი გახლავთ უნივერსიტეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტები (უტი). ეს ინსტიტუტი 2 წლის განმავლობაში ამ'სადებს სტუდენტებს, რომლებიც სწავლის 'ბოლოს ღებულობენ ტექნოლოგის საუნივერსიტეტო დიპლომს. მე არ ჩამოვთვალე ყველა მოკლევადიანი დაწესებულება, არამედ მოვიხსენიე ყველა'ზე მთავარი. რა თქმა უნდა სხვებიც არსებობს. თუკი დრო დაგვრჩა, სულ ახლახან გამოქვეყნებული სტატიიდან მოგაწვდით რამდენიმე ციფრს, რომელიც მიუთითებს ამ მოკლევადიანი დაწესე-

ბულებების დიდ წარმატებაზე, ვინაიდან ისინი კარგად ახერხებენ ერთმანეთს დაუახლოვონ სწავლისა და შრომის საქმეები.

ახლა კი ვილაპარაკებ უნივერსიტეტებზე საუკეთესო და ამაღლებული გაგებით ანუ გრძელვადიან დაწესებულებებზე. დღესდღეობით აქ ირიცხება ერთ მილიონ სტუდენტზე მეტი და ისინი გვთავაზობენ სწავლების 3 ციკლს. I ციკლში სწავლის დაწყების აუცილებელი პირობა არის ის, რომ შემსვლელი უნდა იყოს ბაკალავრი.* მაგრამ მაინც, მათთვის, ვისაც არა აქვს ბაკალავრის წოდება, არსებობს ახლა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებელი პერიოდი. მომზადება 2 წლის განმავლობაში ხდება. ამ გზით უნივერსიტეტში მოხვდებიან ის პირები, რომელთაც ბაკალავრის ხარისხი არ გააჩნიათ.

ხოლო მათ, რომელთაც ბაკალავრის წოდება აქვთ, სხვა ტიპის პრობლემები ხვდებათ გადასაჭრელი. უნივერსიტეტები უფრო და უფრო მეტად ითხოვენ კანდიდატებისაგან დოსიეებს სხვადასხვა საბუთებთან ერთად, და ზოგჯერ კომუნა, მუნიციპალიტეტი სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერთად შეისწავლის ამ დოსიეებს.

პირველი ციკლი უნივერსიტეტში გრძელდება ორი წელი. ყველა სპეციალობაზე ჩასაბარებლად აუცილებელია კანდიდატს ჰქონდეს ბაკალავრის წოდება. ე. ი. I ციკლი = ბაკალავრიატს + 2 წელი. I ციკლის ბოლოს გაიცემა ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი (ზსბდ). დღევანდელი ტენდენცია მიმართულია იქითკენ, რომ მრავალფეროვანი გახდეს ზსბდ-ის მოპოვებამდე სწავლის შინაარსი. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი საქართველოშიც დაისმება: სწავლების შინაარსის გადახედვა, გამრავალფეროვნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღეს ცდილობენ თავიდან აიცილონ ის, რომ სტუდენტი მხოლოდ ერთი სპეცია-

---

* საფრანგეთში ბაკალავრის ხარისხი შეუძლია ახალგაზრდამ მიიღოს სრული სასკოლო ციკლის გავლის შემდგომ.

ლობით შემოიფარგლოს, რაც ამ უკანასკნელისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. მაგ: თავს არიდებენ წმინდა ლიტერატორის ან წმინდა ენათმეცნიერის ჩამოყალიბებას. რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობენ ყოველ დონეზე სტუდენტმა მიიღოს მრავალფეროვანი, მრავალსაგნობრივი განათლება, რათა ორი წლის შემდეგ, როდესაც ზსბდ-ის მიღება მოხდება და ჭეშმარიტად დიფერენცირებული სწავლება დაიწყება, სტუდენტს შეეძლოს თავისუფალი „ხიდებით" დაუკავშიროს თავისი მომავალი ამა თუ იმ სპეციალობას.

იმ მიზნით, რომ მოხდეს სტუდენტის უშუალო მომზადება პროფესიული ცხოვრებისათვის, სტუდენტს პირველი ციკლის მომზადება შეუძლია მიიღოს სამეცნიერო-ტექნიკური, საუნივერსიტეტო განათლების პროგრამითაც.

სწავლების პირველ ციკლზე სტუდენტს შეუძლია ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდეს პროფესიონალად და მოიპოვოს დიპლომი, რომელსაც ეწოდება საუნივერსიტეტო სამეცნიერო და ტექნიკური განათლების დიპლომი (ზსტბდ).

დღეს არსებობს ზსსტდ-ის 17 განყოფილება, რომლებიც გვთავაზობენ 120-ზე მეტ სპეციალობას. აქ ნათლად ჩანს ზრუნვა განათლების გამრავალფეროვნებაზე.

ახლა კი გადავიდეთ სწავლების მეორე ციკლზე. სწავლება მეორე ციკლზე შეუძლიათ გააგრძელონ მხოლოდ იმ სტუდენტებმა, რომელთაც აქვთ ზსბდ ან ზსტბდ დიპლომები და, რა თქმა უნდა, სწავლების პირველი წლის ბოლოს გაიცემა ლიცენზიატის წოდება, ე. ი. ბაკალავრიატი + 3 წ, ხოლო მეორე ციკლის მეორე წლის ბოლოს სტუდენტი იღებს მაგისტრის ხარისხს ე. ი. ბაკალავრიატი + 4 წ. ანუ მეტრიზას.

არსებობს 20 სახის ლიცენზია და მეტრიზა ენების, ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერების განხრით, 17 სახისა – იურიდიულ, ეკონომიკურ მეცნიერებებსა და მართვაში, 20 სახის ტექნიკურ მეცნიერებებში და 1 სახის – სპორტში. ისევე როგორც ზსბდ-ის შემთხვევაში, აქაც ცდილობენ მოხდეს სწავლის

გამრავალფეროვნება და არსებობს კიდეეაც სპეციალური ლიცენსიები და მეტრიზები გამომდინარე უნივერსიტეტის ტიპიდან.

გადავდივარ მესამე ციკლზე: მესამე ციკლში მიღების პირობები: ჩარიცხვის კრიტერიუმები იცვლება უნივერსიტეტის განყოფილებების მიხედვით. ერთადერთი საყოველთაო და საეალდებულო კრიტერიუმი კი ის გახლავთ, რომ სტუდენტი უნდა ფლობდეს მეტრიზას სასურველი ნიშნით. ასე რომ,. მესამე ციკლსე ჩარიცხვა სულ უფრო და უფრო ექვემდებარება შერჩევას, რაც ჩემს დროს არ ხდებოდა. და სწორედ აქ, დიდი ხანი არ არის,. გვაქვს სიახლე, ეს გახლავთ „ტუტორის" (დამხმარების) ინსტიტუტის შემოღება (ე. ი. ეს არის დახმარება სტუდენტებისათვის, რომელსაც ახორციელებენ თავად წარჩინებული სტუდენტები. ამ საქმეში შეიძლება პედაგოგიც ჩაერთოს).

პროფესიულად ორიენტირებული მესამე ციკლის დამთავრების შემდეგ შეიძლება გაიცეს რამდენიმე სახის დიპლომი. პირველი ესაა შედარებით ახალი უმაღლესი სპეციალიზებული განათლების დიპლომი (უსბდ). იგი გულისხმობს სპეციალისტის მომზადებას 1 წლის განმავლობაში (ბაკალავრი + 5 წელი) და სამთვიან სტაჟირებას რომელსამე საწარმოში – ასე რომ, სტუდენტი უშუალოდ ერთვება კონკრეტული საწარმოს შრომის სამყაროში, სადაც მას მუშაობის დაწყებაც კი შეუძლია.

მესამე ციკლის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს ე.წ. ტრადიციული მომზადება, რომლის საბოლოო მიზანი არის კვლევა. თუკი მიზანი არის კვლევითი მუშაობა, მაშინ სტუდენტის ჩაწერა ხდება მესამე ციკლის პირველ ფაზაში. ეს გახლავთ ბბდ – გაღრმავებული განათლების დიპლომი – დოქტორანტურის წინა ეტაპი. ბბდ მზადდება ისევე როგორც უსბდ ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ კვლევით დაინტერესებული სტუდენტი აქ არ ჩერდება და ბბდ-ს მოპოვების შემდეგ, უშუალოდ მასწავლებლის ხელმძღვანელობით აგრძელებს სწავლას დოქტორანტურაში. ბევრი ლაბორატორია, ისევე როგორც უდიდესი სამეც-

ნიერო ცენტრები, ერთიანდებიან ამ განყოფილებებში (ფაკულტეტებ'ს). ასე რომ, დოქტორანტურა არის ბგდ-ს ლოგიკური გაგრძელება, დოქტორანტურის და დისერტაციის დაცვის შემდეგ ხდება ხარისხის მინიჭება. ეს დიპლომი თეორიულად საშუალებას აძლევს სტუდენტს დაიკავოს უკვე მასწავლებლის, მათ შორის, ყველა'ზე უფრო მაღალი თანამდებობა.

ნება დამრთეთ გადავიდე სამედიცინო განათლების სისტემაზე, აგრეთვე გესაუბროთ სტომატოლოგიურ და ფარმაცევტულ განათლებაზე. აქაც ძირითადად იგივე სისტემა გვაქვს, მაგრამ არის პატარა სხვაობებიც, განსაკუთრებით, სამედიცინო სისტემაში.

როგორც მოგეხსენებათ, საფრანგეთში არსებობს „დიდი სკოლები", რაც იმპერიის მემკვიდრეობაა. მაგრამ შენაწევრება „დიდი სკოლები – საშუალო განათლება" ცოტაოდენ სპეციფიურია, იმ გაგებით, რომ ზოგიერთი ძალზე პრესტიჟული ლიცეუმი ამზადებს კადრებს „დიდი სკოლისათვის" (მაგალითად ანრი მეოთხის ლიცეუმი პარიზში), ისევე როგორც კომერციული სკოლები ანდა „ეკოლ დე შარტი" ან „ეკოლ ნორმალ სუპერიერი". შეძლებული მშობლები ცდილობენ, რა თქმა უნდა, მოახვედრონ თავიანთი შვილები პრესტიჟულ ლიცეუმებში, რათა მათ ისწავლონ რაც შეიძლება დიდხანს და გამოვიდნენ კარგი ექიმები, სახელმწიფო მოხელეები ან სწავლულები. 60 ათასზე მეტი მოსწავლეა ჩაწერილი ამ ლიცეუმების მოსამზადებელ კლასებში, რომლებშიც ჩასარიცხად კანდიდატს უკვე უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და აუცილებლად ნიშნით, აგრეთვე ძალიან კარგი „სასკოლო დღიური". შეგახსენებთ, რომ არსებობენ ძალზე „დიდი სკოლები", რომლებიც ერთობ პრესტიჟულად ითელებიან, სწორედ ახალა ვახსენეთ „ეკოლ დე შარტი", მაგრამ არის სხვა სკოლებიც; რაღა თქმა უნდა კომერციული სკოლები, როგორიცაა, მაგალითად სენ კლუს „ეკოლ ნორმალ სუპერიერი", და გვაქვს ისეთი დიდი სამეცნიერო სკოლები, როგორიცაა პოლიტექნიკური სკოლა, სადაც ყალიბ-

დებიან უმაღლესი დონის სამხედრო ხელოვნების სპეციალისტები, ინჟინრები და ტექნიკოსები.

ახლა შევეცდები დასკვნით ნაწილზე გადავიდე და რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ 2000 წლის სკოლაზე. 1995 წელი, დარჩება ფრანგული განათლების ტრადიციაში განსაკუთრებულ წლად, ვინაიდან ამ წელს გახდა შესაძლებელი დამყარებულიყო საუკეთესო წონასწორობა სხვადასხვა განყოფილებებს (ფილიალებს, თუ გნებავთ ფაკულტეტებს) შორის. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენც გარდაქმნების პერიოდში ვიმყოფებით. ამჟამად უდიდესი ცვლილებებია, რეფორმები განათლების სისტემაში. ასე რომ, როცა ლაპარაკია ფრანგული განათლების სისტემის შესახებ, არ შეიძლება არ ახსენონ 1995 წელი, რამაც დიდი გარდაქმნები შეიტანა ბაკალაერიატის დონეზე მომსადებაში. ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი შეიცვალა და გადაკეთდა.

ყველაზე დიდი ადგილი დაეთმო ლიტერატურას, კლასიკურ ენებს: ბერძნულსა და ლათინურს, რომლებიც დავიწყებული იყო, აგრეთვე – უცხო ენების შესწავლას. რა თქმა უნდა, კვლავ ბევრია სათქმელი ბოლოდროინდელი რეფორმების შესახებ, მაგრამ იძულებული ვარ აქ დავასრულო გამოსვლა. ლიტერატურა, ენები იბრუნებენ თავიანთ პრესტიჟულობას. მეორეს მხრივ, ზუსტი მეცნიერების მიმდევრები ცდილობენ თავიდან აიცილონ ამ ტენდენციის წმინდა ეტალონების ჩამოყალიბება. ისინი მიისწრაფვიან არა მარტო აირჩიონ ის განხრა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ შევიდნენ შრომის სამყაროში, არამედ მიიღონ ცოდნა და განათლება კომუნიკაციისა და კომერციის სამყაროში, ამ პროცესში მიიღონ შესაბამისი დაფინანსება. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩემი დასკვნითი სიტყვები ასეთია: ცოდნა იყიდება.

თარგმანი ნინო ცოტაძისა

საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენელთა გამოსვლები

რამაზ ხუროძე *(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი)*

ძვირფასო კოლეგებო, მადლობა მინდა ვუძღვნა სემინარის ორგანიზატორებს!

ჩვენ ამჟამად განათლების სფეროში ძირეული ცვლილებების მიჯნაზე ვიმყოფებით. ამიტომ ასეთი შეკრებები, აზრთა ურთიერთგაზიარება, პრობლემის ანალიზი უთუოდ სასარგებლო იქნება და სასურველ შედეგსაც გამოიღებს. ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივად ახალ პირობებში ვიმყოფებით და უმაღლესი სკოლის რეფორმას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური განვითარება, თუ მას წინ არ გაუსწრებს განათლების სისტემის რეფორმა. სწორედ ამ რეფორმამ უნდა უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, განათლების სისტემის და კერძოდ, საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა ღრმა შინაარსობრივ და კონცეპტუალურ გააზრებას საჭიროებს. ეს უკანასკნელიც უაღრესად ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს, რადგან თავად საუნივერსიტეტო განათლების შინაარსიც მეტად ტევადი და მრავალფეროვანია. მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სრულიად სხვა პროფილის სპეციალისტებს ამზადებს, ვიდრე, ვთქვათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამიტომაც ყველა უნივერსიტეტმა თავისებურად უნდა გაიაზროს საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა და ინდი-

ვიდუალურად მიუდგეს ცალკეულ დარგებსა თუ სპეციალობებს. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მთლიანად განათლების სფერო და კერძოდ, უმაღლესი სკოლა საერთაო ობიექტია და მას ობიექტური მართვისათვის არსებული სისტემური მიდგომა სჭირდება. საამისოდ კი კარგად უნდა გაეიაზროთ უმაღლესი განათლების სასრული, მიზნობრივი ფუნქცია. ამგვარი სისტემური მიდგომა აუცილებელია უმაღლესი სკოლის შინაარსის ანალიზისას.

ასეთი სისტემური მიდგომის ცალკეული ელემენტები ჩვენს კონფერენციაზეც წარმოჩინდა, მაგრამ მათ თავმოყრა და საფუძვლიანი სტრუქტურული ანალიზი სჭირდება. ასეთსავე მიდგომას მოითხოვს დასავლეთის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები. მათ ჩვენში მონიშნული განათლების საფეხურებრივი სისტემის თვალთახედვით უნდა მივუდგეთ. მხედველობაში მაქვს ბაკალავრის, მაგისტრის და ა. შ. ხარისხების შემოღება. მინდა შეეხო მაგისტრების მომზადების ერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

რა იგულისხმება კარგი დონის მაგისტრის მომზადებაში?

აშშ წამყვან უმაღლეს საწავლებლებში პრაქტიკულად იმდენივე მაგისტრი და დოქტორია, რამდენიც სტუდენტი. თუ ამ ასპექტში გავიაზრებთ ჩვენში არსებული ძველი სისტემის შესაბამის საფეხურს – ასპირანტურას, საქმე აქ სრულიად სხვაგვარად იდგა და ის ძველი სისტემა ნაკლებად უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. მაგალითად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი 2500 იყო, ასპირანტთა საერთო რაოდენობა კი 200 კაცს შეადგენდა. მაგისტრატურის გზით კი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი უნდა მომზადდეს.

აშშ-ში სტუდენტებს მისაღებ გამოცდებზე, მაგალითად, მათემატიკაში, გაცილებით ნაკლები მოეთხოვებათ, ვიდრე ჩვენთან. ცოდნის ხარისხობრივი ზრდა შემდეგ ხდება და განსაკუთრებით ინტენსიურია მაგისტრატურაში, როცა სტუდენტი პროფესიული ორიენტაციის გზას აღგება. მაგისტრატურის პე-

რიოდი სხვადასხვა დარგისათვის განსხვავებულია. შეუძლებელია, მაგალითად, ოთხ წელიწადში ერთნაირი წარმატებით ინჟინრის, ვეტერინარის, ექიმის და სხვა სპეციალისტთა მომზადება. თითოეული სპეციალობა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

ჩვენ ამ მიმართულებით უკვე დავიწყეთ მუშაობა. შევქმენით მძლავრი მეთოდცენტრი, სასწავლო-მეთოდური საამმართველო. შესწავლილი, გაანალიზებული და განხორციელების სტადიაშია ყველა მომენტი და ეტაპი, დაწყებული სასწავლო გეგმების დამუშავებით და დამთავრებული ამ პროცესის თანმხლები პროგრამებით.

ჩვენ ხშირად ვუშვებთ ასეთ დიფერენცირებას: დაბალ საფეხურზე გამოვუყოფთ ადგილს მაგისტრატურას, მის შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე ვათავსებთ ასპირანტურას, შემდეგ კი დოქტორანტურას. ეს ყველაფერი კი ასპირანტურაა, ძველი, ჩვენეული გაგებით კი არა, დასავლური გაგებით. ზოგ ქვეყანაში ამას გრადუეტსტადი, ზოგან კი პოსტგრადუეტსტადი ჰქვია. ეს პრაქტიკულად, ასპირანტურის პერიოდია და პრინციპში ხარისხის მისაღები ბოლო, დამამთავრებელი ეტაპი. მაგისტრატურის ამგვარი შინაარსით დაკანონება შეიძლება სპეციალური საუნივერსიტეტო საბჭოს პრეროგატივაც იყოს.

თუ განათლების ე. წ. დასავლურ სისტემებზე გადავდივართ, ცხადია, არც მხოლოდ ძველი, ჩვენთვის ტრადიციული სპეციალობებით უნდა შემოვიფარგლოთ, ახალიც უნდა შემოვიღოთ. უაღრესად აქტუალურად მიმაჩნია მაგალითად ისეთი სპეციალობა, როგორიცაა სახელმწიფო მოხელეთა მომზადება. აქ ისწავლება ყველა ის ელემენტი, რაც თან ახლავს სახელმწიფოს მოწყობას. ფაქტობრივად, ესაა სახელმწიფოს სტრუქტურის კომპლექსი. ადამიანს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული სახელმწიფოს სტრუქტურის რაობა, მისი მოწყობის პრინციპები, მისი ელემენტები მთლიანობაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იგი პოლიტიკოსად, მაღალი რანგის სახელმწიფო

მოხელედ ჩაეთვალოთ. ამიტომ ჩვენს კონცეფციაში ისეთი ახალი სპეციალობების შემოღების რეკომენდაციებიც უნდა გაეითვალისწინოთ, რომლებიც დასავლური საუნივერსიტეტო განათლებისაკენ წაგვიყვანს.

ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი — მაგისტრების მომზადება არ უნდა იყოს ჩვენი თვითმიზანი. უადამწყვეტი სიტყვა აქ სახელმწიფომ უნდა თქვას და ეს უნდა გამოიხატოს მაღალი რანგის მაგისტრისათვის სათანადო პრესტიჟის შექმნაში.

ჩემი აზრით, კონცეფციამ განათლების ღირებულების კატეგორიად გადაქცევა უნდა უზრუნველყოს, ანუ განათლება ღირებულებად აქციოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ დეფალვირებულ კადრებს მოვამზადებთ. დღეანდელობას კი მაღალი რანგის პროფესიონალები სჭირდება. ამასთან, თუ ადრე სტუდენტობა გარკვეულწილად ინერტულობას იჩენდა, ღღეს იგი ფრიად აქტიურია. განათლების ღირებულების ელემენტი თვალსაჩინო გახდა. ადამიანმა იგრძნო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროფესიონალიზმი აუცილებელია საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში ადგილის დასამკვიდრებლად.

განათლების დასავლური მოდელების ტრადიციული უმაღლესი სკოლების გვერდით პრაქტიკული უმაღლესი სასწავლებლებიც, ვთქვათ, ვიწრო დარგის, ვიწრო ტექნოლოგიური დარგის ან ვიწრო აპარატული დარგის ინჟინრებს ამზადებენ. ეს გარემოება ევროპული განათლების მოდელის უაღრესად მნიშვნელოვანი უპირატესობის წარმომჩენია. იგი ღღეს განსაკუთრებით ჩვენ გვჭირდება. ამ მიზნით უკვე დავამყარეთ კონტაქტი გერმანელებთან. ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი ტექნოლოგიების გადმოღება ზოგ შემთხვევაში იმდენად რთულია, რომ ძალიან მაღალი რანგის ვიწრო სპეციალობის პროფესიონალი ინჟინრებია საჭირო. ამიტომ ასეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლების, ანდა თუნდაც სასწავლო პროცესში ასეთი ვიწრო

სპეციალობების მომზადებისათვის საჭირო კორექტივების შეტანა აუცილებელი და გადაუდებელია.

დღევანდელი გატაცება მენეჯმენტითა და მარკეტინგით დროებითი მოვლენაა. თუ არ ამოქმედდა მრეწველობა, მთლიანად სახალხო მეურნეობა, მარკეტინგები და მენეჯმენტები ვერაფერს გვიშველის.

ყველაფრის განმსაზღვრელი მრეწველობაა. სპეციალისტთა ერთგვარი დევალვაციის გამნსაზღვრელიც მრეწველობა აღმოჩნდა, რადგან მას არ სჭირდებოდა მაღალკვალიფიციური პროფესიონალი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობა უნდა ჰქონდეს, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პროფესიონალ სპეციალისტებს. ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება ტერმინოლოგიას, გაყეცანი კონფერენციის მასალებს, ვიცნობ აგრეთვე საუნივერსიტეტო განთლების კონცეფციას. ბევრი რამ აქ დაზუსტდა, ბევრი შეიცვალა და, ჩემი აზრით, რეკომენდაციები საბოლოო ვარიანტით, ახალი რედაქციით სავსებით მისაღებია.

ერთ მომენტზეც მინდა შევჩერდე — ესაა ბაკალავრის მომზადება. პროგრამა საამისოდ, ვფიქრობ, თვით უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა განსაზღვროს თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ატესტაციისა და აკრედიტაციის საკითხს, სადღეისოდ იგი უმნიშვნელოვანეს მომენტად მიმაჩნია. მომრავლებულმა კომერციულმა სასწავლებლებმა და, რაც ყველაზე სავალალოა, უნივერსიტეტებმა (თუ არ ვცდები ახლა მეტია ასეთი უნივერსიტეტი) წალეკა საქართველო. ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო სტატისტიკას მოვიშველიებ: მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკურ სასწავლებელში სწავლების ერთი წლის საფასური 2500 დოლარია და ეს თანხა იზრდება; პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის უნივერსიტეტში (მას ახლა ეკონომიკის აკადემია ჰქვია), სწავლების ერთი წლის

საფასური 6000 დოლარია, ასევეა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ა. შ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენში კომერციული სასწავლებლების რექტორები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ შიმშილისაგან იხსნეს პროფესურა. დამერწმუნეთ, რომ არ ყოფილიყო კომერციული სასწავლებლები, ჩვენი სინამდვილისათვის ნიშნეული კონკურსების პირობებში, ასეთიეე გადასახადები დაწესდებოდა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში და ამ თანხით პროფესურაც უკეთ იცხოვრებდა. ეკონომიკური „გადარჩენა" არ უნდა მომხდარიყო სწავლის დევალვაციის ხარჯზე. მაპატიეთ, მაგრამ კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში მეტნაკლები წარმატებით შეიძლება ჰუმანიტარული სპეციალობების სწავლება, რადგან უპირატესად საქმე წიგნთან გვაქვს, მაგრამ ტექნიკურ საეციალობებში, სადაც აუცილებელია ლაბორატორია, ტექნიკა, ექსპერიმენტი, ასეთი პროფილის უნივერსიტეტის არსებობა, მასში მაღალი კლასის პროფესიონალის მომზადება სრულიად გაუგებარია. მე რომ წარმოების დირექტორი ვიყო, ასეთ უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტს ახლოს არ გავიკარებდი.

კურსდამთავრებულთა დონის თვალსაზრისით, ცხადია, სახელმწიფო უმაღლესი სკოლაც არაიშვიათად სცოდავს, მაგრამ აქ ყოველნაირი შედარება უხერხულიც კია. რაც შეეხება ობიექტური კრიტერიუმების არსებობას, აუცილებელია, რადგან მომრავლებული კომერციული სასწავლებლების არსებობის პირობებში რაიმე განმასხვავებელი ნიშნების შემოტანა საჭიროა, ჩვენთვის კი აუცილებელია, რომ გავიაზროთ რასთან გვაქვს საქმე.

აქ ჩამოთვლილია მონაცემები სტუდენტთა რაოდენობის, ძირითად შტატში მომუშავე თანამშრომელთა შესახებ და ა. შ. ასეთი კრიტერიუმები ობიექტური შეფასებისათვის, ცხადია, აუცილებელია.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა კონფერენციის ორგანიზატორებს დღეისათვის განათლების სფეროს

მეტად საჭირბოროტო პრობლემის საჯარო განსჯა-გააზრების პირობების შემქნისათვის.

ნაპოლეონ ქარქაშაძე *(აგრარული უნივერსიტეტის რექტორი)*

მადლობა სემინარის ორგანიზატორებს.

განათლების სისტემის რეორგანიზაცია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს. რესპუბლიკის უმაღლესი სკოლები უკვე ერთი წელია მუშაობენ განთლების რეფორმაზე და დღევანდელი სემინარიც ამ მუშაობის ნაწილია. ნება მომეცით მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია და სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის კადრებით უზრუნველყოფას სამი უმაღლესი სასწავლებელი ემსახურება. აგრარული უნივერსიტეტი, ზოოვეტერინარული სასწავლო-სამეცნიერო და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები, სასოფლო სამეურნეო პროფილისაა აგრეთვე 9 ტექნიკუმი და 11 პროფტექნიკური სასწავლებელი. არსებობს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ფასიანი კომერციული სასწავლებლები, რომელთა მეტი წილი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებშია განთავსებული.

სასოფლო-სამეურნეო განათლება საქართველოში გელათისა და იყალთოს აკადემიებიდან იწყება. ძველი ბერძნული წყაროები გვამცნობენ, რომ საქართველო ბაღ-ვენახებით აყვავებული ქვეყანაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართველები კულტურულ მიწათმოქმედებას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ვეწეოდით. მოგვიანებით, თურქულ-სპარსული წყაროებიდან ირკვევა,

რომ საქართველოში სამხედრო ექსპედიციებს გარდა ქვეყნის დაპყრობისა სხვა მნიშვნელობაც ჰქონია; „...ჩვენ ქართველებისაგან ვსწავლობთ მიწათმოქმედებას, მეჯოგეობას, ნიადაგის მორწყვას და სხვა“.

თანამედროვე კლასიკური სასოფლო-სამეურნეო განათლება კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იწყება. პირველად აქ გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, რომელიც მოგვიანებით დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. სალღვინოდ კი სასოფლო-სამეურნეო განათლების ცენტრები და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიით და სამი უმაღლესი სასწავლებლით. ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დიდი როლი შეასრულა კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და მეცნიერული ცენტრების შექმნა-ჩამოყალიბებაში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ამზადებდა მათთვის სამეცნიერო კადრებს, აქ ხდებოდა საფისერტაციო შრომების მომზადება და დაცვა.

საქართველოში დატრიალებულმა ბოლო პერიოდის მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააზარალა აგრარული განათლებაც, მოიშალა ძველი სტრუქტურები, სანაცელო კი არ შეიქმნა. უმაღლესმა სასწავლებელმა დაკარგა პრესტიჟი საზოგადოებაში. დღეისათვის ყველა, ვინც მოისურვებს, სტუდენტია, უფრო მეტიც, ყველა, ვისაც რაღაც შეხების წერტილი ჰქონია მეცნიერებასთან „აკადემიკოსობას“ ჩემულობს. საბედნიეროდ აგრარულმა განათლებამ და მეცნიერებამ შეინარჩუნა პოტენციალი, რომელმაც უნდა განსაღვროს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და თუ საზოგადოებას სურს განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყანაში ცხოვრება, განათლების რეფორმა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს. იყო მცდელობა, რომ ჩვენი კონცეფციით მოვრგებოდით დასავლეთის მოდელს, მაგრამ ამ შემთხვევაში დაიკარგებოდა ის ძირითადი ანუ ეროვნული, რამაც უნდა განსაღვროს არა მარტო განათლების მოდელი, არამედ ეროვნული

სახელმწიფოს ჩამოყალიბება. განათლების სისტემის დასავლური მოდელი უნდა მოვარგოთ ჩვენს პირობებს, ჩვენს სპეციფიკას, ვინაიდან განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს უპირველესად ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

დღეს ნორმადაა მიღებული კომუნისტური პერიოდის კრიტიკა. მე იმ სანად 16 წლის მანძილზე ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთ პრესტიჟულ საკავშირო დაქვემდებარების უმაღლეს სასწავლებელს და მინდა მოგახსენოთ, რომ უმაღლეს სკოლებში მაშინ იმდენი პრობლემა და გასაჭირი არ იყო და განათლების ე. წ. საბჭოთა სისტემა პროგრესულად ითვლებოდა მსოფლიოში. ურიგოდ არ იყო ორგანიზებული მომზადებული სპეციალისტების სამუშაო ადგილებით უსრულველყოფა, გექონდა შესანიშნავი ბაზები სასწავლო თუ საწარმოო პრაქტიკისათვის. დღეს კი ჩვენი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს ძალიან გეიჭირს ამ მხრივ. ვინაიდან ჩვენი პრაქტიკის ძირითადი ბაზები საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აღარ არსებობენ. დანგრევით მარჯვედ დავანგრიეთ, მაგრამ მაგიერი ვერაფერი შეეთავაზეთ წარმოებას, რითაც დავაზარალეთ როგორც ეკონომიკა, ისე მასთან დაკავშირებული ყველა რგოლის, მათ შორის უმაღლესი სკოლების, პრაქტიკული საქმიანობა. მართალია, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს აქვთ მეურნეობები, მაგრამ იქ ძირითადად სამეცნიერო ხასიათის სამუშაოები ტარდება. სამწუხაროდ საბაზრო ეკონომიკას, რომელზეც ამდენს ელაპარაკობთ, მოუმზადებელნი შევხვდით. ნაცვლად იმისა, რომ ეტაპობრივად, თანდათანობით გადავსულიყავით საბაზრო ეკონომიკაზე და ამ პროცესს სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონოდა, ჩვენ ეს მნიშვნელოვანი საკითხი თვითდინებაზე მიეუშვით, რის შედეგადაც პროცესი სტიქიურად წარიმართა, უმართავი გახდა და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა მრავალმა მანკიერებამ იჩინა თავი. უკიდურესად არასახარბიელო სიტუაცია შეექმნათ უმაღლეს სკოლებს, რომლებმაც დაკარგეს მყარი საბიუჯეტო დაფინანსება. ამას

შედეგად მოყვა ის, რომ აღარ ხდება მატერიალური ბაზის გა-
ახლება, პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენ კი ჯერჯერობით დისკუსიების დონე'ზე ვართ. სახელმწიფომ უნდა გვითხრას, რა შეუძლია გამოყოს რეფორმისათვის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რისი მფლობელები ვართ, მაშინ ექნება რეფორმას მიზნობრივი ხასიათი. საქართველო საკმაო რაოდენობით იღებს კრედიტებს, უმაღლესი სასწავლებელები კი ყველა ნუსხაში გამოტოვებულია! გვაცვიწუდება, რომ სახელმწიფოს გადარჩენის ორი ძირითადი პირობა არსებობს — განათლების სისტემის წესრიგში მოყვანა და სოფლის მეურნეობის განვითარება. მშიერი კაცი ვერც მატერიალურ დოვლათს შექმნის და ვერც მეცნიერულ პროდუქციას. უმაღლესმა სკოლებმა კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ იმ კრედიტების ნაწილი, რომლებიც შემოდის სახელმწიფო'ში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განათლების სისტემის რეფორმით ძირითადად უმაღლესი სასწავლებლები და განათლების სამინისტროა დაინტერესებული. არადა თუ განათლების რეფორმით არ დაინტერესდა სახელმწიფო, ქვეყანას არფერი გამოუვა. სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა ვიცოდეთ, თუ რა ტიპის სპეციალისტი სჭირდება ღღეანდელ და ხვალინდელ საქართველოს. სახელმწიფომ უნდა მოგვცეს შეკვეთა, განსაზღვროს საჭირო სპეციალისტთა რაოდენობა, არ შეიძლება საქართველო გადაიქცეს მხოლოდ უმაღლესდამთავრებულთა ქვეყანად. ის რაც ღღეს ხდება ჩვენში დამახინჯება კი არა, დანაშაულია! საკითხი ეხება კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებს. ახალგზარდა კაცი, რომელიც უნდა ქმნიდეს მატერიალურ დოვლათს, მწარმოებლის ნაცვლად ხდება მომხმარებელი. ღღეს ლამის ყველა ახალგაზრდა სტუდენტია! სტუდენტობა ადამიანისათვის ხარისხში ამაღლებაცაა და მხოლოდ საკონკურსო შერჩევით უნდა მოხდეს მისი დაკომპლექტება. თუ ასე გაგრძელდა 10-15 წელში მატერიალური დოვლათის მწარმოებელი აღარ გვეყოლება. არ შეიძლება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რო-

მელიც 30-35 ათას სტუდენტს უნდა ითვლიდეს 100-150 ათასი იყოს! საკითხს მეორე მხარეც აქვს, ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს, ვთქვათ, წნორის და სხვა მსგავსი უნივერსიტეტები, მაგრამ სხვა ქვეყანაში ხომ არ იციან. ამიტომ ფასიანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები გადიან რესპუბლიკის გარეთ, საქმდებიან სხვა ქვეყანაში, იქვე ოჯახდებიან და იმ ქვეყნისათვის ქმნიან მატერიალურ დოვლათს. ეს გენოფონდის დაკარგვაა, რაც ძალიან ძვირად დაგვიჯდება. არის კიდევ ერთი მომენტიც: უმაღლესი განათლების დიპლომიანთა 30% მაინც ფიქრობს შემდგომ ეტაპზე, უნდება სურვილი მეცნიერებათა კანდიდატობის, დოცენტობის, პროფესორობის, აკადემიკოსობის. ამის დასტურია მომრავლებული აკადემიები, მალე ალბათ აღარ დაგვრჩება უმაღლესდამთავრებული, აკადემიკოსი რომ არ იყოს. თუ ასე გაგრძელდა სულ მალე ჩვენ ვიქნებით მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, სადაც მხოლოდ პროფესორები და აკადემიკოსები იცხოვრებენ, მაგრამ ამავე დროს ვიქნებით ყველაზე ღარიბი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ერი, უშარვლოდ დარჩენილი პროფესორები და აკადემიკოსები!

რამდენიმე სიტყვა სემინარის რეკომენდაციებ'ზე. ვთვლით, რომ ძირითადად კარგად არის გააზრებული, მაგრამ მიმაჩნია, რომ აგროსამრეწველო სისტემაში სულ 20-25 სპეციალობაა საჭირო. თუ სპეციალობების დაქუცმაცების გ'ზით წავალთ, ჩვენც შეგვიძლია მოვამზადოთ, ვთქვათ, მექანიზატორი ცალკე ფერმებისათვის, ცალკე მელიორაციული სამუშაოებისათვის, ცალკე მაღალმთიანი სამთო მიწათმოქმედებისათვის, ცალკე ბარის მიწათმოქმედებისათვის და ა. შ. მაგრამ ეს გ'ზა არ მიგვაჩნია სწორად, აქედან გამომდინარე აგრარული უნივერსიტეტისათვის მიუღებელია უნივერსიტეტისათვის დადგენილი კრიტერიუმი — 40 სპეციალობა. თუ გვინდა გექონდეს დარგობრივი უნივერსიტეტები, და ისინი უკვე არსებობენ, მაშინ ეს ბარიერი უნდა მოვხსნათ, ეს მუხლი ამოვიღოთ.

რაც შეეხება მეცნიერებათა კანდიდატების მომზადებას, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტებს 20 სპეციალობა არ გამოგვივა. ჩვენი სპეციალობების ნუსხა არ ითვალისწინებს ამას. უნდა ჩაიწეროს „უნივერსიტეტს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის საბჭოები". სხვათა შორის, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში, სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისათვის განსაზღვრულია მხოლოდ 8 სპეციალობა.

ვთქვი, რომ ჩვენი სემინარი არ დარჩება — „ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა", მას გარკვეულ ყურადღებას დაუთმობს საქართველოს ხელისუფლება და იგი დაედება საფუძვლად განათლების სახელმწიფოებრივ კონცეფციას.

რამაზ ხეცურიანი *(სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი)*

ჩემს გამოსვლაში შევეცდები შეეხო სამედიცინო განათლების პრობლემებს და ზოგიერთ იმ საკითხს, რომლებსაც განათლებისა და საუნივერსიტეტო რეფორმები მოიცავს. დაეთანხმები პროფ. ნ. ქარქაშაძეს, რომ შეუძლებელია რეფორმა გატარდეს მხოლოდ ენთუზიაზმით. მას დაფინანსება, თავისი ბიზნეს-გეგმა სჭირდება. სჭირდება დრო განსახორციელებლად და, ბოლოს, რეფორმას პიროვნებები სჭირდება.

რეფორმების გასატარებლად განათლების სფერო ყოველთვის პრიორიტეტულად იყო მიჩნეული. ყველა ახალი მთავრობა თუ მინისტრი მოღვაწეობას განათლების რეფორმით იწყებდა და იცვლებოდა სკოლაში შემსვლელ ბავშვთა ასაკი — 6 თუ 7 წელი, ხანგრძლივობა — 10-11 კლასი, იტვირთებოდა ახალი საგნებით, სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებს ემატებოდა სუბორდინატურა თუ ინტერნატურა, იცვლებოდა სახელმწიფო

გამოცდების ნუსხა და ა. შ. ამჟამად ლაპარაკია 12 წლიან სწავლებაზე, რომლის არგუმენტირება მე საკმაოდ სუსტად მიმაჩნია, დღეისათვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესის გარდაქმნის მრავალი მოდელია წარმოდგენილი. ამერიკული თუ ევროპული მოდელის პირდაპირ გადმოტანასა და დანერგვასაც ფიქრობენ.

პრეზიდენტმა კლინტონმა ახლახანს თავის გამოსელაში აღნიშნა, რომ ამერიკაში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის გატარებაა საჭირო, თუმცა ხარჯები მათ დღეისათვის არ გააჩნიათ.

ნემი აშშ-ი მივლინების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამერიკული მოდელის ჩვენთან პირდაპირ გადმოტანა არ შეიძლება. სამწუხაროდ, გადავედით რა საბაზრო ეკონომიკაზე, პრიორიტეტულად მივიჩნიეთ განათლების სფერო, რომლის მიმართაც ყოველთვის განსაკუთრებულ ლტოლვას იჩენდა ქართველი კაცი. განათლების ობიექტები — უნივერსიტეტები, ინსტიტუტები ჩვენ მომხმარებლამდე მივიტანეთ, გაეხსენით ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში, ზოგიერთ ქალაქში ორი და სამი. მე არ ვამბობ ისეთ უნივერსიტეტებზე, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თელავში არ შეიძლება ექიმის აღზრდა, რომ დღეს სამედიცინო უნივერსიტეტსაც არა აქვს ნორმალური პირობები სპეციალისტის მოსამზადებლად, რომ ექიმის პროფესიის დაუფლებისათვის 79 მარტო სპეციფიკური კათედრაა საჭირო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კლინიკური სპეციალობების შესასწავლად ავადმყოფია საჭირო. ავადმყოფი კი დღეს თბილისის კლინიკებში არ არის და არა მგონია სხვაგან უკეთ იყოს საქმე. ამ მხრივ. ახლა რაც შეეხება ამ ფონზე საუნივერსიტეტო განათლების რეფორმას. ალბათ თითოეული უნივერსიტეტი ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში თავად შეეცადა რეფორმის განხორციელებას თავისი დღევანდელი პოტენციალის შესანარჩუნებლად, რაც

ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო და ორგანიზაციული თვალსაზრისით.

ერთი წლის წინ დავიწყეთ ახალი სასწავლო პროგრამების შედგენა, სასწავლო პროგრამების ოპტიმიზაცია. მოვიწვიეთ უცხოელი ექსპერტები და შეავადგინეთ სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც მინისტთა კაბინეტმა დაამტკიცა. იგი ზუსტად იმ ეტაპებს მოიცავს, რომლებიც თქვენ უმაღლესი განათლების მოდელში გაქვთ მოცემული. სწავლება სამეტაპიანია. სამედიცინო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე რეზიდენტურა სწავლების მესამე ეტაპია. მაგრამ მის განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება, რათა მომზადდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოხდეს დაფინანსება. ჩემი აზრით, განათლების რეფორმის მთავარი საკითხია თვით სისტემის ძირეული შეცვლა. კერძოდ, დარჩეს ევროპული კლასიკური მოდელი, თუ გადავიდეთ ჩვენთვის ახალ, ამერიკულ მოდელზე, რასაც პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ჰქვია.

დღეისათვის ჩვენთან არსებული საგანმანათლებლო სისტემის კრიტიკულად შეფასებაა საჭირო: ჩამორჩება თუ არა ჩვენი მომზადლებული სპეციალისტი თავისი დონით საზღვარგარეთელ კოლეგას? გვაქვს თუ არა სათანადო სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალი? ჩვენი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფლობს თუ არა იგივე ინფორმაციას, რასაც საზღვარგარეთ, კერძოდ ამერიკაში ასწავლიან? უნდა დაკონკრეტდეს, თუ ვერ ვამზადებთ კვალიფიციურ კადრებს, რა გვიშლის ხელს ამაში?

დღეს ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების გახსნას მარტო ერთი მოტივით ამართლებენ: „უჭირდათ ბატონო მეცნიერ-მუშაკებს და რა ქნან, ხელფასი უნდათ და მუშაობენ კიდეც" — ე. ი. მთავარი და ძირითადი დაფინანსების პრობლემა ყოფილა, მაგრამ დაფინანსების წყაროს შეცვლა რეფორმას არ ნიშნავს, რეფორმა განათლების ფორმის, ანუ სისტემის ცვლილებაა. რომელს ავირჩევთ — კლასიკურს, პრობლემაზე ორიენტირებულს

თუ ინტეგრირებულს. დადებითი და უარყოფითი მომენტები ორივეს აქვს. ანკარის ავიცენას უნივერსიტეტის რექტორმა ჩემთან საუბრისას განაცხადა, რომ ევროგაერთიანებაში შესვლის შემდეგ ევროპარლამენტმა თურქეთის განათლების სისტემას გარკვეული მოთხოვნები წაუყენა, რაც პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებიდან კლასიკური სწავლების მეთოდებზე გადასვლას ითვალისწინებდა. მან ბრძანა, რომ თურქეთზე ამერიკის ზეგავლენის მიუხედავად პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მარტო რამდენიმე უნივერსიტეტშია შემორჩენილი და დღესაც გრძელდება დავა ორიენტირებული თუ კლასიკური სწავლების უპირატესობის თაობაზე. მიზურის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაერწმუნდი, რომ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას ბევრი ხარვეზი აქვს. ძირითადი ნაკლი ის გახლავთ, რომ სტუდენტი თურმე შეიძლება სამი წლის განმავლობაში საერთოდ არ მივიდეს უნივერსიტეტში და ჩააბაროს ნებისმიერი საგანი. როდესაც მესამე კურსის სტუდენტებს პროფესორის თანდასწრებით ვთხოვე ერთი ნებისმიერი შინაგანი ორგანო დაესახელებინათ, რომელზეც შეეძლოთ ესაუბრათ, ვერც ერთა სტუდენტმა ვერ მიპასუხა. შემდეგ მათ მთხოვეს, თირკმელზე გვესაუბრეთ ისე, როგორც თქვენ ასწავლითთ. მე წავიკითხე ლექცია თირკმლის შესახებ. ამის შემდეგ სტუდენტები მიუბრუნდნენ ლექტორს და უთხრეს: ჩვენ ხომ დავსვით საკითხი, რომ ძირითად ფუნდამენტურ დისციპლინებში გვასწავლონ ევროპული, ანუ კლასიკური მეთოდით, რომ გვქონდეს პრაქტიკული მეცადინეობები და ლექციები! საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკაში მომავალი ექიმი პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდიდან გამომდინარე პირველი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 32 დაავადებას სწავლობს. ერთი წელი გადის პრაქტიკას და ამის შემდეგ შედის კლინიკაში. საერთოდ ნებისმიერ ფაკულტეტზე მოხვედრას წინ უძღვის კოლეჯის სწავლების ტიპი. მხოლოდ მცირე გამონაკლისია იმ სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლებისა რომლებიც მარტო მეთორმეტე

კლასის დამთავრების შემდეგ ღებულობენ ახალგაზრდებს კოლეჯის დამთავრების გარეშე. მეთორმეტე კლასის დამთავრების შემდეგ სხვა ფაკულტეტებზე მან აუცილებლად ორწლიანი კოლეჯი მაინც უნდა დაამთაროს, რომ უნივერსიტეტში მიიღონ. სამედიცინო ფაფკულტეტზე შემოსული ყველა სტუდენტი როდი ამთავრებს ამ სასწავლებელს, მათთვის ეს არ არის აუცილებელი, რადგანაც ექთნის პროფესია ისეეა დაფასებული, როგორც ექიმის და ზოგჯერ უფრო მეტადაც. ექთანს ენიჭება ბაკალაერის წოდება. იგი იცავს ნებიმიერ საეცნიერო ხარისხს, პროფესორის, დოქტორის. დამწყები ექთანი იგივე ხელფასს იღებს, როგორსაც დამწყები ექიმი და ზოგჯერ მეტსაც კი. ამერიკის საავადმყოფო, ჩვენისაგან განსხვავებით, მარტო ექთნებითა და აპარატურითაა დაკომპლექტებული. უბნის ექიმი აგრძელებს თავისი ავადმყოფის მკურნალობას საავადმყოფოშიც. აღარ გავაგრძელებ ამაზე საუბარს, მე შევეცადე ამეხსნა, რომ არც ერთი ქვეყნის განათლების მოდელის გადმოღება პირდაპირ არ შეიძლება. რა არის იმაში ცუდი, რომ საქართველოში ქართული ტიპის განათლება იყოს. განათლების სფერო ძალიან ფაქიზი მექანიზმია და მასთან მანიპულირების დროს დიდი დაფიქრება გვმართებს. კი ბატონო, შემოვიღოთ თორმეტწლიანი სწავლება სკოლაში, უმაღლესში – შვიდწლიანი (მხედველობაში მაქვს სამედიცინო), შემდეგ რეზიდენტურა, ისიც შვიდწლიანი. 34 წელი სჭირდება კაცს, რომ ექიმის პროფესიას დაეუფლოს. დავფიქრებულვათ ამაზე? ამერიკაში პირველი მშობიარობა უმაღლესდამთავრებულთა შორის 29-30 წლის ასაკშია, რაც საკმაოდ ნაგვიანებია და მთელ რიგ გართულებებს იწვევს. მაგალითად, აშშ-ში ნივთიერებათა ცვლის მოშლის მეტი წილი მოდის სწორედ ამ ასაკის ქალებზე, რადგან, ისინი წლების მანძილზე იღებენ ჰორმონალურ პრეპარატებს, რათა არ დაორსულდნენ. ჩვენც დავფიქრდეთ! ნუ გავზრდით სწავლების პერიოდს ისე, რომ პირველი ქორწინებისა და პირველი მშობიარობის ასაკმა ძალიან გადაიწიოს, რაც მკვეთრად გაზრდის დაავადე-

ბათა რიცხვს და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც დამ-ღუპველია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის. ჩვენი დღე-ვანდელი სკოლადამთავრებული გაცილებთ მეტი ინფორმაციის მფლობელია, ვიდრე მსოფლიოს წებისმიერი ქვეყნის სკოლადამ-თავრებული. კარგი სწავლებლს პირობები უნდა იყოს სკოლაში და მაშინ უმაღლეს სასწავლებლებში მოვა ის აბტურიენტი, ვისაც სწავლა სურს. მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ უკანასკნელ წლებში შემცირდა აბიტურენტების ლტოლვა უმაღლეს სასწავ-ლებლებში, ამდენი კომერციული სასწავლებლის გახსნის გამო. სამაგიეროდ ამან გაზარდა ჩვენთან შემომსვლელი აბიტურიენ-ტების ცოდნის ხარისხი.

დღეს სამედიცინო უნივერსიტეტში 811 დიპლომია შევსებული და გაუცემელი. კურსდამთარებული დაოჯახდა და მუშაობა ვერ შესძლო, მას დიპლომი არ სჭირდება. იმედი მაქვს, დროთა განმვალტბაში შემცირდება ამგვარი დიპლომების რაოდენობა. რადგან დიპლომებზე ჩამოვარდა საუბარი, ვიტყვი, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავის დამღიანი დიპლომი. დიპლომი ხომ მაუწყებელია იმისა, რომ ამა და ამ პიროვნებამ დაამთავრა ესა და ეს უმაღლესი სასწავლებელი. ნუ გავათანაბრებთ ყველას. მსოფლიოს არც ერთ ქვეყენაში არ არ-სებობს ორი ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაც ერთი და იგივე ფორმის დიპლომი ჰქონდეთ. გაჩნდა ტენდენცია, ფასი-ანი უმაღლესი სასწავლებლები რომ არ დაიჩაგრონ, მათაც მიეცეთ სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი. რას ნიშნავს არასახ-ელმწიფო სტრუქტურას მიეცეს სახელმწიფო სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა?! ანდა თუ შეიძლება არასახ-ელმწიფო სტრუქტურაში სახელმწიფო გამოცდები ჩატარდეს? გამოცდები სხვა არფერია თუ არა სახელმწიფო გეგმის შეს-რულების შემოწმება. თუ კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათ-ვის სახელმწიფოს სასწავლო გეგმა არ დაუწესებია, თუ თი-თოეულმა კომერციულმა ინსტიტუტმა თვითონ შეადგინა თავისი სასწავლო პროგრამა, როგორ უნდა გააკონტროლოს სახელმწი-

ფომ ის, რაც თავად არ დაუგეგმავს. ამიტომ უნდა გაიმიჯნოს ეს ორი ტიპი ერთმანეთისაგან. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამით რაიმე ვაგნოთ კერძო სექტორს. პირიქით, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში იგი შეიძლება უკეთ ამუშავდეს და უკეთესი სპეციალისტებიც გამოუშვას! მე კატეგორიულად ვაჟენებ საკითხს, რომ თვითოეულ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდეს თავისი დიპლომი!

რაც შეეხება სემინარზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, მე მთლიანად ვეთანხმები და ვიზიარებ მათ. წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ განათლების კანონში შეტანილი იყოს პუნქტი, რომლითაც შესაძლებელია საუნივერსიტეტო განთლების მიღება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს თავიანთი დანიშნულება აქვთ, უმაღლეს სასწავლებლებს კი თავიანთი. სასწავლო პროცესის წარმოება სხვა მიმართულება გახლავთ. სასწავლო პროცესის ორგანიზება აბსოლუტურად განსხვავებული დარგია, რომელშიც ბევრი დიდი სპეციალისტი ნაკლებად შეიძლება იყოს გარკვეული. და ბოლოს მინდა ერთი ასეთი პრაქტიკული წინადადებით მოგმართოთ: იქნებ რექტორთა საბჭომ მაინც განვახორციელოთ ის სემინარი, რომელიც პიონერთა სასახლეში ჩატარდა, ის სხდომები, რომლებიც პარლამენტის კომისიაში ტარდებოდა; ის სხდომები, რომლებიც ბ-ნ ირაკლი მენეაღარაშვილთან ტარდებოდა და ის სხდომები, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ განათლების საკითხებთან დაკავშირებით იქნებ ერთიანად გავაანალიზოთ და ერთი ფორმის დოკუმენტი მივიღოთ. ავტორი მას არ სჯირდება. იქნებ როგორმე ეს მასალები, გამოქვეყნდეს პრესაში, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება განიხილოს, აზრი გამოთქვას, რომ მივიდეთ ჭეშმარიტებამდე. გმადლობთ.

ვახტანგ სართანია *(პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი)*

მივესალმები სემინარის მონაწილეებს და მადლობას ეუსდი მის ორგანიზატორებს. აქვე მინდა გულისტკივილი გამოვთქვა, რომ არ გვესწრებიან ის პიროვნებები, რომელთაც ხელეწიფებათ გარკვეული საკითხების გადაჭრა. უყურადღებობა იგრძნობა მთავრობისა და სხვა ინსტანციებიდან. ერთდროულად არ უნდა ჩატარებულიყო თსუ-ში ეს სემინარი და პარლამენტში განათლების კომისიის სხდომა. საჭიროა ამ პროცესების გარკვეული კოორდინირება სამინისტროს, ან მთავრობის მხრიდან. საზოგადოებრივი აზრი მომზადდა, მაგრამ განათლების რეფორმის პროცესი ჯერ არ დაწყებულა და, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ეს პროცესი უნდა დაიწყოს. კონკრეტულ წინადადებას ვაყენებ: არა კომერციული სტრუქტურებიდან, არამედ ატესტაცია-აკრედიტაციის პროცესი სახელმწიფო დოტაციებზე მყოფი უმაღლესი სასწავლებლებიდან, თუნდაც პედაგოგიური უნივერსიტეტიდან დავიწყოთ. ეს პროცესი ძალიან მტკივნეული იქნება. ამბიციებისაგან უნდა გავთავისუფლდეთ. სტანდარტებზე დაყრდნობით, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ბ-ნო რისმაგ, შევიდეთ მთავრობაში ჩვენი მოსაზრებებით, დავიწყოთ ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურებიდან. არის მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გასაუქმებელია, ან მნიშვნელოვნად გადასამუშავებელი. უამრავი დუბლირებისა და დამახინჯების მაგალითები გვაქვს. გუშინ რომ კოლეჯი იყო, შემდეგ შეფარვით მისცეს უმაღლესი კოლეჯის სახელწოდება და ამით ხალხი დააბნიეს, განსაკუთრებით პერიფერიებში, მათ დღეს უკვე პრეტენზია აქვთ ჩამოყალიბდნენ ინსტიტუტებად და უნივერსიტეტებად. საჭიროა, ეს პროცესი შეჩერდეს.

უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალობების ნუსხა მაგისტრალური მიმართულების, თუ ვიწრო სპეციალიზაციისა. მთავრობამ უნდა დაადგინოს რომელი დაწესებულებები, რომელი სპეციალობები

სჭირდება მინიმუმ 15-20 წლის წინაწინარი გათვლით მაინც და რის დაფინანსებას შეძლებს. ეს დაფინანსება უნდა მოხდეს იმ გათვლით, რომ პროფესორს პროფესორის ხელფასი ჰქონდეს, იყოს ნორმალური დოტაცია და დანარჩენებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ სხვა ფორმით, კერძო იქნება თუ სხვა, თავი ირჩინონ. არ შეიძლება დოტაცია იყოს ყველგან და არსად — ნორმალური ოდენობისა. სჯობია, იყოს ერთი და კარგი, ვიდრე ასი და არცერთი ვარგოდეს. მე მივესალმები, იმ პროცესს, რაც თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო რეფორმების ხასით. საჭიროა ამ პროცესმა მოიცვას სხვა უმაღლესი სასწავლებლები და არ დაიკარგოს ტემპი.

დღეს აქ არ არიან პირველი პირები ეკონომიური ბლოკისა, თუ განათლების სამინისტროსი, ვისაც ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება. ამიტომაც ლაპარაკი ლაპარაკად რჩება. არ ჩანს დამკვეთი და მისი პოზიცია, თუ ვის რამდენი სპეციალისტის მომზადება სჭირდება.

გამოიკვეთა ძალიან ცუდი, სახიფათო ტენდენცია. ახლა ჩვენ დავიწყეთ მზერა უცხოეთისაკენ: ამერიკა, გერმანია,... ეს ყველაფერი კარგია, უნდა ეუყუროთ, გადმოვიღოთ საუკეთესო. მაგრამ გამოიკვეთა ორი მიმართულება: პირველი, რომ უცხოეთიდან ინვესტიციების ჩადებითა თუ გარკვეულად სუბიექტური გადაწვეტილების ბაზაზე შეიქმნა ახალი სტრუქტურები, რაღაც ფონდებთან დაკავშირებული. მე სპეციალურად არ ვშიფრავ. გამგები გაიგებს რის შესახებაა ლაპარაკი. შეიქმნა ახალი უნივერსიტეტები გარკვეული მოტივითა და დაფინანსებით. ხომ არ სჯობია, ბატონებო, უმაღლესი სკოლის არსებულ ბაზაზე, დონორების დახმარებით, ევროპული დონორი უნივერსიტეტების ბაზაზე მოხდეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის გადახალისება, სრულყოფა ტრადიციული ქართული ეროვნული სულის შენარჩუნებით. შეიძლება დახმარება მივიღოთ ზომიერების ფარგლებში უცხოეთიდანაც. მე შეგნებულად არაფერს ვამბობ ამ პარამეტრების შესახებ, არც კონცეფციაზე, არც იმ სპეციფი-

კაზე, რომელიც ძალიან მაღელვებს, ვინაიდან გუშინ ჩემი ასრი ძალიან კრიტიკულად გამოვთქვი მაღალმთიანი რაიონების პრობლემების და მათთვის დახმარების შესახებ და არ მოეწონათ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა სკოლები რიგიორმე შევინარჩუნოთ, თუ არადა მთა დაიცლება მოსახლეობისაგან და ნელ-ნელა გადავშენდებით, რაც დაუშვებელია. ბოლოსდაბოლოს დიპლომი თვითმიზანი არ უნდა იყოს. მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის შემოღებით საქმეს არ ეშველება თუ დადგენილი სტანდარტების სისტემამ არ იმუშაჟა. დავიწყოთ სახელმწიფო სტრუქტურებიდან, კერძო სტრუქტურებმა არ იფიქროს, რომ არის ჩვენს შორის რაიმე კონფრონტაცია. მთავარია არ შევნერდეთ და ვიმოძრაოთ ამ მიმართულებით. ბოლოსდაბოლოს უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს რამდენი უმაღლესი სასწავლებელი შეუძლია დატოვოს დოტაციაზე და რამდენი უნდა გადავიდეს თვითდაფინანსებაზე. და ერთი მომენტიც: უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებასა და მისი სტატუსის განსაზღვრას არ უნდა განაპირობებდეს სუბიექტური განწყობანი (ქალაქის მერის, გუბერნატორის ღირსებანი და აქტიური პოზიცია), ამოსავალი ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა იყოს ობიექტური და მისადაგებული ქვეყნის ინფრასტრუქტურასთან. თუ ლაპარაკიდან საქმეზე არ გადავედით, საქმე შეიძლება დაზიანდეს.

ოთარ ჟორდანია *(თსუ სოხუმის ფილიალის რექტორი)*

უპირველესად უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო დღევანდელი საერთაშორისო სემინარის ორგანიზატორებს. სემინარზე მრავალმხრივი და საინტერესო ინფორმაციით გამოვიდნენ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ-ნ მიტერის გამოსელა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დღევანდელ გერმანიაში უარს ამბობენ ჰუმბოლტის პრინციპებზე აგებული

ტრადიციული უმაღლესი განათლების სისტემაზე. ჰუმბოლტის პრინციპი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ორ ძირითად მომენტს: სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევა-ძიებას. მაშასადამე, განათლების ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, მიმდინარეობს განათლების სისტემის გადასინჯვა.

ბ-ნ რაშტონის გამოსვლაში ღრმად იყო გაანალიზებული ის პრობლემები, რომლებიც დგას დიდი ბრიტანეთის განათლების სისტემის წინაშე. ბ-ნმა ჰაჩისონმა კი თავის გამოსვლაში გვიჩვენა, რომ ამერიკის საგანმანათლებლო სისტემა არ არის ისეთი, რომ იგი სამაგალითო გახდეს ყველასათვის. მისი აზრით, საქართველოს განათლების კონცეფცია, რომელსაც ჩვენ დღეს განვიხილავთ, უფრო ევროპულია. ასევე, საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ საფრანგეთში განათლების დარგში განხორციელებული რეფორმების შესახებ.

ორიოდე სიტყვით მინდა გესაუბროთ იმ უმაღლესი სასწავლებლებლის შესახებ, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავართ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი შეიქმნა 1989 წლის 14 მაისს აფხაზეთის უნივერსიტეტიდან გამოყოფის შედეგად. ახალშექმნილი უმაღლესი სასწავლებელი დარბეულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ. შეტაკების დროს დაიღუპა რამდენიმე ადამიანი. 1993 წლის 27 სექტემბრამდე ფილიალი ფუნქციონირებდა სოხუმში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის დაცემის შემდეგ კი, მან თავისი საქმიანობა განაახლა ქ. თბილისში. დღეს სოხუმის ფილიალში 6 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ ემსახურება 300-მდე პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 24 მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი, 100-მდე მეცნიერებათა კანდიდატი-დოცენტი. სასწავლებელს აქვს თავისი პერიოდული ორგანო – „სოხუმის სადროშო“, გამოდის პედაგოგიური ჟურნალი „მსრდელი ყრმისა“. თბილისში ფუნქციონირების პერიოდში სოხუმის ფილიალის სამმა თანამშრომელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა 10-მდე წიგნი, მათ შორის ორი დამხმარე სახელმძღვა-

ნელო. ჩვენი ფილიალი, საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს განათლების ახალი კონცეფციის განხილვაში.

ჩემი ღრმა რწმენით, უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული საშუალო სკოლის განვითარებასთან. საშუალო განათლების სისტემა არის ის წყარო, რომელმაც უნდა ასაზრდოოს უმაღლესი სასწავლებელი. დღეს კი, საშუალო სკოლა, რა დასამალია, დაშლის პირამდეა მისული. თუ ჩვენ არ შეექმნით სათანადო მატერიალურ და მორალურ წანამძღვრებს საშუალო სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, ვერ შეეძლებთ უზრუნველვყოთ უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარება. სამწუხაროდ, ახალგაზრდებს, რომელთაც ხელში აქვთ სიმწიფის ატესტატი, ყოველთვის როდი აქვთ საშუალება სრული მოცულობით ისარგებლონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით — მიიღონ უმაღლესი განათლება.

გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინათ რამდენ გამოცდას ვაბარებინებდით აბიტურიენტს. დღეს კი შეიმჩნევა მისაღები გამოცდების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით მე ვთხოვდი კონფერენციის ორგანიზატორებს წარმოდგენილ რეკომენდაციებში შეიტანონ წინადადება, რომ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდეს არა უმეტეს ორ საგანში. რეკომენდაციებში ისიც უნდა დაფიქსირდეს, რომ საშუალო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ უფლება უგამოცდოდ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში.

საქართველოს განათლების კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შემდგომ გაღრმავება-გაძლიერებას. ეს, უდაოდ, მისასალმებელია, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე. მათი წარმატებით ჩატარებისათვის სასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს კი დაკავშირებულია დიდ თანხებთან, რომელთა გაღება ჩვენს პირობებში მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. თუ სახელმწიფოს დახმარებით ასეთი ბაზა შეიქმნება, მაშინ უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ბუნებრივია, კიდეც უნდა მოეთხოვოთ წლიური სამეცნიერო თემების შესრულება. ამიტომ კონცეფციაში უნდა იდოს მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობას.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ბაკალავრის დიპლომის მინიჭების უფლება აქვს იმ უნივერსიტეტს, რომელიც ამზადებს ორმოცი სხვადასხვა დარგის სპეციალისტს. ეს მოთხოვნა მეტისმეტად მეჩვენება, ვთელი რომ, ბაკალავრის მომზადების უფლება უნდა მიეცეს იმ უნივერსიტეტებსაც, რომლებიც არანაკლებ ოცი სხვადასხვა დარგის სპეციალისტს ამზადებენ. რაც შეეხება უნივერსიტეტებში მაგისტრატურის გახსნის პირობებს, ისინი, ჩემი აზრით, იმდენად მძიმეა, რომ საქართველოში მაგისტრატურის მქონე უნივერსიტეტების რიცხვი ძალზე უმნიშვნელო იქნება. მაგისტრატურის გახსნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ, ალბათ, შეძლებენ ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტები და, საეარაუდოდ, აგრარული უნივერსიტეტი. კონცეფციაში ჩადებული პირობებიდან გამომდინარე, მაგისტრატურა არ ექნება იმ უნივერსტეტებს, რომლებიც ფუნქციონირებენ აფხაზეთის, აჭარისა და სამაჩაბლოს რეგიონებში. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები.

განათლების კონცეფციაში უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეების სურვილი — მიიღონ განათლება საქართველოში. უპირველესად, მე მხედველობაში მყავს ის ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და არ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კონცეფციაში მართებულად არის აღნიშნული და დაეას არ იწვევს, რომ სწავლების ენა უნდა იყოს ქართული, მაგრამ ისიც

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში სწავლების ენა ქართულთან ერთად სხვაც უნდა იყოს. მაგ: აფხაზეთში – აფხაზური, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს სხვადასხვა ხალხებს შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ საქართველოს განათლების კონცეფციის პროექტი შედგენილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ითვალისწინებს მოწინავე ქართული, ევროპისა და ამერიკის პედაგოგიური აზროვნების თანამედროვე მიღწევებს. განათლების კონცეფცია შედგენილია ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით. მისი ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს ქართული განათლებისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურად მონაწილეობდა განსახილველი კონცეფციის შემუშავებაში. ამ საქმეში უნდა აღინიშნოს პროფესორ რისმაგ გორდეზიანის პირადი წვლილი.

პარმენ მარგველაშვილი *(თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი)*

დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთი ღრმადშინაარსიანი, აკადემიური სემინარის ორგანიზებისათვის. უნივერსიტეტის კედლებს სწორედ ასეთი სამეცნიერო თავყრილობა შვენის.

დღევანდელი სხდომა იქნებ უფრო ემოციურია ვიდრე სემინარის წინა დღეები იყო, მაგრამ ესეც გასაგებია, რადგან დღეს გამოდიან სემინარის ის მონაწილენი, რომლებიც თვითონ, თავისი ხელებით ქმნიან და ახორციელებენ საგანმანათლებლო რეფორმას საქართველოში.

მე ერთი ზოგადი მოსაზრებით მინდა გამოსვლა დავიწყო – ცნებას „განათლების სისტემა“ ორი მხარე აქვს – ერთი მხრივ

განათლების სისტემა, განაპირობებს და პასუხს აგებს სახელმწიფოში წერა-კითხვისა და გარკვეულ დისციპლინებში, რაღაც მოცულობით, ცოდნისა და უნარ-ჩვევების დარნეგვასა და გავრცელებაზე, სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელ პროფესიონალთა მომზადებასა და მსგავსი მიზნების განხორციელებაზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, მას აქვს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციაც – განათლების სისტემა არის ის ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, რითაც მმართველი ორგანო ნერგავს ფასეულობათა გარკვეულ სისტემას და აყალიბებს გარკვეულ სოციალურ პრიორიტეტებს, სოციალური ცხოვრების გარკვეულ წესს. ეს აღიარებული დებულებაა და დამეთანხმებით, რომ საბჭოთა განათლების სისტემა კარგად ახორციელებდა სახელმწიფო დაკვეთას ორივე ასპექტით. ახლა, როცა დაინგრა საბჭოთა სახელმწიფო, დაინგრა სათანადო განათლების სისტემაც. ყოველ შემთხვევაში სახეზეა სოციალური ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ფასეულობათა ძველი სისტემის მსხვრევა. ახლა, პირველყოველისა ფასეულობათა სისტემის ახალი სკალა არის საჭირო.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს სახელმწიფო არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს არც სახელმწიფოებრივ ფასეულობათა სკალა და არც გარკვეულ ფასეულობათა სკალაზე ორიენტირებული ის საგანმანთლებლო სისტემა, რომლის დამკვიდრებასაც იგი შეეცდებოდა. არადა ყველა საქმეს, და მით უფრო განათლების სისტემის რეფორმას სჭირდება, ერთის მხრივ, დაფინანსება, და მეორეს მხრივ, მკაფიო მსოფლმხედველობრივი ბაზა. დღეს კი საქართველოში, როგორც ცნობილია, კონტიტუციაც კი არა გვაქვს.

როგორ მოვიქცეთ? ველოდოთ, როდის ჩამოყალიბდება სახელმწიფო, როდის მოგვეცემა ფინანსები და ა. შ.?

საგანმანათლებლო საქმე ლოდინს ვერ ითმენს, ამიტომ მე მომხრე ვარ იმისა, რომ ყოველდღიურად ინტენსიურად ვიმუშაოთ და ვაკეთოთ საქმე ჩვენი შესაძლებლობების ფარგლე-

ბში. ყოველდღიური კონკრეტული საქმის კეთება არის ჩვენი გადამრჩენი და, შესაძლოა, ამ გარდამავალ პერიოდში, თანდათანობით, ამ გზით გამოიკვეთოს და ჩამოყალიბდეს მომავალი სახელმწიფოსათვის მისაღები ერთიანი ფასეულობათა სკალაც.

ახლა რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, თუ ჩემს პიროვნებას, რომელთანაც დაკავშირებულია „დანაშაული". ეს „იარლიყი" მომდევს 1989 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოურ წყობაში მე, როგორც დეპუტატმა, დავიწყე ბრძოლა ფასიანი სწავლების დამკვიდრებისათვის. ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო მაშინ საშუალება მომეცა დავრწმუნებულიყავი, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაიშლებოდა, რომ საქართველოს აუცილებლად „თავს დაატყდებოდა" დამოუკიდებლობა და რომ ეს იყო გარდუვალი. ასეთი ცოდნისა და განცდის ფონზე კი სასწრაფოდ იყო საძიებელი გზები, თუ რა ვქნათ დამოუკიდებლობის პირობებში, როგორ ვუშველოთ, თუნდაც ქვეყნის განათლების სისტემას? საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ხომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა უფასო უმაღლეს განათლებას არსებული სპეციალობების მთელი სპექტრით? დღეს უკვე ყველასათვის ნათელია: სახელმწიფოს არ შეუძლია არათუ უმაღლესი, არამედ საშუალო განათლების დაფინანსებაც კი. მაშინ კი მე დაჟინებით ვცდილობდი საზოგადოებაში ფასიანი განათლებისადმი გარკვეული დადებითი დამოკიდებულების დამკვიდრებას, რაც გარდამავალი პერიოდის პროცესების უმტკივნეულოდ და ნორმალურად გადატანის საშუალებას მოგვცემდა.

1990 წლის 3 სექტემბერს აქ, ამ დარბაზში შედგა თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მღელვარე სხდომა. მოხდა ის, რომ სოციალურმა დაკვეთამ, ოპოზიციურ პოლიტიკურ თუ სხვა ძალებთან ერთად, სასწორი ფასიანი სწავლების სასარგებლოდ გადახარა და ხმების არცთუ დიდი უმრავლესობით, მაგრამ მაინც, ფარული კენჭისყრის შედეგად დიდმა საბჭომ დაუშვა სახელმწიფო უნივერსიტეტში

ფასიანი სწავლება. იქვე მკაფიოდ და მკაცრად იყო მითითებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახელმწიფო სექტორისა და ფასიანი სექტორის ერთმანეთში აღრევა – ისინი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი, როგორც სამართლებრივი, ასევე – ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა კუთხით. ფასიანი და სახელმწიფო სექტორის გამიჯვნის სულისკვეთება გაჰყვა შემდეგ უკვე შემდგომ კანონშემოქმედებით საქმიანობასაც. მე ვთვლი, რომ სოციალისტური თუ ბოლშევიკური ცნობიერების მქონე საზოგადოებისათვის ეს არ იყო ცუდი, რადგან, თუ საზოგადოება გადადის საბაზრო ეკონომიკაზე, მან მკაფიოდ უნდა გამიჯნოს საკუთრების სხვადასხვა ფორმა, შეეცადოს გამიჯნოს და გამოკვეთოს სახელმწიფოებრივი საკუთრება და სხვა სახის საკუთრება. დღეს, ფასეულობათა ცვლილების ფონზე, მე ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოებისთვის ეს აუცილებელია, რადგან, მაგალითად, კერძო მესაკუთრე დღემდე ჩვენთან გაიგივებულია იმასთან ვინც სახელმწიფოს რაიმეს პარავს, ანუ ქურდთან.

როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა „ეროვნული ხელისუფლება", მაშინ იმ პოლიტიკურმა ძალებმაც კი, რომლებმაც ადრე მხარი დაუჭირეს ფასიან სწავლებას, ამჯერად იგი დანაშაულად გამოაცხადეს. დიდხანს ვიფიქრე ამ საკითხის ირგვლივ, წერილითაც გამოვეხმაურე ამ ბრალდებას პრესაში და ერთადერთი ახსნა ჩამომიყალიბდა – ფასიანი სწავლების დაშვებით ხელისუფლებამ დაკარგა მაროვის მძლავრი ბერკეტი, რადგან ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელი შეიქნა ცენტრალიზებული წესით ახალგაზრდობის, საზოგადოების ყველაზე მოძრავი ფენის მართვა. ჩემი აზრით, ეს იყო ის იდეოლოგიური საფუძველი, რის გამოც ფასიანი სწავლება დანაშაულად გამოცხადდა. მაგრამ მიუხედავად ასეთი იდეოლოგიური ფონისა, სწორედ „ეროვნულმა პარლამენტმა" მიიღო კანონი ფასიანი სწავლების შესახებ და 1991 წლის 14 ივნისის სხდომაზე კონსტიტუციაშიც შეიტანა სათანადო ცვლილება. ეს იყო პრინციპული ნაბიჯი –

კომუნისტური წყობის შემდეგ დაშვებული იქნა ის თავისუფლება, რაც აკრძალული იყო წინა კონსტიტუციით... მტკიცება იმისა, რომ ეს იყო უდიდესი შეცდომა, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით მართებული არაა! ჩვენ ვიმკით სოციალისტური ცხოვრების წესის შედეგებს. არც ერთი დიპლომირებული ფასიან სასწავლებელს ჯერ არ გამოუშვია. ჯერ ჩვენ ვიმკით, იმ ცნობიერების შედეგს, რომელიც ჩამოაყალიბა ბოლშევიკურმა წყობამ – საბჭოური საგანმანათლებლო სისტემა, ცოდნის მიცემის, პროფესიონალის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, საუკეთესო და ბრწყინვალე იყო. მაგრამ ის იყო სისტემა, რომელიც ზრდიდა მონას და ქურდს. ცნობიერება ქართველთა უმრალესობისა, მთელი საზოგადოებისა, დღეს მონური და ქურდულია. და ეს არის შედეგი ძველი განათლების სისტემის, არა როგორც ცოდნის მიღების, არამედ როგორც ცნობიერების, ზნეობისა და მორალის ჩამოყალიბების იარაღისა.

ჩვენ აუცილებლად უნდა დაეუშვათ და დაეკანონოთ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია“ მიღებული. დღეს ჩვენ, საბედნიეროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვართ. და თუკი მისი წევრი ვართ, უნდა ვაღიაროთ და ცხოვრებაში გავატაროთ კიდეც მისი ყველა დოკუმენტი. დოკუმენტებში კი წერია – სახელმწიფოს არა აქვს სწავლასა და სწავლებაში ადამიანის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის უფლება. რა თქმა უნდა სახელმწიფოს შეუძლია, და ესეც პირდაპირ არის მითითებული, რომ შემოიღოს მინიმალური შეზღუდვები საგანმანათლებლო სტანდარტების თვალსაზრისით, მაგრამ არჩევანი და თავისუფლება არის პიროვნებისა და თუ ჩვენ ვეძებთ და ვირჩევთ პრინციპებს, რომელთაც უნდა მივსდიოთ მომავალში – პიროვნების თავისუფლება უნდა იყოს უპირველესი პრინციპი. საქართველოს თუ რაიმე ჭირი სჭირს დღეს, ფასიანი სწავლების გამო კი არა, არასწორი აღზრდის გამო სჭირს. ფასიანი სწავლების დღევანდელი სახეც შედეგია

იმისა, რაც ჩვენ აღზრდით დავთესეთ, ეს არის ჩვენი მონური და ქურდული ცნობიერების შედეგი.

ამას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არა აკრძალვით!

როგორი ფორმით, როგორი სახით ჩამოყალიბდეს ფასიანი სწავლება, აი, პრინციპული და აუცილებელი საკითხი: საწყენია, როცა გესმის მტკიცება იმისა, რომ არავითარი იდეა და სიკეთე არ დევს ფასიანი სწავლების შემოღებაში. არ არის ეს მართალი. ასეთ ცუდ დღეში რომ ჩავვარდით, არის სახელმწიფოს არარსებობის ბრალი და არა ფასიანი სწავლებისა. ვის ვაბრალებთ, მაგალითად, რომ გახსნილია 300-მდე უმაღლესი სასწავლებელი – გლეხს, მუშას, უბრალო მოქალაქეს? ეს ხომ სახელმწიფოს პრეროგატივაა. კანონი არსებობს და ის უნდა მოქმედებდეს. სახელმწიფო ხელისუფლება იმისათვისაა, რომ კანონი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

ახლა კი მოკლედ თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის შესახებ.

1991 წლის 14 ივნისის დადგენილებაში ფასიანი სწავლების შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფასიანი სასწავლებელი დამოუკიდებელი იურიდიული პირია და სახელმწიფო სასწავლებლის უშუალო დაქვემდებარებაში არ უნდა არსებობდეს ფასიანი სწავლების განყოფილება. უკვე 19 ივნისს გაფორმდა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დაფუძნების ხელშეკრულება, იგი ფასიანი განყოფილების ბაზაზე შეიქმნა. დამფუძნებელი ამ სასწავლებლისა გახლავთ სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფიზიკური პირი. დაფუძნების ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ სახელწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს დამოუკიდებელ უნივერსიტეტზე, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, და მართლაც, დამოუკიდებელი უნივერსიტეტი ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზებს იყენებს, აქ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიან. ჩვენ გვსურდა, რომ დამოუკიდებელ უნივერ-

სიტეტში სწავლება არ ყოფილიყო უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს იყო და არის ჩვენი ამოცანა.

ფასიანი სასწავლებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი – ეს ნიგვანია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დადებითი მიმართულებით ზემოქმედების იმ მძლავრ საშუალებად, რომელიც ბმკვიდრებს ახალ სამართლებრივ ურთიერთობებს, როგორც სტუდენტსა და სასწავლებელს, ისე სასწავლებელსა და სახელმწიფოს შორის. ურთიერთობის ახალი ფორმების დამკვიდრება კი, ჩემი აზრით, ძალზე სასურველია. სახელმწიფოსთან ჩვენი დამოკიდებულების ნიმუშად მოგახსენებთ, რომ დამოუკიდებელმა უნივერსიტეტმა იმთავითვე გადაწყვიტა ყოველი სასესიო გამოცდის კომისიური წესით ჩატარება – ყოველი სტუდენტის საგამოცდო შეფასებას ხელს უნდა აწერდეს სამი გამომცდელი – თვით ლექტორი, ფაკულტეტის ან სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენელი და დამკვეთი. ასე, რომ სახელმწიფოს (დამკვეთს), თუ მას ამის სურვილი აქვს, შეუძლია შეამოწმოს სასწავლებლის დონე. კომპეტენცია სასწავლებლისა. ყველა შემთხვევაში ფინანსურად ჩვენი სასწავლებელი თვითონ უსრულველყოფს ამ საქმიანობას.

ერთსაც აღვნიშნავ კმაყოფილებით, რომ პრაქტიკულად ყველა უცხოელი ექსპერტის გამოსვლაში გაისმა – სამედიცინო და იურიდიული განათლება მიიღება ბაკალავრის ხარისხის შემდეგ, ჩემი აზრით, საქართველოს სინამდვილეს ძალზე წაადგება ეს გზა – საკმარისია სახელმწიფომ შემოიღოს შესაღუდვა და სამედიცინო და იურიდიულ სპეციალობაზე შესვლის ნებართვა მისცეს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხის შემდეგ, რომ მოიხსნება უზარმაზარი პრობლემები და დღეს არსებული უარყოფითი შედეგები, რაც ამ სპეციალობებზე უმაღლეს განათლებას ახლავს საქართველოში...

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

პეტერ ჰოშელე

გოეთეს ინსტიტუტის საქმიანობა

გოეთეს ინსტიტუტის სახელწოდებაა: საზღვარგარეთ გერმანულ ენაზე ზრუნვისა და ინტერნაციონალური კულტურული ურთიერთსაქმიანობის ხელშემწყობი რეგისტრირებული დამოუკიდებელი საზოგადოება (რ.ს.).

ეს სათაური მოიცავს ორ სამუშაო სფეროს. მესამე კი არის ინფორმაცია გერმანული ენის და გერმანიის შესახებ. იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენ ორ სამუშაო სფეროსთან, რომ მისი სათაურში მოხსენიება არ იყო საჭირო.

რ.ს. კი ნიშნავს, რომ ეს ინსტიტუტი არ არის სახელმწიფო, არამედ კერძო "რეგისტრირებული საზოგადოება", რომელიც არ ემსახურება სახელმწიფოს და ღია არის სხვადასხვა გამოხატვისთვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბონში გოეთეს ინსტიტუტს დაავალა საზღვარგარეთ კულტურული სამუშაოების გაწევა, რათა ეს არ ყოფილიყო მხოლოდ პროპაგანდა, როგორც ნაციონალ-სოციალისტების დროს, არამედ გამოძახილი, რომელიც კრიტიკულად დაგვაკავშირებდა ყოველდღიურობასთან და პრობლემებს თავის სახელს დაარქმევდა. ცოტა რამ იმ სამი სფეროს შესახებ, რომლებიც ჩვენს მუშაობას მოიცავენ.

1. საზღვარგარეთ გერმანული ენისათვის ზრუნვა

ჩვენ მსოფლიოს თითქმის ყველა 145 გოეთეს ინსტიტუტში გვაქვს გერმანული ენის შემსწავლელი კურსები. ასეთივე კურსები გვაქვს დაგეგმილი თბილისშიც. 1/V სექტემბერში დაიწყება პირველი მოსამზადებელი კურსები.

ჩვენ არ გვსურს გერმანული ენის მასწავლებლებისათვის კონკურენციის გაწევა, არამედ ჩვენ გვინდა მათ ხელი შეუ-

წყოთ. ჩვენ შეგვიძლია, თუ მათ სურვილი ექნებათ, მეთოდური რჩევები მივცეთ ან მეთოდური საკითხების შესახებ მათთან დისკუსია გვქონდეს. შეეცდებით მივაწოდოთ მათ სასწავლო მასალები და მივეხმაროთ საკუთარი მეთოდების შემუშავებაში. გოეთეს ინსტიტუტს შეუძლია აგრეთვე გერმანული ენის მასწავლებლებს გამოუყოს სტიპენდიები, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სემინარებში, ან ენის შემსწავლელ კურსებში. აგრეთვე შესაძლებელია გერმანული ენის მასწავლებლებისათვის საერთაშორისო შეხვედრების მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება საინტერესო საკითხების შესახებ დისკუსიების ჩატარება.

2. ინფორმაცია გერმანიის შესახებ

გოეთეს ინსტიტუტში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება გერმანიის შესახებ. რასაკვირველია, თანამშრომლებს არ შეუძლიათ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ისინი მ'სად არიან დასახმარებლად. დიდი ხანი არ არის, რაც გოეთეს ინსტიტუტმა თბილისში ფუნქციონირება დაიწყო. იგი დაარსდა 1995 წლის 1 აგვისტოს. ჯერჯერობით შენობა არ გააჩნია. როდესაც შენობა გეექნება და მასში მუშაობას შეეძლებთ, დაიწყება ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება, რომელმაც 12 000 წიგნი უნდა მოიცვას. ამ ბიბლიოთეკას შეეძლება ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ გაეხდებით მეთოდგაერთიანების წევრები, რომელიც ძალიან დაგვეხმარება მუშაობაში.

ამ სფეროში შეიძლება აგრეთვე დაგვეხმაროთ პირები, რომლებიც სწავლობდნენ გერმანიაში ან იქ რომელიმე დარგში მიიღეს კვალიფიკაცია. ბევრ ქვეყანაში ასეთი პირები ერთიანდებიან ორგანიზაციებად და რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ასეთ ჯგუფებთან ერთად ჩავატაროთ სემინარები, ან სხვა რაიმე ღონისძიებები, რათა გერმანიასთან კავშირი არ გაწყდეს.

თბილისში ჯერ ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს, თუმცა არის დაინტერესება ამ მიმართულებით. გოეთეს ინსტიტუტი მზად არის დასახმარებლად.

3. საერთაშორისო კულტურული გაცვლებისათვის ხელის შეწყობა

ამ დარგში ვაპირებთ კულტურული ღონისძიებების ჩატარებას. ეს სფერო მოიცავს ყველაფერს, რაც კულტურას ეხება (ამ სიტყვის ფართო გაგებით).

ჩვენი პროგრამები არ შემოიფარგლება მხოლოდ მუსიკით, თეატრით, ცეკვით, მხატვრობით, არამედ იგი ეხება საზოგადოების განვითარებას, გარე სამყაროს და სხვა პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრიობასთან.

ამ სამუშაო სფეროში, როგორც სხვა სფეროებში, ჩვენ ეხელმძღვანელობთ ორი პრინციპით:

1. ჩვენ გვსურს მხოლოდ პარტნიორის მოთხოვნილებით ვიხელმძღვანელოთ. არ გვსურს ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც მხოლოდ ჩვენს სურვილებს მოიცავენ.

ჩვენ დისკუსიებს ჩავატარებთ საქართველოში ქართველებთან ერთად. გავიზიარებთ მათ სურვილებს და შეძლებისამებრ დავეხმარებით. გოეთეს ინსტიტუტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიმუშავებს რაიმე პროექტს, თუ ქართველი პარტნიორი გეყოლება.

2. ამჟამად ჩვენ ისეთ პროექტს ვანიჭებთ უპირატესობას, რომელსაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამჟამად საქართველო იმყოფება საზოგადოებრივი გარდამქნის როულ ფაზაში. ჩვენ გერმანელებიც ასეთსავე ფაზაში ვცხოვრობთ. ჩვენი პრობლემბი განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ჩვენც ბევრი სიძნელეები გაგვაჩნია. თუ ჩვენ ერთმანეთს გავუზიარებთ აზრებს, ორივე მხარის გამოცდილების გამოყენებით წარმატების მიღწევას შეძლებთ. სემინარი თემაზე

„საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში“ ამის კარგი მაგალითია. საქართველოს სურს ერთი პოლიტიკური ფორმაციიდან მეორეში გარდამავალ ფაზაში უნივერსიტეტის განათლების სისტემაში ცვლილებების შეტანა.

გერმანიამ ბოლო ასწლეულში განაკითარა უნივერსიტეტის მოდელი, რომელიც ბევრი ქვეყნისათვის სამაგალითოა, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამჟამად გერმანიის უნივერსიტეტებს აქვთ პრობლემები და სურთ მათი გადაჭრა, ისევე როგორც საქართველოს. ამიტომ შესაძლებელია ამ საკითხებზე ორივე მხარის მონაწილეობით გამართულმა დისკუსიამ გამოსაველის მოძებნა გაგვიადვილოს.

რაც უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება, მით უფრო გაგვიადვილდება მუშაობა. ამიტომაც ამ სემინარისათვის გარდა გერმანიისა ჩამოვიყვანეთ ექსპერტები ინგლისიდან, აშშ-დან და საფრანგეთიდან, რომლებმაც გაგვაცნეს თავიანთი სისტემები. ეს ღონისძიება ნამდვილად საერთაშორისო აზრთა გაცვლა იყო.

დასასრულს მოკლე ისტორიული მიმოხილვა:

გოეთეს ინსტიტუტი დაარსდა ომის შემდეგ 1952 წელს.

იმ დროს თანამშრომლები უცხოელებისათვის გერმანული ენის შემსწავლელ კურსებს ატარებდნენ გერმანიის პატარა ქალაქებში. ამჟამად გერმანიაში არის 16 ინსტიტუტი, რომლებშიც მაგ. 1993 წელს 24 000 უცხოელმა გაიარა გერმანული ენის ინტენსიური კურსი. გერმანიაში გოეთეს ინსტიტუტი თავის თავს თვითონ აფინანსებს საკურსო გადასახადების მეშვეობით.

საზღვარგარეთ 1956 წლამდე იყო 11 ინსტიტუტი. 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში ინსტიტუტების რიცხვი სწრაფად გაიზარდა და 1964 წელს 89-ს მიაღწია. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მათი რიცხვი გაიზარდა და 1989 წელს 14 ახალი ინსტიტუტი დაარსდა.

საზღვარგარეთ გოეთეს ინსტიტუტი იღებს საკურსო გადასახადებს, მაგრამ მისი დანახარჯების უმეტეს ნაწილს თავის თავზე იღებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბონში.

გოეთეს ინსტიტუტმა თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში ბევრი პოზიტიური გამოცდილება შეიძინა. თბილისის უნივერსიტეტთან ერთობლივი მუშაობა მიეკუთვნება ასეთ პოზიტიურ გამოცდილებას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კიდევ ბევრ ღონისძიებას ჩავატარებთ უნივერსიტეტთან ერთად, რომლებიც ჩვენი ხალხებისათვის გამოსადეგი იქნება და რომელთა მეშვეობითაც ხალხთა შორის მეგობრული დამოკიდებულება განვითარდება.

თარგმანი ნათია მიქელაძისა

საერთაშორისო სემინარის: „საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში“

რეკომენდაციები

1995 წლის 8-12 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისში გოეთეს ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობით ჩატარებულ სემინარზე მოსმენილი მოხსენებებისა და დისკუსიის გათვალისწინებით სემინარის მონაწილეები საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების სისტემის სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ:

1. გარკვეით უნდა ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის სტატუსის განმსაზღვრელი უმთავრესი ნიშნები: ა) უნივერსიტეტი არის მსხვილი სასწავლო და სამეცნიერო მულტიდისციპლინარული ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების ძირითად დარგებში, ბ) უნივერსიტეტები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველნი ამზადებენ სპეციალისტებს ტრადიციული საუნივერსიტეტო განათლებისათვის დამახასიათებელ მეცნიერების ძირითად დარგებში (ან მათ უმეტესობაში), მეორენი უპირატესად რომელიმე მნიშვნელოვანი დარგის ძირითად სპეციალობებში. სასწავლებელთა პირველი ჯგუფი აღინიშნება უბრალოდ ტერმინით უნივერსიტეტი, მეორე ჯგუფი – უნივერსიტეტი (დარგის მითითებით), გ) უნივერსიტეტი ანიჭებს ორსაფეხურ აკადემიურ ხარისხს (ბაკალავრი, მაგისტრი) და, აგრეთვე,

აქეს ორიეე სამეცნიერო ხარისხის (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მინიჭების უფლება (ან პოტენციური შესაძლებლობა) მასში წარმოდგენილი სპეციალობების მნიშვნელოვან ნაწილში, დ) უნივერსიტეტში ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადების დონეზე სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს 2500-3000-ზე ნაკლები, ე) უნიეერსიტეტში ბაკალავრიატის ეტაპზე მომზადება უნდა ხდებოდეს არანაკლებ 40, მაგისტრისა — არანაკლებ 30, ხოლო მეცნიერების კანდიდატისა — არანაკლებ 20 სპეციალობაში, დარგობრივად ორიენტირებულ უნივერსიტეტში ეს მონაცემები რამდენადმე ნაკლები შეიძლება იყოს: 20, 10, 5; ვ) უნივერსიტეტში თითოეული სპეციალობა წარმოდგენილი უნდა იყოს აქ მუდმივად მომუშავე არანაკლებ ერთი მეცნიერებათა დოქტორითა და ორი მეცნიერებათა კანდიდატით, ზ) უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სტანდარტებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ნაგებობები, სააუდიტორიო ფონდი, ცენტრალური და დარგობრივი ბიბლიოთეკები და ა. შ.).

2. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ითვალისწინებენ შემდეგ პარამეტრებს: ა) ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადების დროის ხანგრძლივობა (ჩვეულებრივ, 4 და 2 წელი, ცალკეულ დარგში მომზადების ხანგრძლივობა, შესაძლოა, გაიზარდოს), ბ) ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადებისა და შემოწმების ფორმები და მათ სარეალიზაციოდ საჭირო დროის მოცულობა, გ) მომზადების ძირითადი ფორმები და მათი ჩატარების უფლების მქონე სპეციალისტთა კატეგორიები, დ) სრული სასწავლო პროცესის გასაველელად აუცილებელი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დაახლოებითი ოდენობა, ე) ზოგადსაუნიეერსიტეტო, ზოგადსაფაკულტეტო (ზოგადდარგობრივი) და სპეციალური კურსების შინაარსი და თანაფარდობა ბაკალავრთა და მაგისტრთა მომზადების დო-

ნეებზე, ე) სხვადასხვა დონის სააუდიტორიო საათების დაახლოებითი თანაფარდობა.

3. სამეცნიერო ხარისხების აღმნიშვნელ ტერმინთა, მეცნიერების დარგებისა და სპეციალობების ნომენკლატურის შესაბამისობაში მოყვანას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულ ტრადიციასთან.

4. უნივერსიტეტების აკრედიტაციისა და ატესტაციის დახვეწილი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ოფიციალურ სამთავრობო სტრექტურებთან ერთად გულისხმობს ავტორიტეტური საზოგადოებრივი სტრუქტურების, როგორც განათლების (კერძოდ, უმაღლესი განათლების) სფეროში ხელისუფლების მრჩეველის, შექმნას.

5. სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის რესპუბლიკური თუ მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ კონტინგენტს ზემოთ, რესპუბლიკაში ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციამდე, უფლების მიცემას, მიიღონ თავიანთი რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით სტუდენტები ე. წ. ფასიან სექტორზე, განკარგონ ეს და სხვა არასახელმწიფო შემოსავლები თავიანთი შეხედულებისამებრ თანამშრომელთა სოციალური მდგომარეობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, სახელმძღვანელობის გამოსაცემად და ა. შ.

6. ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტების გახსნის პრაქტიკის მაქსიმალურ შეზღუდვას. საჭიროების შემთხვევაში უკვე არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილიალების გახსნას სხვადასხვა რეგიონში.

მოხსენებებისა და რეკომენდაციების გარშემო სემინარზე გაიმართა ხანგრძლივი და საინტერესო დისკუსია. ჩვენ შევეცდებით მოკლედ შეეაჯამოთ დისკუსიის ის ნაწილი, რომელიც უშუალო კავშირშია საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების რეფორმასთან. რეზიუმირებისას გამოვეყოფთ პრინციპულ საკითხებს და მათ თემატურად დავაჯგუფებთ. ყველა აქ წარმოდგენილი კითხვა ან პასუხი სემინარის მონაწილეთა აზრს ასახავს. მათ, ისევე როგორც რეკომენდაციებს, არ აქვთ საკანონმდებლო ხასიათი.

უნივერსიტეტის დეფინიცია

1. რამდენად გამართლებულია უნივერსიტეტების კლასიფიკაცია მათი ორიენტაციის მიხედვით?

მსოფლიოში მიღებულია უნივერსიტეტების ორი ჯგუფის გამოყოფა: კლასიკური და ტექნიკური. რამდენადაც საქართველოში შეიქმნა განსაკუთრებული მდგომარეობა და უნივერსიტეტის სახელი დაუკანონდა მრავალ ათეულ სულ სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებელს, მიზანშეწონილია უნივერსიტეტი ეწოდოს თავისი სასწავლო პროგრამითა და ფუნქციით ყველა ძირითად დარგზე ორიენტირებულ უმაღლეს სასწავლებელს, ხოლო უნივერსიტეტი დარგზე ორიენტაციის მითითებით – დანარჩენებს.

2. უნივერსიტეტის ფუნქციონირების კრიტერიუმების დადგენისას ხომ არ არის საჭირო თავი შევიკავოთ რაოდენობრივი ორიენტირებისაგან?

რაოდენობრივი კრიტერიუმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში დღეს შექმნილი ქაოტური ვითარების პირობებში შესაძლებელი იქნება თითქმის ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა მოითხოვოს სახელწოდება უნივერსიტეტი, რაც თავად საუნივერსიტეტო განათლების იდეის სრულ დევალვაციას გამოიწვევს. რეკომენდაციებში შემოთავაზებული რაოდენობრივი კრიტერიუმები საკმაოდ ლმობიერია და, თუკი მათ ვერ დააკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებელი, მას არ შეიძლება ერქვას უნივერსიტეტი.

3. რა ბედი შეიძლება ეწიოთ უკვე არსებულ იმ უნივერსიტეტებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ რეკომენდაციების კრიტერიუმებს?

მათ ან სახელწოდება უნდა შეიცვალონ, ან რამდენიმე მცირე უნივერსიტეტი ერთ დიდ უმაღლეს სასწავლებლად უნდა გაერთიანდეს, რომელიც დააკმაყოფილებს რეკომენდაციების კრიტერიუმებს. დღეს საქართველოში არ არის დარჩენილი თითქმის არც ერთი ქალაქი, რომელშიც რამდენიმე უნივერსიტეტი არ ფუნქციონირებდეს, თბილისში კი მარტო ჭავჭავაძის პროსპექტზეა განლაგებული არაერთი უნივერსიტეტი. ამგვარი ვითარება არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურები

1. რამდენად შესაძლებელია ბაკალავრიატში სწავლება ოთხ წელიწადზე მეტს გაგრძელდეს?

თუკი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს აუცილებელია, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ამგვარ დათმობაზე წასვლა. ეს განსაკუთრებით სამედიცინო და სამართალმცოდნეობის სპეციალობებს ეხება.

2. რამდენად აუცილებელია ყველა საუნივერსიტეტო სპეციალობისათვის ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა?

თუკი ქვეყანა მიიღებს უმაღლესი განათლების ორსაფეხურიან სისტემას, მაშინ იგი საყოველთაო უნდა გახდეს. თუკი რომელიმე სპეციალობის წარმომადგენლები დაასაბუთებენ მათთვის ამ სისტემის მიუღებლობას, მათი არგუმენტაცია ცალკე უნდა განვიხილოთ. ამგვარი ვითარების წარმოქმნის რეალური საფუძველი არ ჩანს. ის ქვეყნები, სადაც ბაკალავრებისა და მაგისტრების ხარისხებს ანიჭებენ, ამ პრინციპს იცავენ ყველა საუნივერსიტეტო სპეციალობის მიმართ.

3. როგორ უნდა გადაწყვიტონ ხელოვნების უმაღლესმა სასწავლებლებმა ორსაფეხურიანი სწავლების პრობლემა?

ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც სტატუსით უნივერსიტეტებს გაუთანაბრდებიან, ასევე უნდა იცავდნენ ორსაფეხურიანი სწავლების პრინციპს. ბაკალავრიატი მათთან ძირითადად საშემსრულებლო ხელოვნების დაუფლებას უნდა მოიცავდეს, ხოლო მაგისტრატურა სამეცნიერო მუშაობაში ჩასართველად მომზადებას. ამ სასწავლებლებს შეიძლება მოუხდეთ, განსაკუთრებით მაგისტრის ხარისხის მინიჭებისას, თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან, რაც სათანადო ხელშეკრულებით იქნება გაფორმებული.

4. რას გულისხმობს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე?

იმ ზოგად კრიტერიუმთა ერთიანობას საუნივერსიტეტო განათლების ყველა პარამეტრით, რომელთა დაცვის გარეშე სახელმწიფო არ ცნობს უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიჭებულ

აკადემიურ ხარისხს და გაცემულ დიპლომს. სტანდარტებმა უნდა განსაზღვრონ საბაზისო მომზადების დროის მოცულობის ძირითადი მოთხოვნილებებით დაწესებული, სხვადასხვა დონის სააუდიტორიო საათების დაახლოებითი თანაფარდობით დამთავრებული ყველა აუცილებელი პირობა, რის გარეშეც სპეციალისტს ვერ მიენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი. სტანდარტები არის ის ბერკეტი სახელმწიფოს ხელში, რომლითაც მას შეუძლია უზრუნველჰყოს საუნივერსიტეტო განათლების დონის მეტნაკლები სითანაბრე სახელმწიფოში.

5. შესაძლებელია თუ არა, რომ ზოგიერთ სპეციალობაში უნივერსიტეტში იყოს მხოლოდ ბაკალავრიატი და არ იყოს მაგისტრატურა?

შესაძლებელია, მაგრამ სასურველია, რომ სპეციალობის შეიმოღება ამა თუ იმ უნივერსიტეტში თავიდანვე გულისხმობდეს უმაღლესი სასწავლებლის შესაძლებლობას მიანიჭოს ამ სპეციალობაში კურსდამთავრებულს ორივე აკადემიური ხარისხი.

6. რა წესით შეიძლება განაგრძოს სწავლა მაგისტრატურაში ახალგაზრდამ, თუკი მან ისეთი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, რომელსაც მხოლოდ ბაკალავრიატი აქვს ან პირველი საფეხურის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა?

ყველას აქვს უფლება განაგრძოს სწავლა მაგისტრატურაში. ამისათვის საჭიროა მუშაობის ორი წლის სტაჟი, რეკომენდაციები და იმის დამადასტურებელი მონაცემები, რამ ბაკალავრი ამ ხნის განმავლობაში აგრძელებდა სერიოზულ მუშაობას თავისი დონის ასამაღლებლად, მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად. რაც შეეხება სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთ, ისინი მაგისტრატურაში ჩაირიცხებიან საკონკურსო გამოცდების გავლის შემდეგ, ისევე როგორც იმ უნივერსიტეტების ბაკალავრები, რომებსაც აქვთ მაგისტრატურა.

სამეცნიერო ხარისხების მინიჭება

1. რამდენად მიზანშეწონილია ორი სამეცნიერო ხარისხის და მათი ამჟამინდელი სახელწოდებების შენარჩუნება?

საქართველოში დამკვიდრებული ტრადიცია ორი სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა მიზანშეწონილი და გამართლებულია. რაც შეეხება ამ ხარისხთა სახელწოდებებს, უმჯობესია მათი შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიოს იმ ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან, სადაც ორ სამეცნიერო (პირველი და მეორე) ხარისხს ანიჭებენ.

დიპლომთა ურთიერთაღიარება

1. რა უფლებები აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ან კურსდამთავრებულს აშშ-ს ან დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად წასვლის შემთხვევაში, რამდენად გაეწევა იქ ანგარიში ჩვენს დიპლომს?

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა ტრადიცია არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში. ზოგიერთმა უნივერსიტეტმა შეიძლება არ ცნოს ჩვენი დიპლომი და ახალგაზრდას სწავლის თავიდან დაწყება მოუხდეს. ზოგიერთმა შეიძლება ჩვენი დიპლომი სწავლების ერთი, ორი ან მეტი წლის პროგრამას გაუთანაბროს და სტუდენტს საშუალება მისცეს ჩაირიცხოს II, III ან სულაც IV კურსზე. თუკი უნივერსიტეტს შორის დადებულია ხელშეკრულება, მაშინ მათ შეუძლიათ ერთმანეთის დიპლომთა სრულ ურთიერთცნობას მიაღწიონ. ამ შემთხვევაში ჩვენ ბაკალავრს შეეძლება საზღვარგარეთ პირდაპირ მაგისტრის ხარისხის, ხოლო მაგისტრს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად განაგრძოს სწავლა.

2. როგორ წყდება ჩვენთან მინიჭებული სამეცნიერო ხარისხების დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისა და დასავლეთის ქვეყნებში ცნობის საკითხი?

ამ შემთხვევაში ქვეყნებს შორის დადებული სახელშეკრულებო აქტი უნდა იყოს განმსაზღვრელი. როგორც წესი, დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ქვეყნები ცნობენ ერთმანეთის სამეცნიერო ხარისხებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ძირითადად საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემულ დიპლომებს ეხება, რადგან ჩვენთან სამეცნიერო ხარისხების მფლობელთა აბსოლუტურმა უმეტესობამ მეცნიერებათა კანდიდატის თუ დოქტორის ხარისხი ძველი სისტემის პირობებში მოიპოვა. რაც შეეხება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს, ისინი ამჟამად, არსებითად, არ ცნობენ ჩვენ დიპლომებს. ამ საკითხებზე აუცილებელია სერიოზული მოლაპარაკებების წარმოება.

სხვადასხვა

1. უნდა არსებობდეს თუ არა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული იმ თანამდებობების ნუსხა, რომლებიც ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხების მქონე სპეციალისტებს შეუძლიათ დაიკავონ?

სახელმწიფო ამგვარ ნუსხებს აუცილებლად უნდა ადგენდეს ყველა თანამდებობისათვის, რომლის ლეგალიზაცია სახელმწიფოს აღიარების გარეშე არ ხდება. უკვე ამ ეტაპზე შეიძლება მოხდეს იმასაც შეთანხმება, რომ ბაკალავრს შეუძლია დაიკავოს ყველა თანამდებობა, რომელიც არ მოითხოვს მაგისტრის ხარისხს. ხოლო მაგისტრის დიპლომი აუცილებელი უნდა იყოს გიმნაზიებისა და ლიცეუმების მასწავლებლებისათვის, სამეცნიერო ხარისხის მომზადებისა და დაცვისათვის, უმაღლეს სას-

წაელებელში პედაგოგიური თუ სამეცნიერო მუშაობის დაწყებისათვის.

2. ვის უნდა მიენდოს უმაღლესი განათლების სფეროში აკრედიტაციისა და ატესტაციის, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების საქმე?

ამისათვის სასურველია არსებობდეს (უმაღლესი) განათლების საბჭო, რომელიც პრეზიდენტის ძირითადი მრჩეველი იქნება საუნივერსიტეტო განათლების სფეროში. მისი რეკომენდაციები უნდა იყოს ძირითადი საფუძველი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ საუნივერსიტეტო განათლების სფეროში ყოველგვარი ლიცენზიების გაცემის, აკრედიტაციისა და ატესტაციისათვის. საბჭო უნდა შედგებოდეს შესაბამისი უმაღლესი სახელმწიფო მოხელეებისა (მინისტრები) და ცნობილი მეცნიერებისაგან, სულ დაახლოებით 20-25 წევრი.

3. უმაღლესი განათლების რეფორმის დროს საქართველოსათვის რომელ საუნივერსიტეტო სისტემაზე ორიენტაციაა უფრო გამართლებული – ამერიკულზე თუ ევროპულზე?

საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ქვეყნის გამოცდილება, რომლის წარმატებები განთლების სფეროში საყოველთაოდ არის აღიარებული. ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში, საუნივერსიტეტო განათლების სფეროში დამკვიდრებულ ყველა კარგ ტრადიციას. ძირითადად, ჩვენ ევროპულ საუნივერსიტეტო განათლების სისტემებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველო ევროპულ სახელმწიფოდ არის აღიარებული.

Resümee

In Georgien verläuft zur Zeit ein Reformierungsprozeß des Bildungssystems, in dem die Hochschulbildung eine bedeutende Rolle spielt. Der Wandel des politischen Systems in den letzten Jahren wurde von einer radikalen Umgestaltung der Hochschulsphäre begleitet. Neben den staatlich finanzierten Universitäten mit streng bestimmten Kontingent sind zahlreiche private Universitäten, Institute und Akademien entstanden. In Georgien funktionieren zur Zeit einige duzende Hochschulen, deren Möglichkeiten ziemlich differenziert sind. Deshalb ist eine ernsthafte Reform dieser Sphäre und die Bestimmung jener Kriterien, wonach sich die Hochschulen richten und sich als Universität oder Institiut bezeichnen, unumgänglich geworden. Die Seminarteilnehmer hörten sowohl die Berichte der Vertreter führender Hochschulen Georgiens als auch die Vorträge der Experten aus Deutschland, Großbritannien, Frankreich und den USA zur Hochschulbildung in diesen Ländern und diskutierten über die Wege der georgischen Hochschulbildung. Danach erarbeiteten die Seminarteilnemer Empfehlungen, die zum größten Teil in die neue Konzeption des georgischen Bildungssystems aufgenommen wurden.

Empfehlungen

des Internationalen Seminars: "Reform der Hochschulbildung in Georgien"

Nach der Beendigung des Seminars zur Hochschulreform in Georgien, das vom 08. bis 12. Mai 1995 vom Goethe-Institut in Tbilissi und der I.Dschawachischwili Universität durchgeführt wurde, erarbeiteten die Seminarteilnehmer zur Vervollkommnung des Hochschulbildungssystems in Georgien folgende Empfehlungen:

1. Die wesentlichen Kriterien zur Bestimmung des Universitätsstatus müssen deutlich dargestellt werden:

a) die Universität ist ein umfangreiches, multidisziplinäres Bildungs- und Wissenschaftszentrum, das Spezialisten für alle Grundbereiche ausbildet,

b) die Universitäten sollte man in zwei Gruppen einteilen: die einen bilden Spezialisten für die traditionellen, die Universitätsausbildung kennzeichnenden, Grundbereiche der Wissenschaft aus, die anderen bevorzugen die Grundfächer eines bestimmten Bereiches. Die ersteren werden einfach als Universitäten bezeichnet; die zweite Gruppe als Universitäten mit engerem Profil (mit einem Hinweis auf das Hauptgebiet),

c) die Universität verleiht beide akademischen Grade (Batchelor und Magister) und hat auch das Recht (oder die potentielle Möglichkeit) zwei wissenschaftliche Grade (Doctor und Doctor Habilitus) zu verleihen in dem größten Teil der von ihr gelehrten Fächer,

d) die Anzahl der Studenten an der Universität, die für den Batchelor – oder Magistergrad studieren, darf nicht geringer als 2500-3000 sein,

e) in den Universitäten sollten die Batchelors in nicht weniger als 40 Fächern, die Magister in nicht weniger als 30, die Doktoranten in nicht weniger als 20 Fächern unterrichtet werden. In den Hochschulen, die fachlich spezialisiert sind, kann diese Zahl geringer sein: 20, 10, 5,

f) in der Universität muß jede Fachrichtung mit mindestens einem Professor und zwei Doktoren vertreten sein, die auch ständige Mitarbeiter sind,
g) die Universität muß eine dem Standart entsprechende materiell-technische Basis (Gebäude, Auditorien, Zentral- und Fachbibliotheken u.s.w.) besitzen.

2. Die staatlichen Bildungsstandards müssen formuliert werden unter Berücksichtigung folgender Parameter:
a) die Studienzeit für Batchelors und Magister (gewöhnlich 4 und 2 Jahre; in einzelnen Fächern kann diese Zeit länger sein),
b) die Studienform und die Prüfungsart für Batchelors und Magister und die dazu notwendige Zeit.
c) die Hauptformen des Studiums und die wissenschaftlichen Grade jener Lehrkräfte, die berechtigt sind dieses Studium durchzuführen,
d) die ungefähre Anzahl der Vorlesungen und Praktika, die für den jeweiligen Studiengang unumgänglich ist.
e) der Inhalt der allgemeinbildenden und speziellen Kurse und deren Korrelation zu der Batchelor und Magisterebene.
f) das ungefähre Verhältnis der Vorlesungsstunden zueinander, auf den verschiedenen Ebenen.

3. Die Terminologie der Wissenschaftsgrade und die Nomenklatur der Wissenschaftsgebiete und Fächer soll den Standards und Traditionen der westeuropäischen Länder angepasst werden.

4. Zur Akreditation und Attestation der Universitäten muß ein vollkommenes Staatssystem geschafft werden, das neben den öffentlichen Staatsstrukturen auch selbstständige gesellschaftliche Strukturen als Ratgeber der Regierung im Bereich der Bildungssphäre (d.h. Hochschulbildung) umfasst.
5. Die Universitäten sollen befugt sein eine angemessene Anzahl der Studenten, die der Staat nicht selbst oder durch die Stadt finanzieren kann, in s.g. private Sektoren aufzunehmen und diese nichtstaatlichen Einkünfte nach eigenem Bedarf (z.B. für die Löhne der Mitarbeiter, für die Verbesserung der materiell-technischen Basis, für die Herausgabe von Lehrbüchern u.s.w.) zu benützen.